ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 105 (12 480) 6 მაისი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
დარჩა 94 დღე



### სიმართლეს ვერ შეაჩერებენ

შეხვედრა სტუდენტებთან

»»» 2

### სიზელესზე რეალის დროშა ფრიალებს

როგორ ალნიშნა სამეფო კლუბმა ჩემპიონობა

»»» 8-9



## შპრინი მიდის



ცვლილებები დინამოში

»»» 5

# DOBAR DAN, BRANKO!

## ბრანკო ივანკოვიჩი თბილისშია

დავით ცაბაძე

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დანიშვნის ყველაზე რეალური კანდიდატი ბრანკო ივანკოვიჩი უკვე საქართველოს დედაქალაქშია. ხორვატი მწვრთნელი გამთენიისას, 3 საათზე, მიუნხენი-თბილისის ავიარეისით ჩამოფრინდა. ივანკოვიჩს აეროპორტში ნაკრები გუნდების მენეჯერი თამაზ ბოკერია და 21-წლამდელთა გუნდის მწვრთნელი, ასევე ხორვატი პეტარ სეგრტი დახვდნენ. ბრანკო ივანკოვიჩის სტუმრობის მიზანი იმ გარემოს გაცნობაა, სადაც, ალბათ, მუშაობა მოუწევს. მოლაპარაკებათა დასკვნითი რაუნდიც დღესვე გაიმართება... სავიზო ფორმალობათა მოგვარების შემდეგ, სტუმარი "თბილისი მერიოტში" დაბინავდა. დღეს, 12 საათზე, ივანკოვიჩი ფედერაციის თავკაცებთან ერთად ეროვნულ სტადიონს მოინახულებს, შემდეგ ტექნიკურ ცენტრ "ბასას" ეწვევა, რასაც ლანჩი და დასვენება მოჰყვება, საღამოს კი მხარეები მოლაპარაკებას გააგრძელებენ და, ალბათ, ფინიშამდეც მიიყვანენ.



## ალექსიძე ნაკრებში

»»» 2



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

# რატი ალექსიძე სანაკრებო სიაში

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი ბრანკო ივანკოვიჩი თბილისშია. სანამ ის თანამდებობაზე ოფიციალურად დაინიშნება, მანამდე ეროვნული ნაკრებისთვის სავარაუდო სია შედგენილია და სენსაციური ამბავი შევიტყვეთ – ნაკრებში გამოსაძახებელ ფეხბურთელთა შორის, თბილისის "ლოკომოტივს" ფორვარდი რატი ალექსიძეცაა.

დიახ, ფეხბურთის ფედერაცია ფეხბურთელს რეაბილიტაციისა და დიდ სარბიელზე დაბრუნების საშუალებას აძლევს. ამის წინაპირობა ფეხბურთში დაბრუნებული ალექსიძის თვალშისაცემი მონდომება და შედეგიანი თამაში გახდა. ფორმააღდგენილი ალექსიძე კი დიდი ძალა რომ არის, ეს საუკეთესო წლებში ბევრჯერ დაუმტკიცებია.

თბილისის „ლოკომოტივის" პრეზიდენტი ლექსო თოფურია ერთადერთი აღმოჩნდა, რომელიც გამოცდილ ფეხბურთელს ენდო, დაბრუნების შანსი მისცა და არც შემცდარა - თუკი ახლა გუნდმა უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე აიცილა, ამაში რატის როლი უდიდესია.

სავსებით შესაძლებელია, სამი წლის შესვენების შემდეგ, რატიმ ნაკრების ფორმა კვლავ მოირგოს, რაც თავადაც დაგვიდასტურა.

- რატი, შესაძლოა, მოსალოცად გქონდეს საქმე - გავიგეთ, ნაკრებში იწვევენო.

- დიდი მადლობა, მეც ასე გავიგე და ვნახოთ. ჯერ უეჭველად არ ვიცი, მაგრამ გუნდში მითხრეს, რომ მიწვევენ და იმედია, ნაკრებში თამაშის საშუალება კიდევ მომეცემა. მაგარი გახარებული ვარ.

**- ადვილი წარმოსადგენია, იმ ტკივილებისა და სირთულეების შემდეგ, რაც შენ ბოლო სამ წელიწადში გადაიტანე, ნაკრებში მიწვევა რამხელა მოულოდნელობა და სიხარული იქნებოდა.**

- თითქოს მეორედ დავიბადე. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ავთამაშდი, "ლოკომოტივს" გოლებით ვეხმარები, მაგრამ სულ ორი თვეა რაც ფეხბურთში დავუბრუნდი და ამის შემდეგ, ეროვნულ ნაკრებში მიწვევა მოულოდნელი იყო.

თუმცა არ მინდა ვიჩქარო. როდესაც ვარჯიშზე ნაღდად მიმიწვევენ, მერე ვიტყვი, რომ დამაბრუნეს.

**- შენი აზრით, ახლა ნაკრებში 90 წუთის ჩასატარებლად ფიზიკურად მზად ხარ?**

- ნაკრებში თამაში რთულია. ტყუილი იქნება, რომ ვთქვა, უპრობლემოდ ვარ-მეთქი. საუკეთესო ფორმამდე კიდევ ბევრი შრომა მჭირდება. ამის მიუხედავად, აშკარად ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა ჯანსაც ვიბრუნებ და ბურთის იმ შეგრძნებას, ნაკრებში თამაშის დროს რომ მქონდა.

**- საუკეთესო დროა, ახალ მთავარ მწვრთნელს თავი მოაწონო.**

- მართლა მაგარი შანსია. საერთოდ, ცხოვრებაში, შანსი ერთხელ გეძლევა და უნდა გამოიყენო.

**- შენ ამ მხრივ უნიკალური ფეხბურთელი ხარ - შანსი მეორედ მოგეცა.**

- ამაში გეთანხმები. იქნებ, დაკარგულის ანაზღაურება ახლა მაინც შევძლო.

**მერაბ მამულაშვილი**



# მერებაშვილმა სეზონი დაასრულა

გასულ შაბათს, "ზესტაფონსა" და "დინამოს" შორის გამართული შეხვედრა თბილისელთა მინიმალური გამარჯვებით დასრულდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **მათე ვაწაძემ** გაიტანა. ამ მატჩს ნახევარმცველი **გიორგი მერებაშვილი** ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. მერებაშვილს ხელი ჰქონდა თაბაშირში ჩასმული. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, თუ რა სჭირს მერებაშვილს.

როგორც გავიგეთ, 1 მაისს "დინამომ" საწვრთნელ პროცესში ორმხრივი თამაში ჩაატარა. თამაშის მსვლელობისას, ორთაბრძოლაში, მერებაშვილი უხერხულად დაეცა და თითები მოიტეხა. ექიმის დასკვნით, მას სამკურნალოდ 3 კვირა ესაჭიროება. შესაბამისად, მერებაშვილი ეროვნული ჩემპიონატისა და სათასო მატჩებში თამაშს ვერ შეძლებს. მან მიმდინარე სეზონი ნაადრევად დაასრულა.

**დავით ცაბაძე**

მიხეილ ყაველაშვილი:

# სამართლებრივი თუ იურიდიული ნორმებით სიმართლეს ვერ შეაჩერებენ

## სტუდენტები ჩვენი ფეხბურთის დამფუძნებლებს შეხვდნენ



ლევან ყიფიანი და მიხეილ ყაველაშვილი

"ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლები გუშინ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. სააქტო დარბაზი გადაჭედილი იყო. უამრავი სტუდენტი და მათ შორის, საკმაოდ ბევრი გოგონა, დათქმულ დრომდე ნახევარი საათით ადრე შეიკრიბა.

შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელების, **თემურ დუნდუასა და ლაშა ფარულავას** ინიციატივით მოეწყო.

**თემურ დუნდუა**, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი: *"ჩვენთან ფეხბურთით დაინტერესებული უამრავი სტუდენტია, ბევრი მოთამაშეც გვყავს და ბუნებრივია, ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა გვაღელვებს."*

ლევან ყიფიანი: *"ფეხბურთის ფედერაციის წინაშე რამდენიმე საკითხი დავაყენეთ. მოვითხოვეთ ფედერაციის რიგგარეშე არჩევნები და შესაბამისი განცხადებაც გამოვაქვეყნეთ. ამ დარბაზში შეკრებილი უამრავი ადამიანი იმის დადასტურებაა, რომ ჩვენ უამრავი მხარდამჭერი გვყავს".*

*ჩვენი ორგანიზაცია დაარსდა იმ იდეით, რომ ქართულ ფეხბურთს ძველი დიდება დავუბრუნოთ. საამისოდ კი საზოგადოების ერთიანობა და ძალისხმევაა საჭირო. სამართლიანობის აღდგენის გარეშე ქართული ფეხბურთის განვითარება წარმოუდგენელია. ყველას კარგად მოეხსენება, 13 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებზე რაც მოხდა. ჩვენ ვალდებული ვართ, ვითარება შევცვალოთ, სამართლიანობა აღვადგინოთ და დავამკვიდროთ.*

*მთელ მსოფლიოში ფეხბურთი უზარმაზარი ტემპით ვითარდება. საქართველო ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც არაფერი ხდება და უკან-უკან მივდივართ. ამიტომაც, ჩვენ ვალდებული ვართ, შევქმნათ ქართული ფეხბურთის იდეოლოგია და საამისოდ, საზოგადოებასთან ერთობა გვჭირდება. ამიტომ, თავიდანვე ხალხთან ურთიერთობა და კონსულტაციები გადავწყვიტეთ. პირველი შეხვედრა ჭადრაკის სასახლეში გავმართეთ და მივხვდით, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ჩვენკენაა.*

*თურმე ფეხბურთის ფედერაციის 34 სუბიექტი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს არ ემხრობა. ჩვენი მოთხოვნები ამით არ შეიცვლება, რადგან ჩვენ თანამდებობას კი არა, სამართლიანობის აღდგენას ვითხოვთ, რომლის გარეშეც ქართულ ფეხბურთს არაფერი ეშველება."*

**მიხეილ ყაველაშვილი:** *"ნორმალური ვითარება რომ იყოს, თითოეული ჩვენგანი ფეხბურთში იტრიალებდა, ვიქნებოდით მწვრთნელი, საფეხბურთო ფუნქციონერი... მაგრამ არანორმალური ვითარების გამო, იძულებულნი გავხდით, რომ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა დაგვეწყო. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა მძიმე მდგომარეობაშია ქართული ფეხბურთი, ბავშვებში რა ხდება, ეროვნული ჩემპიონატი სამარცხვინო მდგომარეობაშია, ნაკრების თამაშს კომენტარიც აღარ სჭირდება. ამის მიუხედავად, ფეხბურთის ფედერაცია საპირისპიროს გვიმტკიცებს. ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ და მჯერა, საზოგადოების აქტიურობით, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ."*

**- ამის შემდეგ დარბაზიდან არაერთი შეკითხვა დაისვა, რომელთაგანაც ყველაზე საინტერესოებს გთავაზობთ.**

**- ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატ ბრანკო ივანკოვიჩზე რას ფიქრობთ?**

**მიხეილ ყაველაშვილი:** - ქართულ ფეხბურთს ნაკრებზე მნიშვნელოვანი სიღრმისეული პრობლემები აწუხებს. ნაკრების უშედეგობაც ფედერაციის უუნარობაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, მთავარია ფედერაციის ხელმძღვანელობის გადადგომა და არა ნაკრებში მწვრთნელის შეცვლა.

**ვასილ მაისურაძე:** - რომელი უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანაზეა საუბარი, როდესაც ფეხბურთი ხელიდან გვეცლება? თუკი საქართველოში საფეხბურთო სურნელი არ დატრიალდება, ჩვენი ჩემპიონატის დონე არ ამაღლდება და ბავშვთა ფეხბურთს არ ეშველება, მანამდე, უცხოელ მწვრთნელში დახარჯული თანხა წყალში გადაყრილი იქნება.

**- ფედერაციის ყრილობის დელეგატების რაოდენობის გაზრდას რატომ ითხოვთ?**

**ლევან ყიფიანი:** - რიგგარეშე არჩევნების ჩასატარებლად ჩვენ მინიმუმ ოთხი სუბიექტის მხარდაჭერა გვჭირდებოდა. ქართული ფეხბურთი გაცილებით მეტია, ვიდრე 34 სუბიექტი. ყრილობაზე საერთოდ არაა წარმოდგენილი ბავშვთა ფეხბურთი, პირველი ლიგის გუნდებს პროფლიგა წარმოდგენს, რეგიონალლიგა საერთოდ უხმოდაა. არადა, მთელი სპექტრი არსებულ პრობლემებზე ზუსტ წარმოდგენას შეგვიქმნიდა.

**მიხეილ ყაველაშვილი:** - "პრაიმტაიმის" გამოკითხვამ გულშემატკივართა განწყობა კარგად აჩვენა - მათი 93 პროცენტი რიგგარეშე არჩევნების მომხრეა. ის 34 სუბიექტი, რომლებიც რიგგარეშე არჩევნების წინააღმდეგ წავიდნენ, ხალხის განწყობას არად აგდებენ და ამაზე პასუხი უნდა აგონ.

**- რა ბერკეტები გაგაჩნიათ, ფედერაციის საქმიანობაში სახელმწიფო რომ არ ჩაერიოს?**

**მიხეილ ყაველაშვილი:** - როდესაც ფედერაცია დამოუკიდებელი ორგანო გახდება და მის პრეზიდენტს სახელმწიფო არ დანიშნავს, ბუნებრივია, სახელმწიფო ველარ ჩაერევა.

**- რიგგარეშე არჩევნების ჩასატარებლად, რა ბერკეტები გაგაჩნიათ?**

**ვასილ მაისურაძე:** - იურიდიული ბერკეტები ჩვენ ნაკლებად გაგვაჩნია, მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერას ვგრძნობთ. დღევანდელი მდგომარეობა არავის აკმაყოფილებს. საამისოდ კი ჩვენი მოძრაობის მაშტაბის გაზრდა და აქტიურობაა საჭირო. გულშემატკივართა მხარდჭერის მოპოვებას ამიტომაც ვცდილობთ.

**მიხეილ ყაველაშვილი:** - ვერც ერთი სამართლებრივი თუ იურიდიული ნორმა სიმართლეს ვერ შეაჩერებს. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, უსამართლობის წინააღმდეგ რაც უფრო ვიაქტიურებთ, რიგგარეშე არჩევნების გამართვის მეტი შანსი გაჩნდება. საერთოდ, ეს არაა მხოლოდ ფეხბურთისთვის ბრძოლა, მთლიანობაშია სამართლიანობა აღსადგენი.

**- კახა კალაძის ინტერვიუდან ვიგებთ, რომ ნაკრებში ერთიანობა არაა, თქვენ რა იცით?**

**გოჩა ჯამარაული:** - მე არ ვიცი, ნაკრებში ახლა რა ხდება, მაგრამ დაპირისპირებაზე კალაძე საუბრობს და ნაკრების ცუდი გამოსვლა ამაზე მეტყველებს.

**მიხეილ ყაველაშვილი:** - როდესაც ქართული ფეხბურთი ქრება, რა გასაკვირია, თუ ნიჭიერი ფეხბურთელები და მწვრთნელებიც იკარგებიან და ნაკრები კი წარუმატებელია. რამდენჯერმე დავესწარი ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრებს და ამაზრზენი სანახაობაა. თუნდაც ის ავიღოთ, რომ ქართული კლუბები ევროტურნირებს პირველივე ეტაპიდან ეთიშებიან. სანამ პირში სული მიდგას, მანამდე ასეთ მდგომარეობას ვერ შევეგუები.

ბევრი ვეტერანი არასწორად იქცევა, როდესაც ვითარების გარკვევას ცდილობს. დუმილი დღეს დანაშაულის ტოლფასია და სანამ დროა, ხმა უნდა ამოვიღოთ, მერე გვიანი იქნება.

**- როგორც ჩანს, თქვენ რიგგარეშე არჩევნების გამართვას საზოგადოების და მათ შორის, სტუდენტობის ხარჯზე ცდილობთ. ნუთუ არანაირი იურიდიული მექანიზმი არ გაგაჩნიათ?**

**ლევან ყიფიანი:** - ფედერაციის დებულებაში უამრავი ხარვეზი არსებობს, მაგრამ დღეს ამაზე ლიად საუბარს მოვერიდები.

**მიხეილ ყაველაშვილი:** - ვერც ერთი იურიდიული ძალა მორალურზე მაღლა ვერ დადგება. სამართლიანობაა მთავარი და ჩვენ სწორედ სამართლიანობის აღსადგენად ვიბრძვით.

**ლაშა ფარულავა**, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი: *"თუ გახსოვთ, "ბარსელონის" ფანებმა გუნდის პრეზიდენტ ჟოან გასპარს აქცია მოუწყვეს და ყოველგვარი იურიდიული საფუძვლების გარეშე, დირექტორატმა მისი გადაყენება გადაწყვიტა. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა - როდესაც წარუმატებელი ხარ, იქ იურიდიულ ნორმაზე მეტად, გადამწყვეტი ფაქტორი ხალხის განწყობაა".*

**- ხომ არ გეშინიათ, რომ თქვენს გამოსვლებში ვილაცა პოლიტიკურ ქვეტექსტებს ამოიკითხავს?**

**მიხეილ ყაველაშვილი:** - ნებისმიერ ადამიანს რაღაცას დააბრალებენ, მაგრამ ჩვენ პოლიტიკოსებს შეგნებულად გავემიჯნეთ და რაც უნდათ ის ილაპარაკონ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასეთ გარიგებაზე არ მივდივართ.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსკლუზიური ინტერვიუ ანდრეი კანჩელსკისთან

# მანჩესტერის ფლანგელი მფლანგველი არ ყოფილა

## ფიცხი და მეამბოხე ანდრეი კანჩელსკისი: ჯანმრთელობა შევირგე და ბევრი ვიშრომე

ანდრეი შევჩენკოს შემდეგ ალბათ, ანდრეი კანჩელსკისზე ითქმის, რომ პოსტსაბჭოთა სივრციდან ერთ-ერთი გამორჩეულია, ყველაზე შთამბეჭდავად რომ წაუვიდა საკლუბო კარიერა ევროპაში. ტიტულებით ვინძლო სხვა კანჩელსკისს ალემატებოდეს, მაგრამ მისი თამაში ისეთი თვალისმომჭრელი და ეფექტური იყო, არა გვგონია, მას ბევრი შეედაროს.



მოულოდნელი და სწრაფი მარჯვენაფლანგელი - კანჩელსკისი გარემარბიც იყო და ნახევარმცველიც, პასის ჩამწოდებელიც და გოლის გამტანიც - პრემიერლიგაში ისე დაქშიტინობდა, მეტოქეებს ლამის გუდავდა.

კანჩელსკისი ჯიუტი იყო და ფეთქებადი, პრინციპული და შეუპოვარი. - ის გახლდათ ფეხბურთელი-პიროვნება.

ლიტვური წარმოშობის კანჩელსკისი უკრაინულ კიროვოგრადში დაიბადა და ასარჩევად ჰქონდა საქმე - ლიტვის, უკრაინისა თუ რუსეთის მოქალაქეობა. ცხოვრება და ალბათ, კარიერაც გადაწყვეტილებების მიღების ხელოვნებაა და კანჩელსკისმა მთლიანობაში თავი გაართვა საქმეს, თუმც მისი ზოგიერთი გადაწყვეტილება ალბათ, საკამათო იყო...

3 ივნისს კი შოთა არველაძის გამოსათხოვარ მატჩზე კანჩელსკისიც მოწვეულია და ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო,მასთან სატელეფონო ინტერვიუსთვის

**- თქვენ ახლა რუსეთის პირველი ლიგის კლუბში, ნოვოტროიცკის "ნოსტაში" სპორტული დირექტორი ხართ . ელიტარული ფეხბურთელი იყავით და პერიფერიულ კლუბში არმოჩნდით. მოსკოვში თუ სანკტპეტერბურგში არ შეგეძლოთ საქმიანობა?**

- სხვანაირად არ გამოვიდა. მოსკოვში თუ ლენინგრადში ამ სფეროში ძალიან ბნევრი ადამიანი მუშაობს და პერიფერიაში წასვლა არავის სურს. მე სოლიდურმა და წესიერმა ხალხმა შემომთავაზა სამსახური და ეს შემოთავაზება მივიღე.

**- პირველი პრინციპული და ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მაშინ მიიღეთ, როცა უნდა აგერჩიათ: ან უკრაინა, ან რუსეთი. რის საფუძველზე ამჯობინეთ რუსეთი უკრაინას?**

- ეს წმინდა პროფესიული გადაწყვეტილება იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინა ოთხი წელიწადი ვერ ითამაშებდა შესარჩევ ეტაპზე და არ მინდოდა ოთხი წლის გაცდენა - ფეხბურთელისთვის ეს საკმაოდ ბევრია. ჩემსავით მოიქცნენ ვიქტორ ონოპკო, იური ნიკიფოროვი, სერგეი იურანი, ილია ციმბალარი... ახლაც მიმაჩნია, რომ ეს ნორმალური გადაწყვეტილება იყო.

**-"მანჩესტერ იუნატედში" გადასვლაც, ცხადია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ "მანჩესტერი" კონტრაქტის ამოწურვამდე დატოვეთ და "ევერტონში" გადახვედით - ზევიდან ქვევით ჩახვედით. იმ ტრანსფერზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, ალექს ფგერგიუსონმა კი ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა, 40 000 გირვანქა ქრთამად შემომთავაზეს, რათა კანჩელსკისის გუნდიდან წასვლისთვის მხარი დამექირაო. მაინც, რა მოხდა?**

- ქრთამზე ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებას, ახლა რომ ვაანალიზებ ყველაფერს ,ვხვდები: მაშინ სხვა აგენტი რომ მყოლოდა, ალბათ დავრჩებოდი "მანჩესტერში". ისიცაა,რომ რატომღაც დამჩემდა გადაწყვეტილებების უცბად, სპონტანურად მიღება. "ევერტონში" რომ ვიყავი, საღამოს შემომთავაზეს "ფიორენტინაში" გადასვლა და მეორე დღეს, ძილით მივიღე გადაწყვეტილება. "ფიორენტინადან" "რეინჯერსში" გადასვლა ერთ კვირაში გადავწყვიტე, "რეინჯერსიდან" "საუთჰემპტონში" კი... სამ საათში.

**- ისევ "მანჩესტერს"დავუბრუნდები. ფერგიუსონი იმითაცაა განთქმული, რომ ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობების დამყარების განსაკუთრებული უნარი აქვს. როცა თქვენ "მანჩესატერიდან" მიდიოდით, ბრიტანული პრესა იუწყებოდა, ფერგიუსონსა და კანჩელსკისს ურთიერთობა დაეძაბათ და ამიტომაც მიდის კანჩელსკისი გუნდიდანო...**

- ყველას მოსდის ასეთი რამ - ხან ცუდად აგეწყობა ამა თუ იმ ადამიანთან ურთიერთიბა, ხან - კარგად. ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. მართალია, რომ მაშინ ფერგიუსონთან ურთიერთიობა დამეძაბა - ახალგაზრდა და ფიცხი ვიყავი, მწვრთნელისგან მოვითხოვდი, რომ უფრო მეტი მეთამაშა - აქედან დაიწყო ეს ყველაფერი.

**- ერთადერთი ფეხბურთელი ხართ, ბრიტანეთის სამივე ყველაზე გამორჩეულ დერბიში გოლი რომ გაიტანეთ - მანჩესტერულში, მერსისაიდულში და ოლდფირმულში. მათგან ყველაზე უფრო რომელს გამოარჩევდით?**

- "რეინჯერსისა" და "სელტიკის" დაპირისპირება სულ სხვაა, დაძაბულობით და ვნებებით ის ყველასგან გამორჩეულია, თითქოს მართლაც ბრძოლის ველზე ხარ. თუ გუნდმა სეზონი ჩააგდო, მაგრამ ოლდფირმულ დერბიში გაიმარჯვა, გულშემატკივრები ყველაფერს გაპატიებენ.

**-"მანჩესტერი", "ევერტონი", "ფიორენტინა", "რეინჯერსი", "სიტი", საუდის არაბეთი - თითქოს ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდით, სულ აქეთ-იქით მიდი-მოდიოდით...**

- ასე არ ვიტყოდი, "მანჩესტერის" შემდეგ, ასე ვთქვათ, დავლაგდი. მიდი-მოდი კი ფეხბურთელის ხვედრია. საერთო ჯამში, ჩემი კარიერით უკმაყოფილო არ ვარ.

**- ყველაზე უფრო რომელ გუნდში თამაშმა მოგცათ განსაკუთრებული შესაძლებლობები? ყველაზე უფრო სად იყო თქვენთვის საინტერესო თამაში?**

- "ფიორენტინაში'' თამაშმა ბევრი მასწავლა - თამაშისთვის მომზადება, საქმისადმი მიდგომა, სწორი კვება, ტაქტიკა - ამიტომაც არიან იტალიელები წარმატებულნი ფეხბურთში, ამიტომაც გახდნენ ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონები.

**- თქვენ ლიდერის თვისებითაც გამოირჩეოდით. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რუსეთის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა ბოიკოტი გამოუცხადეთ გუნდის მთავარ მწვრთნელ პაველ სადირინს. ამბობდნენ, რომ წამოაყენეთ ფინანსური მოთხოვნებიც. ამბოხის მეთაურად თქვენ გასახელებდნენ. სოლიდარობას ვერ მიაღწიეთ - გუნდის ყველა გამოცდილი და სახელიანი ფეხბურთელი თქვენს მხარეს არ აღმოჩნდა, შედეგად, სადირინი დარჩა პოსტზე, თქვენ კი მუნდიალის მიღმა აღმოჩნდით. რა კომენტარს გაუკეთებდით ყველაფერ ამას?**

- უნდა ვაღიარო, რომ მწვრთნელის გადაყენების მოთხოვნა არასწორი იყო. კონფლიქტის თავიდან აცილებაც არ იყო შეუძლებელი, მოლაპარაკებები მიდიოდა ვიაჩესლავ კოლოსკოვთან, მაგრამ შეთანხმებას მაინც ვერ მივაღწიეთ. სიტყვა მივეცი საკუთარ თავს და ფეხბურთელებს, რომ თუ სადირინი დარჩებოდა, ნაკრებში არ ვითამაშებდი - სიტყვას ვერ გავტეხდი. საბოლოოდ, რვა ფეხბურთელი დავრჩით მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა, მათ შორის, იგორ შალიმოვი, იგორ კოლივანოვი...

**- ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი რა იყო თქვენს კარიერაში?**

- ასეთი ბევრი იყო, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, რაც ჩემი პირველი ტროფეი იყო. მერსისაიდულ დერბიში "ლივერპულს" ორი გოლი გავუტანე, მანჩესტერულში კი "სიტის" - სამი. 1993 წელს "მანჩესტერში" ინგლისის ჩემპიონი გავხდი - 26 წლის შემდეგ "მანჩესტერმა" პირველად მოიგო ეს ტიტული...

**- შრომისმოყვარეობა და ნიჭი - უფრო რომელმა ფაქტორმა განაპირობა თქვენი წარმატებული კარიერა?**

- შრომა და მერე საქმისადმი მიდგომა. შრომის გარდა, ცხოვრების წესზეც ბევრია დამოკიდებული, ძალიან მნიშვნელოვანია სწორი კვებაც. რა თქმა უნდა, ღმერთის მადლობელი ვარ. რომ არა გამორჩეულად ძლიერი ჯანმრთელობა, ასეთნაირად თამაშს ვერ შევძლებდი.

**- პრემიერლიგაში გიორგი ქინქლაძის წინააღმდეგაც მოგიწიათ თამაში, როცა "ევერტონის" ფეხბურთელი იყავით...**

- ის "სიტის" ლიდერი იყო და ვიცი, რომ ახლაც ძალიან უყვართ მანჩესტერში. "სიტი" პრემიერლიგიდან რომ გავარდა,გარდამტეხი აღმოჩნდა ქინქლაძის კარიერისთვის.

**- როგორ ფიქრობთ,ყოფილი საბჭოეთიდან ევროპაში წასული ფეხბურთელებიდან ვინ იყო ყველაზე ნიჭიერი?**

- ყურადღებით ვადევნებდი და ვადევნებ თვალ-ყურს ყოფილი საბჭოეთიდან ევროპაში წასულ ფეხბურთელებს. მათგან ნიჭიერი ბევრია, მათ შორის ქერთველებიც, რომელთაგან მხოლოდ ორმა შეძლო საკუთარი თავის შთამბეჭდავად წარმოჩენა - კახა კალაძე და შოთა არველაძე.

**- 3 ივნისის მატჩს ანდრეი კანჩელსკისი როგორი მზადყოფნით შეხვდება?**

- სერიოზულად მოვემზადები, თუ ოცწუთიანი ტაიმები იქნება, ალბათ, ორივე ტაიმს გავქაჩავ (იცინის). ოთხმოცი პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ამ თამაშისთვის თბილისში ჩამოვალ.

**დავით თავართქილაძე**

ანდრეი კანჩელსკისი

23.01.1969

| | | | |
|---|---|---|---|
| 1988-90 | კიევის დინამო | 22 | 1 |
| 1990-01 | დონეცკის შახტიორი | 21 | 3 |
| 1991-95 | მანჩესტერი | 123 | 28 |
| 1995-96 | ევერტონი | 52 | 20 |
| 1996-98 | ფიორენტინა | 26 | 2 |
| 1998-2002 | რეინჯერსი | 76 | 3 |
| 2001 | მანჩესტერ სიტი (განათხოვრებით) | 10 | 0 |
| 2003 | საუთჰემპტონი | 1 | 0 |
| 2003 | ალ ჰილალი (საუდ. არაბეთი) | 3 | 0 |
| 2004-05 | სატურნი | 32 | 3 |
| 2006 | კრილია | 22 | 1 |
| 1989-91 | საბჭოთა კავშირის ნაკრები | 17 | 3 |
| 1992 | თანამეგობრობის ნაკრები | 6 | 0 |
| 1992-98 | რუსეთის ნაკრები | 36 | 4 |

ევროპის 1992 და 1996 წლების ჩემპიონატების მონაწილე




ვეტერანთა მატჩი

# აბუსერიძე მცველად, ჩივაძე ფორვარდად

4 მაისი. რიგა. სკონტო. 500 მაყურებელი

| ლატვია-საქართველო | 0:1 |
|---|---|

0:1 ჩივაძე (33)

ლატვია: **დვორკინსი, მილევსკისი, კანიშევსი, სოლომკა, დოლინსკისი, აზაროვსი, უტკინსი, პავლენკო, კარტაშოვსი, მამიკინსი, ჩებანსი, სოლომომატინსი, როკოვსი, ნოზრდინსი, ლიტვინიუკსი, რომანჩუკსი, აინგირნსი, ოვჩინიკოვსი**

საქართველო: **გაბელია, ხიზანიშვილი, ჩიქოვანი, ქორიძე, მუჯირი, კოპალეიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, კორღალიძე, ფირცხალავა, ჩივაძე**

შეცვლაზე შევიდნენ: **აბუსერიძე, ჯოხაძე, შენგელია, თავაძე, კაკილაშვილი, ბარათაშვილი, ბ. მჭედლიშვილი**

რაც ვერ მოახერხა **კლაუს ტოპმიოლერის** ფორმაციის ნაკრებმა, ჩვენმა სახელოვანმა ვეტერანებმა შეძლეს - ლატვიის ვეტერანთა ნაკრები დაამარცხეს, თანაც სტუმრად. მიმდინარე წლის 6 თებერვალს ჩვენი ეროვნული ლატვიასთან შინ 1:3 დამარცხდა. იმავე დღეს, ნაშუადღევს, სპორტკომპლექს "ოლიმპში" ქართველი და ლატვიელი ვეტერანები საბრძოლო ფრეზე, 3:3-ზე გაიყარნენ. ამჯერად კი საპასუხო შეხვედრაში ლატვიელებმა მიიპატიჟეს ჩვენი ვეტერანები.

როგორც ამ მატჩის ერთ-ერთმა მონაწილე **ოთარ გაბელიამ** გვიამბო, ლატვიელებმა ქართული დელეგაცია დიდი პატივით მიიღეს. იურმალაში დააბინავეს, ექსკურსიები და ქეიფიც არ მოაკლეს, მათ შორის მატჩამდეც... თუმცა შეხვედრა მაინც ქართველებმა მოიგეს. ჩვენი გუნდის მწვრთნელები **ილია მჭედლიშვილი** და **ვაჟა ჟვანია** იყვნენ. ვეტერანებმა "სკონტოს" სტადიონზე ითამაშეს.

რიგაში ჩვენებური ლეგიონერებიც ნახეს, სკონტოელები **დავით გამეზარდაშვილი, ვლადიმერ დვალიშვილი** და **ზაალ ელიავა**. ვეტერანთა მატჩი ადგილობრივი დროით 15 საათზე დაიწყო. 18 საათზე კი ლატვიის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი დაიწყო "სკონტოს" მონაწილეობით.

ისევ ვეტერანთა მატჩს დავუბრუნდეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი გუნდის განლაგება ორიგინალური გახლდათ - **ალექსანდრე ჩივაძემ** თავდასხმაში ისურვა თამაში. შეცვლაზე შესულმა მეკარე **მამუკა აბუსერიძემ** კი მცველად მოინდომა თამაში და ახალ ფუნქციასაც მშვენივრად გაართვა თავი. სხვათა შორის, ჩივაძე წინა ხაზზეც ჩინებულად წარმოჩნდა, მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა, ერთხელ ძელი შეაზანზარა და ერთხელაც მეკარემ "მკვდარი ბურთი" აუღო.

სხვების დარად, გამორჩეული იყო **ოთარ გაბელიაც**, ერთხელ პირისპირ გასული კანიშევისი დასწრებაზე დაჯაბნა. მეორედ კი მას "ცხრიანიდან" "მკვდარი ბურთი" მოუხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ლატვიელებმა ჩვენებთან შედარებით ახალგაზრდა ფეხბურთელები ათამაშეს, ქართველებმა შეხვედრა მაინც მოიგეს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXIV ტურის მიმოხილვა

# ინტრიგა მორჩა, ინტრიგა დარჩა



დინამომ ჩემპიონის ტიტული ორი ტურით ადრე, ზესტაფონში გაინალდა




## აბსოლუტური კანონზომიერება

XXIV ტური მოვლენებით დახუნძლული გამოდგა, ბევრი საინტერესო მატჩიც ვიხილეთ, ცალკეულ ფეხბურთელთა ჩინებულ თამაშსაც ვერ ავუვლით გვერდს, მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო. ეს "სხვა" კი ის არის, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს - თბილისის "დინამო"! ხშირად გვითქვამს, რომ ფეხბურთი ალოგიკური თამაშია, მაგრამ ამ შემთხვევაში აბსოლუტურ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე - "დინამომ" ეს ტიტული დაიმსახურა! პირველ წრეში "ზესტაფონის" მდევარი იყო, მერე წინ გაიჭრა და ახლა უკვე "ვიტ ჯორჯია" ცდილობდა კონკურენციის გაწევას. საბოლოოდ კი ყველაფერი ზესტაფონში გადაწყდა და **დუშან უჰრინის** გუნდმა ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე პირველობა გაინალდა. სხვათა შორის, ბოლო ექვსი სეზონის განმავლობაში ჩემპიონი უკანასკნელ ტურში ვლინდებოდა; ანუ, 2001 წლის მერე, როცა ქუთაისის "ტორპედომ" (გახსოვთ, ეს გუნდი?) ჩეპიონობა ორი ტურით ადრე მოიპოვა, ასეთი რამ აღარ განმეორებულა. ეს კი, დაგვეთანხმებით, რომ "დინამოს" კანონზომიერ წარმატებაზე მეტყველებს. და მთავარი: "დინამომ" ჩემპიონობა თავის ერთ-ერთ უშუალო კონკურენტის მოედანზე გაიფორმა! თანაც, დინამოელთა ბოლო გამარჯვება ზესტაფონში 2001 წლის 9 ნოემბრით თარიღდება (ოღონდ, მასპინძელთა გუნდი მაშინ "მარგვეთის" სახელით ასპარეზობდა) და ეს წარმატება ამ მხრივაც არის გამოსარჩევი. ისე, რადგან ციფრებზე ვსაუბრობთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ 2006 წლის სექტემბრის მერე ეს იყო "ზესტაფონის" მეორე მარცხი ეროვნულ ჩემპიონატში. ანუ, იმ პერიოდზე ვსაუბრობთ, რაც გუნდში **თემურ მახარაძე** დაბრუნდა და იმერული კლუბის ორივეჯერ დამარცხება "დინამომ" შეძლო.

## ნამდვილი დერბი

ერთი ქალაქის გუნდების დაპირისპირებას ყოველთვის გარკვეული ხიბლი აქვს და ამ მხრივ გამონაკლისი არც "ვიტ ჯორჯიასა" და "ამერის" მატჩებია. ზედიზედ მესამე სეზონია, ამ გუნდების დაპირისპირებას ყოველთვის პრინციპული ხასიათი აქვს. ასე იყო წინა ჩემპიონატშიც; პირველ წრეში ხომ სულაც სკანდალი მოხდა - არაობიექტური მსაჯობის გამო "ამერმა" თამაშის გაგრძელებაზე თქვა უარი! და აი, მორიგი "დერბი", ისევ საინტერესო და პრინციპული, ოღონდ, უექსცესო, რომელიც "ამერის" გამარჯვებით დამთავრდა. არადა, მოტივაცია, თანაც ბევრად მეტი, მასპინძლებს ჰქონდათ - "ვიტ ჯორჯიას" ხომ ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული ჩემპიონობის შანსი. მაგრამ **გიორგი ჩიხრაძის** გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, მეტოქეს არაფერი დაუთმო და **დიმიტრი ტატანაშვილის** გოლით ეს დრამატული შეხვედრა მოიგო. ტატანაშვილმა ბოლო სამ მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა და ყველა ამ შემთხვევაში შეცვლაზე შემოსულმა მოახერხა. ეგ კი არა, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება **მიხეილ ხუციშვილს...**

## გადავარჩინოთ... სპარტაკი!

ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ უმაღლესი ლიგიდან გასავარდნად არც ერთი გუნდი გვემეტება; თუმცა ისიც დავაფიქსირეთ, რომ გარკვეული სიმპათიები ცხინვალის "სპარტაკის" მიმართ გვქონდა. ვიმედოვნებთ, რომ ამაში ბევრი არ დაგვძრახავს - **კობა ჟორჟიკაშვილის** ახალგაზრდული გუნდი ისე ვაჟკაცურად თამაშობს, უბრალოდ, კაცი გულგრილი ვერ დარჩება. "დინამოს" ტოლ-ტოლზე ეთამაშა, "ვიტ ჯორჯიასა" და "ზესტაფონს" სულაც ჩემპიონობის ტოლფასი ქულები დააკარგვინა; ახლაც, მოლონიერებულ და სახელიან "ლოკომოტივთან" უპრინციპულეს მატჩშიც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. ისეთი მატჩი იყო, ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა რომ ჰქონდა და ორმა ფაქტორმა გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი. პირველი - სტუმართა გამოუცდელობა იყო; აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ორბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს; თანაც, მატჩის მიწურულს, როცა მასპინძლები ანგარიშის გასათანაბრებლად მთელი გუნდით წინ მიდიოდნენ, "სპარტაკს" ოთხი-ხუთი ისეთი მომენტი შეექმნა კონტრშეტევებზე, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა. მეორე ფაქტორი კი მასპინძელთა კონკრეტულ ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა იყო. ძნელია ამტკიცო, სამართლიანი იყო თუ არა "სპარტაკის" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი, მაგრამ **ლევან ცქიტიშვილის, ვიტალი დარასელიას, რატი ალექსიძისა** და **ირაკლი სამხარაძის** მოედანზე ყოფნაც კი მეტოქესთან ფსიქოლოგიურ უპირატესობას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, შემთხვევითიც არ უნდა ვუწოდოთ იმ ფაქტს, მასპინძლებმა ორბურთიანი ჩამორჩენა რომ აღმოფხვრეს. ისევე, როგორც რატი ალექსიძის მორიგი გოლები იყო შემთხვევითი - აშკარაა და სასიამოვნოზე მეტია, რომ ეს ნიჭიერი ფორვარდი დიდ ფეხბურთში სერიოზული ზრახვებით დაბრუნდა!





ბომბარდირობისთვის დინამოელი ხუციშვილი და ამერელი ტატანაშვილი იბრძვიან

## ქება მესხეთს!

ქართული ფეხბურთის მრავალწლიანი ჭირია, როცა სეზონის დასრულებასთან ერთად ათასი მითქმა-მოთქმა იწყება. ჰო, ეგრეა - "ამას არ სჭირდება", "ის ვარდება", მესამეს ევროპაზე უნდა გასვლა და ასე შემდეგ. ყველაზე "შავ" დღეში კი ის გუნდები არიან, სეზონში ლოკალურ ამოცანას რომ გადაჭრიან. აი, თუნდაც ახალციხის "მესხეთის" მაგალითზე ვისაუბროთ. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა, ბევრისთვის მოულოდნელად, ჩინებული სეზონი ჩაატარა და დამსახურებულადაც უკავია ცხრილში მეექვსე საფეხური. ერთი შეხედვით, "მესხეთს" დარჩენილ მატჩებში მოტივაცია არ უნდა ჰქონოდა და ბევრი ფიქრობდა, **კობა თედიაშვილის** გუნდი "გაჭირვებულ" გუნდებთან ბოლომდე არ იბრძოლებდა. საბედნიეროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა და ისე როგორც სხვა აუტსაიდერებთან, "მესხეთმა" ამ ტურშიც პატიოსნად ითამაშა. თანაც, "ბათუმთან" შეხვედრაში მასპინძლები ორბურთიან უპირატესობას ფლობდნენ, მერე მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა და ამ დროს, ალბათ, ყველაფრის გაფიქრება შეიძლებოდა. მაგრამ მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს და მატჩის მიწურულს გამარჯვების გოლი გაიტანეს. ამით საკუთარი ქომაგებიც გაახარეს და არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ "სამართლიანი თამაშის" პრინციპები დაიცვეს!

## ჟომას დაბრუნება

ვერაფერს ვიტყვით - კომპანია "კოლხიდამ" ქართული ფეხბურთის ქომაგებს, მართლაც, მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა. ხვდებით, ალბათ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების სატელევიზიო მიმოხილვას რომ ვგულისხმობთ. აი, ახლაც, გასული ტურის ყველა მატჩის მიმოხილვა ვიხილეთ და როგორ შეიძლებოდა გვერდი აგვევლო "დილა"-"მერანის" მატჩისთვის. ორი აუტსაიდერის დაპირისპირებაში უფრო მოტივირებულმა სტუმრებმა რომ გაიმარჯვეს, ეგ არ არის მთავარი. საუბარი კონკრეტულ ფეხბურთელზეა - "მერანის" ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა **ვლადიმერ გოჩაშვილმა** ორი ეფექტური გოლი გაიტანა და ერთიც საგოლე გადაცემა მიითვალა. 31 წლის გოჩაშვილი, ქართველი ქომაგები "ჟომას" მეტსახელით რომ იცნობენ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, დაცვაშიც თამაშობს, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც. საუკეთესო წლები (თუ არ ვცდებით, რვა თუ ცხრა სეზონი) "ვიტ ჯორჯიაში" აქვს გატარებული; ერთი პერიოდი მშობლიურ "ბორჯომში" თამაშობდა, პირველ წრეში "ლოკომოტივში" იყო, ახლა კი "მერანს" ეხმარება უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

## ყოჩაღ, ტუხა!

"მგლები"-"სიონის" მატჩი სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა და ამ შეხვედრის ირგვლივ არც ვისაუბრებდით, რომ არა ორი გარემოება. უპირველესად ის უნდა ვახსენოთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, ალბათ, პირველად მოხდა, როცა "სიონმა" ულეგიონეროდ იასპარეზა. "ხურდაში გამოყოლილი" **ევოჩე** ნამდვილად ალარავის ახსოვს, აი, **ჩასემი** და **ბოიომო** ბოლნისური კლუბის წამყვანი ფეხბურთელები რომ არიან, ყველა დაგვეთანხმება. თუმცა, "სიონს" ჩემპიონატში მოტივაცია აღარ დარჩა და ალბათ, ამიტომაც იყო, რომ **გიორგი ყიფშიძემ** თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდა ფეხბურთელებს მისცა. მათ შორის იყო ამ სტრიქონების ავტორის... მოგვარეც! "ლელოს" კორესპონდენტის მერაბ გრძელიძის რეპორტაჟიდან ვიგებთ, რომ **ტუხაშვილი** ("სიონის" ფეხბურთელს ვგულისხმობთ) შეცვლაზე ურიგოდ არ შემოსულა და ორჯერ სახიფათოდაც დაურტყამს **მანუჩარ ივარდავას** კარის მიმართულებით. ისე, როგორი საქმეა ჟურნალისტმა ტუხაშვილმა... ფეხბურთელი-ტუხაშვილი შეაფასოს? ისე კი, იმედია, ნამეტნავად მიკერძოებაში არავინ ჩაგვითვლის, თუ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს უმაღლეს ლიგაში დებიუტს მივულოცავთ!

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო, დინამო...

## კმაყოფილება თუ ახალი გამოწვევა



დინამოს ყველაზე კარგად ევროსარბიელი გამოაჩენს

"ДИНАМО" ჩემპიონ! ორი ჩაგდებული სეზონის შემდეგ, საქართველოს უტიტულოვანესმა გუნდმა ტროფეი მოინაგრა და შეუძლია, დუბლზეც გაიქაჩოს.

ამ წარმატებას "დინამომ" ორი წელინადი მოანდომა, მისმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** კი სეზონნახევარი. მოგწონთ ახლანდელი "დინამო"? ვფიქრობ, კითხვა აქტუალურია, რამეთუ საქმე თბილისის "დინამოს" ეხება.

მეცხრამეტე ეროვნულში ვერ გამოჩნდა საინტერესო გუნდი. "ზესტაფონი", "ვიტ ჯორჯია", "ამერი", "ოლიმპი"- ესენი უნდა ყოფილიყვნენ "დინამოს" უმთავრესი კონკურენტები, მაგრამ სათამაშო კონცეფციის მხრივ, მათ ახალი და თვალისმომჭრელი ვერაფერი შემოგვთავაზეს. თუ სხვანაირად, უფრო პრაგმატულად შევხედავთ სიტუაციას, ამ სამი გუნდის კონტინგენტი დასუსტდა - "ზესტაფონს" მეორე წრეში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **გოგი ფიფია** გამოეცალა, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე ბრაზილიელი **ვიეირა** მეორე წრეში კლუბის გამოცვლას აპირებდა და რამდენიმე ტური გააცდინა; "ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო მეგოლე **ნიკა გელაშვილი** მეორე წრისთვის ალარ შერჩა და საგოლე მომენტების ვერგამოყენების გამო რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა; "ამერი" დატოვეს **დავით ბოლქვაძემ** და **გიზო ჯელაძემ**, რითაც გუნდის ნახევარდაცვას მნიშვნელოვანი ძალა მოაკლდა,"ამერი" საშუასეზონო შეკრებაზე თბილისიდან ვერც კი გავიდა; რუსთავის "ოლიმპმა" სეზონში სამი მწვრთნელი გამოიცვალა და დაფინანსება შეუმცირდა.

მეტოქეთა ნაკლოვანებების გამოყენება სწორედაც რომ საქმეა და ეს უპირატესობა "დინამომ" კარგად გამოიყენა. ესეც რომ არა, დინამოელებმა სტაბილურად ითამაშეს, მთელი სეზონის განმავლობაში კონცენტრაცია არ დაუკარგავთ.

უჰრინის ნახაზი არ იყო რთული. ყველამ იცოდა, რა განლაგებას აირჩევდა ის, როგორ უზღუდავდნენ დინამოელები სივრცეებს მეტოქეს, როგორ მიჰქონდათ ბურთი მოწინააღმდეგის კარამდე - მექანიზმი გამართულად მუშაობდა და მისი მოყანყალება ვერავინ მოახერხა. ერთადერთი გუნდი, რომელიც ამ ჩემპიონატში "დინამომ" ვერ დაამარცხა,"ვიტ ჯორჯია" გამოდგა, თუმც საერთო ჯამში დინამოელებმა ვიტელებზე უკეთ ითამაშეს.

"დინამოს" ფუნდამენტს გაბონელი მეკარე **დიდიე ოვონო** და ავსტრალიელი ცენტრალური მცველი **ნედ ზელიჩი** წარმოადგენდნენ. მათი საიმედო თამაში ის პლაცდარმი გამოდგა, რომელზეც უჰრინმა გუნდი დააშენა. განაპირა მცველებით ვერ გამოირჩა "დინამო", თუ ოვონოს კართან ხიფათი იქმნებოდა, მეტწილად მორლვეული ფლანგების გამო.

**ლევან ხმალაძემ** და **დავით დილმელაშვილმა** გუნდის საყრდენი ცენტრი კარგად გაამაგრეს, მათ სწორ თამაშზე ბევრი იყო დამოკიდებული. ეფექტურად წარმოაჩინა თავი მათ წინ გამწესებულმა **მიხეილ ხუციშვილმა**, ვინც ჩემპიონატის ბომბარდირებში ლიდერობს. თამაშის გამწვავება კი ყველაზე კარგად **გიორგი მერებაშვილს** გამოსდიოდა. ის ფლანგებიდან ურევდა თავგზას მეტოქეთა დამცავ ჯებირებს, ცენტრშიც ინაცვლებდა და იქიდანაც ბომბავდა მოწინააღმდეგეს.

რიგიანად გაისარჯა ჩერნოგორიელი **ილია სპასოევიჩი**, თამაშს მოუმატა **დავით ოდიკაძემ**, გაბონელმა **ჟორჟ აკირემიმ** ცხრა გოლი გაიტანა...

მას შემდეგ, რაც ჩეხ მარცხენაფლანგელ **რომან დობეშს** სათადარიგოთა სკამი შეურჩიეს, "დინამოს'' სუსტი წერტილი, ფაქტობრივად ალარ აქვს.

ამ სეზონში ყველაზე საინტერესო დინამოური ამბავი ალბათ, **მათე ვაწაძის** დაწინაურებაა. "ალბათ" იმიტომ, რომ ვინძლო სხვას განსხვავებული აზრი ჰქონდეს. რამდენიმე კვირის წინ ვაწაძე "ლელოს" ერთ-ერთ სტატიაში **პიპო ინძაგის** შევადარეთ და ასეთი საინტერესო ფორვარდისთვის არც სხვა მეტაფორებს დავიშურებთ, მთავარია, მათემ ამის საფუძველი მოგვცეს. საგოლე დარტყმებით ის დაუნდობელი მატადორია თანაგუნდელებისგან მოქანცული, სისხლდაცლილი მეტოქეებისთვის.

...**ბერნდ შუსტერის** განწვრთნილი მადრიდის "რეალი" ესპანეთის ჩემპიონი გახდა, მაგრამ შუსტერის მუშაობით, მაინცა და მაინც არ არიან კმაყოფილნი არც გულშემატკივრები და არც კლუბის ხელმძღვანელები. შესაძლოა, შუსტერმა "რეალი" დატოვოს,რადგან გუნდმა ისე შთამბეჭდავად და ლამაზად ვერ ითამაშა, როგორც მადრიდის "რეალს" ეკადრება. "რეალს" თავისი ფილოსოფია ქვს.

არც "დინამოა" უბრალო კლუბი და მისგან თუ განსაკუთრებულს მოითხოვენ, სწორედაც რომ მოსათხოვნია.

"დინამოს" წლევანდელი ჩემპიონობა ახალი, კიდევ უფრო დიდი გამოწვევა გახდება თუ არა ამ კლუბისთვის, ჯერ არავინ იცის. ტიტულებს, ტრადიციებსა და ფილოსოფიას თავი რომ დავანებოთ, "დინამო" საქართველოში ერთადერთი კლუბია, სადაც ფეხბურთელისა, ასე თუ ისე, ნორმალური განვითარების და შრომის პირობებია შექმნილი. გულდასწყვეტი იქნება, თუ "დინამო" მხოლოდ სინეკურა გამოდგება ვილაც-ვილაცეებისთვის. "დინამოსგან" კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს ველით და ამიტომაც არის კითხვა აქტუალური - მოგწონთ დღევანდელი "დინამო"?

**დავით თავართქილაძე**

## P.S.

### უჰრინი დინამოდან მიდის, დობეში და ზელიჩიც?

**გუშინ, "ლელომ" შეიტყო, რომ "ზესტაფონთან" მოგებისა და ჩემპიონობის გაფორმების შემდეგ, თბილისის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადა და საიდუმლო გაუმხილა. როგორც ირკვევა, უჰრინი კარიერის დასრულებას აპირებს და ფეხბურთელებს თავდადებული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. ამასთანავე თბილისურ კლუბთან კონტრაქტები უმთავრდებათ ნედ ზელიჩსა და რომან დობეშს. შესაბამისად, სავსებით რეალურია, რომ კლუბი მათაც დატოვონ. თუმცა სეზონის ბოლოს რა მოხდება, ამას ჯერჯერობით ვერავინ ამბობს.**

**შეგახსენებთ, რომ დუშან უჰრინმა "დინამო" 2006 წლის შემოდგომაზე ჩაიბარა. მისთვის გუნდის გაჩემპიონების მეორე მცდელობა წარმატებული გამოდგა. ფეხბურთელები მისი ამ გადაწყვეტილებით დამწუხრებულები არიან. თავად უჰრინიც გულდაწყვეტილი და ამავე დროს ბედნიერია.**

***"თითქმის ოცი თვე გავატარე "დინამოში" და აქ გატარებული პერიოდი დიდხანს მემახსოვრება. ბედნიერი ვარ, რომ ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბში მომიწია მუშაობამ. ამავე დროს გულდაწყვეტილიც გახლავართ, რომ "დინამოსთან" გამოთხოვება მიწევს. სამწუხაროდ, უკვე ასაკოვანი ვარ, ჯანმრთელობაც არ მაქვს უწინდელივით და ამის გამო სამწვრთნელო კარიერის დასრულება გადავწყვიტე. საქართველოში მუშაობისას ყოველთვის გრძნობდი მხარში დგომას გულშემატკივრებისა და მასმედიის მხრიდან. ბუნებრივია, თანადგომა კლუბის ხელმძღვანელობის, ფეხბურთელების, სამწვრთნელო შტაბისა და კლუბის სხვა წევრებისგანაც არ მომკლებია. ამის გამო მათი მადლიერი ვარ", - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში დუშან უჰრინმა.***

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ექვსი ქართული გოლის ამბავი




ზურაბ მენთეშაშვილი (მარცხნივ)

მოლდოვაში ნაციონალური დივიზიონის დასრულებამდე ტურილა დარჩა, 30-ე ტურის გმირი კიშინოვის „დაჩიას“ ფორვარდი **ჯაბა დვალი** გახდა, რომელმაც „ტილიგულის“ კარში ორი გოლი გაიტანა. „დაჩიამ“ 56 ქულით მეორე ადგილზეა და „ნისტრუს“ მხოლოდ ქულით უსწრებს. ვერცხლის მედლების მოსაპოვებლად ბელციში „ოლიმპიის“ დამარცხება საკმარისი იქნება. „ტილიგულს“ ჯაბამ 38-ე და 89-ე წუთებზე გაუტანა. ბოლო წუთზე კი ის **ჟეპელეუმ** შეცვალა. შეუცვლელად ითამაშა „დაჩიას“ მეორე ქართველმა **ლევან კორლალიძემ**. ჯაბა დვალს ნაციონალურ დივიზიონში უკვე 10 გოლი დაუგროვდა. სხვათა შორის, „დაჩიას“ ამ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მოუხსნეს მთავარი მწვრთნელი **ემილ კარასი**.

ზედიზედ მერვედ გაჩემპიონებულმა „შერიფმა“ ქულათა მარაგი 75-მდე გაზარდა. ტირასპოლელებმა შინ 1:0 დაამარცხეს „ოლიმპია“, სადაც პირველ წრეში **ლადო ახალაია** თამაშობდა. „შერიფის“ უბერებელმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, პირველი ტაიმის მიწურულს მან ყვითელი ბარათი მიიღო.

**მამუკა ლომიძის** „ზიმბრუმ“ ვერ შეძლო შინ „ტირასპოლის“ ძლევა – 0:0. კიშინოვური გუნდი 48 ქულით მეხუთე ადგილზე დარჩა და ჩემპიონატსაც ამ ადგილზე დაასრულებს, რადგან „ტირასპოლთან“ 4-ქულიან ჩამორჩენას ვეღარ ამოქაჩავს. მამუკამ დაცვის მარჯვენა ფრთაზე შეუცვლელად ითამაშა. მატჩის 25-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულს მამუკამ თავი დაუხვედრა, მაგრამ „ტირასპოლი“ ძელმა იხსნა.

სლოვაკეთის პირველობაში **ირაკლი ლილუაშვილის** „ნიტრა“ მეორეადგილოსან „ჟილინას“ ესტუმრა და 1:1 ეთამაშა. „ნიტრა“ 48 ქულით მესამე ადგილზეა. ამჯერად, ქართველ ახალწვეულს არ უთამაშია. ირაკლიმ გუშინ „ნიტრას“ დუბლებში ითამაშა, რომელიც სლოვაკეთის მეორე დივიზიონში თამაშობს, „ნიტრამ“ „პუხოვი“ დაამარცხა – 2:1.

დანიის პირველ დივიზიონში გასავარდნ ზონაშია **მიხეილ ბარაბაძის** ჰიკ. მორიგ ტურში ჰიკ სტუმრად 1:2 დამარცხდა „სონდერილანდთან“. ბარაბაძე მოედანზე 71-ე წუთზე შევიდა.

ლატვიის ვირსლიგაში მე-5 ტური გაიმართა. ჩემპიონმა „ვენტპილსმა“ 2:0 დაამარცხა „იურმალა“ და პირველი ადგილი შეინარჩუნა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** 53-ე წუთზე ვიხილეთ, როცა მან **კოლესნიჩენკო** შეცვალა.

რიგის დერბიში „სკონტო“ 1:2 დამარცხდა „რიგასთან“. **ვლადიმერ დვალიშვილი** 74-ე წუთიდან ვიხილეთ, როდესაც მან პენალტის ვერგამტანი **ალექსანდრს ცაუნია** შეცვალა. მატჩის მიწურულს ლადომ ყვითელი ბარათი მიიღო. 78-ე წუთზე მოედანზე **დავით გამეზარდაშვილიც** გამოვიდა, **ზაალ ელიავა** კი განაცხადშიც არ ყოფილა. **თამაზ პერტიას** „დინაბურგი“ „ბლაზმას“ ესტუმრა და 2:0 მოუგო. "ბლაზმას" რიგებში 69-ე წუთამდე ითამაშა **ირაკლი ქორთუამ**. „ვენტსპილსი“ 10 ქულით ლიდერია, თუმცა თამაზ პერტიას განწვრთნილ „დინაბურგს“ 8 ქულა აქვს და ერთით ნაკლები მატჩი აქვს გამართული. „სკონტო“ 7 ქულით მესამე ადგილზეა, ხოლო „ბლაზმა“ 4 ქულით – მეშვიდე.

ლიტვის A ლიგაში, როგორც იქნა, მოიგო ჩემპიონმა „კაუნასმა“, რომელმაც შინ „შიაულიაი“ 2:0 დაამარცხა. „კაუნასი“ 6 თამაშიდან 10 ქულით მესამე ადგილზეა. „კაუნასის“ ქართული ტრიოდან სასტარტოში მხოლოდ **აკაკი ხუბუტიამ** ითამაშა.

ბელარუსში მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა **გია ჭედიას** „ტორპედო“ ჟოდინოდან სტუმრად „მტზ-რიპოსთან“ განადგურდა – 2:4. ქართველ ფორვარდს არ უთამაშია. **გია თოდუასა** და **რომან გოგინაშვილის** „დინამომ“ ბრესტში ჩემპიონატის პირველ გამარჯვებას მიაღწია, აუტსაიდერებმა „დარიდა“ 2:1 დაამარცხეს.

ჩვენს სამეზობლო აზერბაიჯანში 23-ე ტურის მატჩები გაიმართა. საჩემპიონო რბოლა კვლავ დაიძაბა და ისევ საინგილოში, კახში გამართული მატჩის წყალობით. „სიმურგმა“ ლიდერი „ოლიმპიკი“ შინ მხოლოდ ქულით გაუშვა – 0:0. სასტარტოში იყვნენ **დავით ბოლქვაძე** (რმელიც 72-ე წუთზე შეცვალეს) და **კახა ჩხეტიანი**.

ამასობაში ევლახში რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც მოიგო „ოლიმპიკის“ მდევარმა „ნეფთჩიმ“. გამარჯვების გოლი 53-ე წუთზე პენალტის ნიშნულიდან **გიორგი ადამიამ** გაიტანა - 1:0. სხვათა შორის, გიორგიმ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გაანიავა. 75-ე წუთზე ქართველი ფორვარდი შეცვალეს. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს **რომან ახალკაცმა** და **გოჩა ტრაპაიძემ**, **ალექსანდრე ინწკირველი** არ ყოფილა. სხვათა შორის, ახალკაცმა „ნეფთჩის“ კარში გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ის თამაშგარის გამო არ ჩათვალა.

აუტსაიდერთა ჯახში „გენჩლერბერლიისთან“ 0:1 დამარცხდა „მასალი“, რომლის რიგებში ტრავმის გამო არ იყო **ვაჟა ლომაშვილი**, სამაგიეროდ სრულად ითამაშა **ბორის გონჩაროვმა**. აზერბაიჯანის ჩემპიონატის ყველაზე ქართული გუნდი „კაბალა“ სტუმრად „თურანთან“ 2:4 დამარცხდა. გამარჯვებულთა შორის 90 წუთი ითამაშა **ირაკლი ბერაიამ** და ერთი საგოლე პასიც მიითვალა. „კაბალას“ სასტარტოში იყვნენ: **ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე, თორნიკე აფციაური** მე-60 წუთზე შემოვიდა და ათ წუთში გოლი გაიტანა. მამალაძე და აფციაური გააფრთხილეს.

**კახა ცხადაძის** „სტანდარდი“ 0:1 დამარცხდა „ყარაბახთან“. მასპინძლებს **გოგა ბერაია** დააკლდათ, სტუმრებს - **ვლადიმერ უგრეხელიძე**. სტუმრად ჩემპიონ „ხაზარს“ 0:0 დაუზავდა **ალექსანდრე გოგობერიშვილისა** (შეუცვლელად ითამაშა და გააფრთხილეს) და **ამირან მუჯირის** (ბოლო წუთზე შევიდა) „ბაქი“. გიორგი ადამიას „ნეფთჩი“ მეორე ადგილზეა და მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება „ოლიმპიკს.

ჩვენებურებმა თავი სომხეთშიც გამოიჩინეს. მეოთხე ტურში კაპანის „განძასარმა“ სტუმრად 2:1 დაამარცხა „კილიკია“. მე-17 წუთზე სტუმრები **გაგა თბილაშვილმა** დააწინაურა, 21-ე წუთზე კი **დავით ხანიშვილმა** ორამდე გაზარდა უპირატესობა. „განძასარი“ 4 ქულით ჯერჯერობით, მე-6 ადგილზეა.

ყაზახეთის ჩემპოიონატის მორიგ ტურს ქართული ლეგიონი ერთით შეთხელებული შეხვდა. **რევაზ ძოძუაშვილის** „შახტიორში“ მხოლოდ **ლაშა ნოზაძელა** ირიცხება, მისი თანამემამულე **ლევან მელქაძე** კი გუნდიდან წავიდა. „შახტიორი“ შინ 1:1 დაუზავდა „ასტანას“. ნოზაძემ შეუცვლელად ითამაშა. ძმები **ჯელაძეების** „ვოსტოკი“ „ესილბოგატირთან“ 1:2 დამარცხდა. **ზვიადმა** სრულად ითამაშა, **გიზო** კი 74-ე წუთზე ჩართეს თამაშში. მოულოდნელად დამარცხდა ლიდერი „კაისარი“, შინ „ოკჟეტპესთან“ – 1:2. **ლაშა ჭელიძემ** 90 წუთი ითამაშა მასპინძელთა შორის. „კაისარი“ 18 ქულით ლიდერობს, „შახტიორს“ 11 ქულა აქვს და ძოძუაშვილის გუნდი მხოლოდ მერვეა. „ვოსტოკი“ 6 ქულით ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტურის წინ

# შალკე დეჟავიუს წინააღმდეგ

**დღეს**

კარლსრუე-კოტბუსი
ბოხუმი-შალკე
ბორუსია (დ)-შტუტგარტი
ჰანოვერი-ჰანზა

**ხვალ**

ნიურნბერგი-დუისბურგი
აინტრახტი-ვოლფსბურგი
ლევერკუზენი-ჰერტა
ჰამბურგი-ვერდერი
ბაიერნი-არმინია

ტიტული უკვე გათამაშებულია: "ბაიერნი" ჩემპიონია! თითქმის გარკვეულია იმ სამი გუნდის ვინაობაც, რომლებიც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებენ. შესაბამისად, ახლა მთავარი ინტრიგა უეფას თასისა და ელიტაში დარჩენისთვის მებრძოლი გუნდების ერთმანეთში ქიშპობაა. მაგალითად, დღეს როსტოკის "ჰანზა" ჰანოვერში უკანასკნელი შანსისთვის იბრძოლებს. ხვალ კი, ბოხუმში რურის მცირე დერბია: "ბოხუმი"-"შალკე". ხვალვე, ჰამბურგში ჩრდილოეთის დერბია: HSV "ვერდერს" უმასპინძლებს. ასევე უაღრესად დაძაბული და საინტერესო იქნება "ნიურნბერგისა" და "დუისბურგის" მატჩი, სადაც გადარჩენისთვის მიდის ბრძოლა.

გასულ უქმეებზე დორტმუნდის "ბორუსიამ" თავისი ფანების მრავალრიცხოვან არმიას იმედები კიდევ ერთხელ გაუცრუა. შეძლებს თუ არა BVB დღეს ქომაგების გულის გახარებას, ეს საკითხავია. ვესტფალიელები ექსჩემპიონ "შტუტგარტს" მასპინძლობენ, რომელიც მეხუთე ადგილზეა და ჯერაც არ დაუკარგავს იმის შანსი, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. "ბორუსიას" დღეს ლიდერი და ბომბარდირი **მლადენ პეტრიჩი** დააკლდება (ტრავმა), შვაბებს კი კაპიტანი **ფერნანდო მეირა** და ლიდერი **თომას ჰიტცლშპერგერი** უბრუნდებიან.

"შალკე" სამეულშია და "შტუტგარტს" 4 ქულით უსწრებს. სეზონის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ეს ძალიან კარგი უპირატესობაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდს წაფორხილების უფლება არ აქვს. გელზენკირხენელები ბოხუმში ჩადიან და შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს შარშანდელი სეზონის 31-ე ტური, როცა "შალკე" "ბოხუმს" გერმანიის ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტის რანგში ესტუმრა. მაშინ შალკელები 4 ქულიანი უპირატესობით ლიდერობდნენ და ჩემპიონობის ძალიან კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ "ბოხუმთან" 1:2 დამარცხდნენ, მერე კი პირველი ადგილიც დაკარგეს. ამჯერად "ხუმარები" მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან, მაგრამ მათი მდევარი კვლავინდებურად "შტუტგარტია".

"ჰამბურგთან" დამარცხებისა (1:3) და ბოლო ადგილზე დაქვეითების შემდეგ, როსტოკის "ჰანზა" უმძიმესი წნეხის ქვეშაა. მეკლენბურგელებს ახლა სამი ქულა ისე სჭირდებათ, როგორც არასდროს. გავარდნის კიდევ ერთი კანდიდატი "კოტბუსი" უმოტივაციო "კარლსრუეს" სტუმრობს. "ენერგის" წაგების უფლება არ აქვს. ბადენელებმა შაბათს "ჰერტასთან" 1:3 წააგეს.

ოთხშაბათის უმთავრესი მატჩი ჩრდილოეთის დერბია. **ჰუუბ სტეევენსის** გუნდმა გასულ უქმეებზე ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, დაამარცხა რა "ჰანზა" ანგარიშით 3:1. მაგრამ ფაქტია, რომ "ვერდერი" სულ სხვა კალიბრია. ბრემენელებს დღეს დისკვალიფიცირებული **ტორსტენ ფრინგსი** არ ეყოლებათ. "ბაიერნი", რომელმაც კვირას გერმანიის ჩემპიონობა გაიფორმა, ხვალ მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის საფრთხის წინაშე მდგარ "არმინიას" მიიღებს. ბილეფელდელებს დიდი იმედი აქვთ, რომ რეკორდმაისტერის ფეხბურთელები მოშვებულები იქნებიან. მიუხედავად იმისა, რომ "არმინიას" "ბაიერნთან" კატასტროფული ბალანსი აქვს (1-2-12), მწვრთნელ **მიხაელ ფრონტცეკს** სჯერა, რომ მის გუნდს "ალიანს არენაზე" მეტოქის უმოტივაციობის გამოყენებისა და წარმატების მიღწევის შანსი აქვს.

ხვალვე, მე-16 და მე-17 ადგილზე მყოფი "ნიურნბერგი" და "დუისბურგი" "ფრანკენშტადიონზე" ერთმანეთს ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის შეებრძოლებიან. თუკი "ნიურნბერგმა" წინა ტურში დორტმუნდში ფრეს მიაღწია, "ზებრებმა" "ლევერკუზენი" დაამარცხეს და ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვეს. დიდი შანსია, რომ "ნიურნბერგის" ქომაგებმა გუნდის თავდამსხმელ **იან კოლერს** უსტვინონ და არც ისაა გამორიცხული, რომ ჩეხმა სასტარტო შემადგენლობაში არ ითამაშოს, რადგან ფანები ნაწყენები არიან იმის გამო, რომ წინა ტურში, ექს-დორტმუნდელმა კოლერმა საფინალო სასტვენის შემდეგ, "ბორუსიის" ფანებს 15 წუთის განმავლობაში უხსნა სიყვარული და მოედანი დიდხანს არ დატოვა. გულშემატკივრები ამბობენ, გუნდი მეორე ბუნდესლიგაში ვარდება, ამას კი ეს ყველაფერი სულ არ ადარდებსო. "დუისბურგი" საკმაოდ კარგ ფორმაშია, თანაც "ზებრები" "ლევერკუზენის" დამარცხების შემდეგ გაცილებით თავდაჯერებულები გახდნენ. ორივე გუნდს სამი ქულა ჰაერივით ესაჭიროება.

"ბაიერი" არასახარბიელო ვითარებაშია. **მიხაელ სკიბეს** სამწყსომ ბოლო 7 შეხვედრაში ოდენ 4 ქულას მოუყარა თავი, რის გამოც უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვნად ჩამოქვეითდა. "ფარმაცევტები" "ჰერტას" ხვდებიან და მხოლოდ სამი ქულა აწყობთ, ბერლინელებს კი კაპიტანი **არნე ფრიდრიხი** და **ებერტი** არ ეყოლებათ (ორივე ტრავმირებულია). თუ "ლევერკუზენი" ვერ მოიგებს, დიდი შანსია, რომ სეზონის ბოლოს მხოლოდ ინტერტოტოს თასის საგზურს დასჯერდეს.

თუმცა მეექვსე ადგილი "აინტრახტისა" და "ვოლფსბურგის" სამიზნეცაა. ეს გუნდები ხვალ ფრანკფურტში ერთმანეთს უპირისპირდებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 31 | 19 | 10 | 2 | 59-18 | 67 |
| 2. ვერდერი | 31 | 17 | 6 | 8 | 67-44 | 57 |
| 3. შალკე | 31 | 15 | 10 | 6 | 49-32 | 55 |
| 4. ჰამბურგი | 31 | 13 | 12 | 6 | 40-23 | 51 |
| 5. შტუტგარტი | 31 | 16 | 3 | 12 | 53-48 | 51 |
| 6. ლევერკუზენი | 31 | 14 | 6 | 11 | 54-36 | 48 |
| 7. ვოლფსბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 47-42 | 45 |
| 8. ჰანოვერი | 31 | 11 | 10 | 10 | 46-50 | 43 |
| 9. აინტრახტი | 31 | 11 | 10 | 10 | 37-44 | 43 |
| 10. კარლსრუე | 31 | 11 | 9 | 11 | 36-42 | 42 |
| 11. ბოხუმი | 31 | 9 | 11 | 11 | 44-48 | 38 |
| 12. ჰერტა | 31 | 10 | 8 | 13 | 35-39 | 38 |
| 13. ბორუსია (დ) | 31 | 9 | 9 | 13 | 43-54 | 36 |
| 14. კოტბუსი | 31 | 8 | 8 | 15 | 32-51 | 32 |
| 15. არმინია | 31 | 8 | 8 | 15 | 31-54 | 32 |
| 16. დუისბურგი | 31 | 8 | 5 | 18 | 32-46 | 29 |
| 17. ნიურნბერგი | 31 | 6 | 10 | 15 | 33-48 | 28 |
| 18. ჰანზა | 31 | 7 | 6 | 18 | 27-46 | 27 |



ერთი წლის წინ, ფაბიან ერნსტის (ქვემოთ) შალკემ თომას ყდებელის ბოხუმთან გადამწყვეტი მატჩი 1:2 წააგო

მოსაზრება

# შვედი ინგლისისთვის არ დაბადებულა

## ერიქსონის შემცვლელებად სკოლარი და რაიკაარდი მოიაზრებიან

**შვედ სპეციალისტ სვენ გორან ერიქსონს არ უმართლებს. მან ინგლისის ნაკრების მწვრთნელად იმუშავა და მარცხი განიცადა, მაგრამ რისკმა ის მეორედ დააბრუნა ნისლიან ალბიონზე, ამჯერად, უკვე "მანჩესტერ სიტის" მწვრთნელის პოსტზე. ვერ უარყოფ იმას, რომ გულშემატკივრების ნაწილი, ჟურნალისტები და ექსპერტები მისგან უეცარ "ჩავარდნას" მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ მოხდა პირიქით...**



სვენ გორან ერიქსონი

"სიტიმ" ჩემპიონატი ისე ძლიერად დაიწყო, სკეპტიკოსებმა ყველაფერი ტაილანდელი ექსპრემიერის, **ტაქსინ შინავატრას** ფულებს მიაწერეს. როცა კლუბს შეუძლია სერია A-ს ერთ-ერთი უძლიერესი ბომბარდირი (**როლანდო ბიანკი**) შეიძინოს, წარმატება მოსალოდნელი კი არა, აუცილებელიცაა. როცა შინაურ მატჩებში გუნდის გამარჯვებათა სერიამ 9-მატჩიან ნიშნულს მიაღწია, მაშინვე გაიხსენეს, რომ შვედი სპეციალისტი ჩემპიონი სამ სხვადასხვა ქვეყანაში გახდა და უეფას თასიც კი მოიგო საშუალო ძალის მქონე "გიოტებორგთან" ერთად.

ამ სეზონში კლუბის უმაღლეს წერტილად იქცა "მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხება, თან იმ დღეს, როცა "ოლდ ტრეფორდზე" "წითელი ეშმაკები" 50 წლის წინათ მიუნხენში დაღუპულ, ლეგენდარულ "ბასბის ბიჭებს" იხსენებდნენ. მაშინ ჩანდა, რომ "სიტი" წარუმატებელ ტენდენციას გადალახავდა. დერბიმდე გამართულ ათ მატჩში მხოლოდ ორჯერ მოიპოვეს გამარჯვება. მართალია, ორჯერვე დამარცხდნენ, მაგრამ ფრეთა უამრავი რაოდენობა სატურნირო ცხრილში გუნდის ჩამოქვეითებას უწყობს ხელს. სამწუხაროდ, მალე სიტუაცია უფრო გართულდა: შემდგომ ათ მატჩში "სიტი" ხუთჯერ დამარცხდა. სამმა მოგებამ შინავატრას გული ვერ მოულბო და ლიად დაიწყო იმაზე საუბარი, რომ "სიტის" ახალი მწვრთნელი ეყოლება მომავალ სეზონში თუ შედეგები არ გამოსწორდება.

ტაილანდელი მეპატრონე იმასაც კი არ აქცევდა ყურადღებას, რა პირობებში მოუხდა **სვენ გორან ერიქსონს** გუნდის მოედანზე გაყვანა. ტრავმებმა გადამდები ხასიათი მიიღო და ბოლოს, მცველად, ნომინალური შემტევი ნახევარმცველი **ელანო** თამაშობდა. შვედის საფეხბურთო ფილოსოფიაში კი დაცვის ხაზს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ყველა გუნდი, რომელსაც ერიქსონი ხელმძღვანელობდა, საკუთარ კართან საიმედო თამაშს ეყრდნობოდა, ახლა კი ეს საყრდენი გამოეცალა.

შვედს ფეხბურთელის გამოცნობის შესანიშნავი უნარი აქვს. რაც არ უნდა ილაპარაკო შინავატრას ფულებზე, მოედანზე ხომ ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს და არა ფინანსებმა. სწორედ ერიქსონმა გაამდიდრა პრემიერლიგა **ვედრან ჩორლუკათი,** იმავე ელანოთი, **მარტინ პეტროვით,** სწორედ შვედმა გარისკა "პორტსმუთიდან" **ბენჯანი მვარუვარის** გადმობირება. მაგრამ იყო სატრანსფერო მარცხიც, მაგალითად, 8.8 მილიონ გირვანქად შეძენილი იტალიელი ფორვარდი ბიანკი გუნდს არაფერში გამოადგა.

ამბობენ, რომ ერიქსონი "სიტის" დატოვებას აპირებს და მიზეზად კლუბის მეპატრონის ცხარე კრიტიკას ასახელებენ. შინავატრას არ მოსწონს თამაშის ხარისხი და ამას ხმამაღლა ამბობს. თავის მხრივ, სვენი ამ ყველაფერს, ცხადია, ნეგატიურად აღიქვამს. მისი აზრით, პრობლემები კლუბის შიგნით უნდა განხილულიყო და არა საჯაროდ. მწვრთნელი ცდილობდა ურთიერთობის მოგვარებას, მაგრამ შინავატრასთან შეხვედრას შედეგი არ მოჰყოლია.

მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოსალოდნელ კანდიდატებს შორის ასახელებენ ბრაზილიელ **ლუიშ ფელიპე სკოლარისა** და ჰოლანდიელ **ფრანკ რაიკაარდს.** ყველაფერს ნათელი "თაიმსმა" მოჰფინა. მისი ინფორმაციით, ერიქსონი ტოვებს მწვრთნელის პოსტს. ეს სეზონის ბოლოს მოხდება. 11 მაისს "სიტი" ბოლო მატჩს ატარებს მიდლსბროში, მომდევნო დღეს კი შინავატრამ უკვე დანიშნა დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელზეც შვედის გადადგომას დაამტკიცებენ.

ერიქსონის შესაძლო შემცვლელებიდან, სკოლარი, რომელიც ამჟამად პორტუგალიის ნაკრებს ხელმძღვანელობს, საკუთარ მომავალზე საუბარს ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე თავს არიდებს. მისი უარის შემთხვევაში, შინავატრა მოლაპარაკებას დაიწყებს რაიკაარდთან, რომლის "ბარსელონიდან" წასვლის თაობაზე მედია, როგორც უკვე გადაწყვეტილ ამბავზე, ისე საუბრობს.

**დავით ჩუბინიძე**

მანჩესტერ იუნაიტედი

# საჩუქარი დუბლისთვის

დუბლის შესრულების შემთხვევაში, "მანჩესტერ იუნაიტედის" თითოეული ფეხბურთელი, პრემიის სახით, 250 000 გირვანქას მიიღებს. ინგლისური პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოგებისთვის ფეხბურთელების დასაჩუქრება ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე გადაწყდა, კლუბის მფლობელ **გლეიზერებთან.**

**კრისტიანო რონალდოსა** და კომპანიას ტიტულის მოსაგებად დარჩენილი ერთი თამაშის მოგება სჭირდება. "წითელ ეშმაკებს", 21 მაისს, მოსკოვის "ლუჟნიკიზე" ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ჩელსისთან" შეხვედრა ელით. სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭები ინგლისის ჩემპიონებად უკვე მომავალ კვირას, "ვიგანთან" გამარჯვების შემთხვევაში ეკურთხებიან.



ფერგიუსონმა შეაქო მთელი გუნდი, გამოცდილებიც, ახალბედებიც და აღნიშნა, რომ მომავალ სეზონში მისი შეგირდები უფრო უკეთ ითამაშებენ. "ჩელსის" ჩეხ მეკარე **პეტრ ჩეხს** სჯერა, რომ მისი კლუბი უფრო ძლიერია ახლა, ვიდრე ორი სეზონის წინ, როცა პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ჩეხეთის ნაკრების კიპერი "არისტოკრატების" სიძლიერეს იმით ხსნის, რომ მძიმე პერიოდში ისინი ერთ მუშტად შეიკრნენ და სიძნელეები ერთად გადალახეს.

*"გასული კვირა საუცხოო იყო, რადგან "იუნაიტედი" დავამარცხეთ და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით. "ჩელსი" ყოველთვის ყველაზე მეტად განიცდის ზეწოლას, მაგრამ ჩვენ ამას შეჩვეულები ვართ და იმედია, გამარჯვების მოპოვებით ამას დავძლევთ"* - განაცხადა ჩეხმა.

**დავით ჩუბინიძე**

ინტერვიუ მიხაელ ბალაკთან

# ნახევარფინალში ჩვენ, საფრანგეთი, იტალია და პორტუგალია ვიქნებით

**გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იოახიმ ლიოვი აშენებს გუნდს, რომელიც ერთ ფეხბურთელზე არ იქნება ჩამოკიდებული. მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ ბუნდესგუნდი ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატზე მიხაელ ბალაკს დიდ იმედებს უკავშირებს. დღეს სწორედ ბალაკის ინტერვიუს გთავაზობთ. გერმანელთა ერთ-ერთი ლიდერი წინასაევროპო განცდებზე, გეგმებსა და საკუთარ მომავალზე საუბრობს. აქვე ერთს გაგიმხელთ: ნაკრებში ის 2010 წლამდე აპირებს თამაშს...**




**- ჰერ ბალაკ, ბუნდესგუნდის მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა თქვენზე თქვა, რომ...**

- ...რომ ძალიან ნიჭიერი ვარ?

**- რა თქმა უნდა, ესეც. ის ელოდება, რომ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით ითამაშებთ. თქვენც ანალოგიური განცდა გაქვთ?**

- რა გითხრათ... იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება. მაგრამ ახლა არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ოთხი წლის წინათაც კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ როგორც ნახეთ, ევროპის ჩემპიონატზე ჩავფლავდით. მირჩევნია, მე საერთოდ არ გამოვირჩეოდე ტურნირზე, გერმანიის ნაკრებმა კი ტიტული მოიგოს.

**- რაც შეეხება ტიტულებს. ნანობთ, ლონდონში რომ გადაბარგდით?**

- არა, ოდნავადაც არ ვნანობ. როცა ხუთკილომეტრიან კროსზე გადიხარ, გუნდთან ერთად უფრო იოლად გაირბენ ამ დისტანციას, ვიდრე მარტო. ასეა ფეხბურთშიც: როცა გვერდით ძლიერი პარტნიორები გყავს, გაცილებით მალე ვითარდები. "ბაიერნთან" ერთად გერმანიის ჩემპიონიც ვიყავი და თასის მფლობელიც, თან არა ერთხელ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მუდამ წარუმატებლად გამოვდიოდით. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღესაც, მივხვდი, რომ მხოლოდ ბუნდესლიგაში გამარჯვება საინტერესო აღარ იყო და რაღაც ახალი გამოწვევა მჭირდებოდა.

**- "ლევერკუზენსა" და "ბაიერნში" დირიჟორის ფუნქციას ასრულებდით, "ჩელსიში" კი სხვა პოზიციაზე თამაშობთ. ეს უფრო თანამედროვე მოთხოვნაა, არა?**

- ვთამაშობ შუა ხაზში, ვაკეთებ პასებს, ვიხევ უკან და ვეხმარები მცველებს, ვურტყამ კარში შორი მანძილიდან... ანუ, მე და ლემპარდი ერთსა და იმავე დავალებას ვასრულებთ. თუ ეს თანამედროვეა, იყოს... მაშინ ვთქვათ, რომ ჩვენ თანამედროვე სტილში ვიგებთ...

**- ეს ფრაზა ოტო რეჰაგელისგან ისესხეთ?**

- ყველა მწვრთნელისგან ისწავლი რაღაცას.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის იმის მიზეზი, რომ ბუნდესლიგა საგრძნობლად ჩამორჩება ევროპის წამყვან ჩემპიონატებს? ფული? ან იქნებ ეთანხმებით გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იოახიმ ლიოვს, რომელმაც ერთხელ თქვა, რომ უფულობა მხოლოდ წარუმატებლობის გასამართლებელი წვრილმანი საბუთია და მეტი არაფერი?**

- მეთოდური და სისტემატური მუშაობით გარკვეულ წარმატებებს მართლაც შეიძლება მიაღწიო, მაგრამ თუ გინდა უფრო მეტი, მაშინ ტოპ-კლასის ფეხბურთელებიც გჭირდება. ისინი კი ძალიან ძვირად ფასობენ.

**- "ბაიერნმა" ფეხბურთელებში 70 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა, მწვრთნელად იურგენ კლინსმანი მიიწვია. რას იტყოდით ამ ნაბიჯებზე?**

- ვთვლი, რომ "ბაიერნის" ბოსები სწორად იქცევიან. მათ შეცვალეს სტრატეგია და უკვე თამამად იწვევენ უცხოელ ვარსკვლავებს, ეს კი წარმატების წინაპირობაა, თუმც წარმატება იოლად და ყოველთვის არ მოდის. მოთმინებაა საჭირო.

**- არ გსურთ, იმ ვარსკვლავებს შორის თქვენც იყოთ?**

- ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში, რადგან უკვე ვთამაშობ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში და ამით ყველაფერი ნათქვამია.

**- ეროვნულ ნაკრებში კლინსმანის მცირეხნიანმა ეპოქამ დიდი იმედები ჩასახა. ამას გარდა, გერმანიის მთავარმა გუნდმა მშვენივრად ჩაატარა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლიც. და ფაქტია: დღეს ბუნდესნაკრები ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია...**

- არც მთლად ასეა საქმე. მე, მაგალითად, ნახევარფინალში იტალიას, გერმანიას, საფრანგეთსა და პორტუგალიას ველოდები, ფენომენალურად მოთამაშე კრისტიანო რონალდოთი. მაგრამ მანამდე ბევრი წვრილმანია მოსაგვარებელი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერმანული კლუბები ევროსარბიელზე დიდი ხანია ვერაფერს აღწევენ და ეს სერიოზული პრობლემაა.

**- იენს ლემანი "არსენალში" სკამზე ზის, ზოგიერთი მოთამაშეც არ არის ამ დროისთვის ფორმაში...**

- მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. შეიძლება, დღეს ფორმაში არ იყო, მაგრამ ოპტიმალურ კონდიციებს უშუალოდ ევროპის ჩემპიონატის წინ მიაღწიო. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მიხარია, რომ ტრავმის შემდეგ, როგორც იქნა, მწყობრში დაბრუნდა ტორსტენ ფრინგსი. იმედია, კრისტოფ მეტცელდერიც მოასწრებს გამოჯანმრთელებას.

**- ეთანხმებით მოსაზრებას, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ბევრმა ფეხბურთელმა პროგრესი ვერ განიცადა?**

- ვეთანხმები, მაგრამ მიზეზს ვერ გეტყვით. შეიძლება, ნორმალურია, რომ ახალგაზრდულ წლებში მოთამაშეებს კონცენტრაცია აკლიათ. ადრე ამბობდნენ, ფეხბურთელებმა ეროვნულ გუნდამდე დიდი გზა უნდა გაიარონო. როცა ვხედავთ, რამდენი მატჩი აქვთ ჩატარებული ნაკრებში შვაინშტაიგერსა და პოდოლსკის, ადვილი წარმოსადგენია, რომ ისინი მალე ლოთარ მათეუსის რეკორდს დაამხობენ.

**- კრისტიანო რონალდოც ახალგაზრდაა...**

- მართალი ხართ. ბოლო ორი წელიწადია ის ფანტასტიკურ დონეზე თამაშობს. რონალდო მწვერვალისკენ მიდის, მაგრამ ეს გზა ეკლიანია.

**- ლიოვი ამბობს, ბალაკი ბევრ თანაგუნდელს ეხმარებაო. რაში გამოიხატება ეს დახმარება?**

- პასუხი მარტივია: თუ გულით თამაშობ, ესე იგი კარგად თამაშობ. უბრალოდ, ახალგაზრდა ფეხბურთელს საკუთარი მაგალითით უნდა აჩვენო, რა და როგორ გააკეთოს.

**- მომავალი მუნდიალისთვის 34 წლის იქნებით. ხომ არ ფიქრობთ, რომ ევროპის ჩემპიონატი, შეიძლება, თქვენს ბოლო დიდ ტურნირად იქცეს?**

- მინდა, ნაკრებში 2010 წლამდე ვითამაშო. დღეს ეს არის ჩემი მიზანი.

**- ძალიან მჭიდრო გრაფიკი გაქვთ. გრჩებათ კი დრო ცხოვრებისეული სიამოვნებებისთვის?**

- ძალიან ცოტა. სეზონის შემდეგ მხოლოდ ორი-სამი კვირაა დასვენებისთვის, მერე ისევ ფეხბურთი...

**- კარიერის დასრულების შემდეგ სად აპირებთ ცხოვრებას?**

- ზუსტად ვიცი, რომ გერმანიაში ვიცხოვრებ, უფრო მიუნხენში...

**- და რას გააკეთებთ?**

- იმას, რაც მესიამოვნება.

**- შეძლებდით მწვრთნელად მუშაობას?**

- ვფიქრობ, შევძლებდი, მაგრამ სხვა საკითხია, მინდა თუ არა.

**- კლუბის გამოცვლას ხომ არ აპირებთ?**

- არა, არ ვაპირებ. ეს საკითხი არ მაღელვებს. როცა 18 ან 23 წლის ხარ, კლუბის გამოცვლა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და ბევრი ხშირად შეცდომასაც უშვებს. ჩემს ასაკში კი ეს არ ხდება, პატარა აღარ ვარ...

**- არიან სპორტსმენები, რომლებმაც აღგაფრთოვანეს კარიერის ლამაზი დასასრულით?**

- მიხაელ შუმახერი. ის საუკეთესო იყო. ან თუნდაც ჩვენი ნაკრების ყოფილი მოთამაშე მარკო ბოდე, რომელმაც 33 წლისამ მშვიდად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაასრულა კარიერა. ეს მართლაც ლამაზი გამოთხოვება იყო...

**გიორგი ბელაშვილი**

ბაიერნი

# მიუნხენში ზეიმობენ და გატუზოზე ფიქრობენ

## რეკორდმაისტერი უმაღლესი კლასის საყრდენსა და მეოთხე თავდამსხმელს ეძებს

ოფიციალურად გაჩემპიონების შემდეგ, მიუნხენის "ბაიერნის" ფეხბურთელებმა "ვერცხლის სინის" დაბრუნება ჯეროვნად იზეიმეს, მაგრამ არავინ მალავს, რომ რეკორდმაისტერის მორიგი ტრიუმფს "მარილი აკლდა", რაც ერთმნიშვნელოვნად უეფას თასზე განცდილი კრახის ბრალია. მიუხედავად ამისა, **ოტმარ ჰიტცფელდმა** და მისმა შეგირდებმა ჯერ "ვოლფსბურგის" სტადიონზევე იზეიმეს, მერე კი ღამის კლუბებში გადანაწილდნენ. ერთი სიტყვით, მოლხენა ტრადიციული იყო.

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ფეხბურთელები "ფოლკსვაგენარენაზე" ლუდით წუწაობდნენ, ჰიტცფელდს კალიფორნიიდან ტექსტური შეტყობინება მიუვიდა. სწორად გამოიცანით: "გენერალს" გერმანიის კიდევ ერთი, რიგით მეშვიდე ჩემპიონობა "ბაიერნის" მომავალმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა** მიულოცა. კლინსმანის შემდეგ, რეკორდმაისტერს "ვერცხლის სინი" უკვე გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** მიულოცა, რომელმაც განაცხადა, რომ "ბაიერნი" ამ სეზონში საუკეთესო გერმანული კლუბი იყო. ეს მართლაც ფაქტია.

*"ვფიქრობ, რაც ამ სეზონში გავაკეთეთ, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ კმაყოფილები ვიყოთ. დარწმუნებული ვარ, რომ "ბაიერნი" იურგენ კლინსმანის ხელშიც უაღრესად წარმატებული იქნება,"* - ეს ჰიტცფელდის სიტყვებია. იმ დროს, როცა ბავარიელებს სეზონის ბოლომდე კიდევ სამი უმნიშვნელო მატჩი დარჩათ, მიუნხენში უკვე მომავალზე საუბრობენ - მომავალზე, რაც კლინსისთან ასოცირდება. მაგალითად, ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** დარწმუნებულია, რომ იურგენი "ბაიერნს" უდიდეს წარმატებებს მიაღწევინებს. *"კლინსმანი უაღრესად მოტივირებულია, რაც ყველაზე მეტად მახარებს. ეჭვი არ მეპარება, რომ მისი სახით იდეალური მწვრთნელი მოვიწვიეთ,"* - უთხრა რუმენიგემ "ველტს".



როგორც ირკვევა, კლინსმანის გეგმებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს "მილანისა" და იტალიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **ჯენარო გატუზო**. ადრეც ვწერდით, რომ "ბაიერნი" ამ ფეხბურთელითაა დაინტერესებული და როგორც ჩანს, დაინტერესება კონკრეტულ წინადადებაში გადაიზარდა. "ზუდდოიჩე ცაიტუნგის" ცნობით, ბავარიული გრანდის ხელმძღვანელებმა უკვე დაამყარეს ინტენსიური კონტაქტი "მილანთან". ხსენებული გამოცემა წერს, რომ მოლაპარაკებები დაწყებულია. ამავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ გატუზოს, რომელსაც "როსონერისთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს და რომელსაც "მანჩესტერი" და "რეალიც" ეპატიჟებიან, "ბაიერნში" უნდა გადასვლა, სადაც მისი თანამემამულე და კარგი მეგობარი **ლუკა ტონი** თამაშობს. თავის მხრივ, ტონი "რინოს" თურმე ყოველდღე ურეკავს და ეუბნება, "ბაიერნში" აუცილებლად უნდა წამოხვიდეო.

გატუზო ზუსტად ის ფეხბურთელი იქნებოდა, რომელიც მიუნხენურ კლუბს სჭირდება. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ ბავარიელები ერთი უმაღლესი კლასის საყრდენს ეძებენ. მენეჯერი **ული ჰიონესი** და რუმენიგე დღენიადაგ იმეორებენ, რომ მათ გუნდს "ერთი კარგი ექვსიანი ძალიან სჭირდება." გატუზომ დაცვის წინ უნდა დაიკავოს ადგილი და ამით **ზე რობერტო** შავი სამუშაოსგან გაათავისუფლოს. ესეც არ იყოს, ბრაზილიელი უკვე 34 წლისაა, მუხლიც ველარ უჭრის და მალე ალბათ კარიერასაც დაამთავრებს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ გატუზოს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონს და თავის პოზიციაზე პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, საკმაოდ დიდი ფასი აქვს. "რინო" მინიმუმ 15 მილიონი ევრო ღირს. "ბილდის" ინფორმაციით, მიუნხენელები ალტერნატიულ ვარიანტად, კლინსმანის რჩევით, "ბარსელონისა" და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველ **დეკუს** განიხილავენ.

ცნობილია ისიც, რომ "ბაიერნის" რამდენიმე ფეხბურთელს მთხოვნელები გამოუჩნდა. მაგალითად, ჰიონესი ადასტურებს, რომ **ფილიპ ლამის** შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა, მაგრამ ულის არ სჯერა, რომ ლამი რეკორდმაისტერის დატოვებას მოისურვებს. ფილიპს არსად არ გავუშვებთო, ამბობს ჰიონესი. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ **კრისტიან ლელი** გუნდში რჩება - ეს უკანასკნელი ბოსებს კონტრაქტის 2011 წლამდე გაგრძელებაზე შეუთანხმდა.

**ბასტიან შვაინშტაიგერის** გადაბირება ტურინის "იუვენტუსსა" და მილანის "ინტერს" სურთ. მეტიც, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ორივე იტალიურმა გრანდმა მიუნხენური კლუბისთვის კონკრეტული შეთავაზება მოამზადა. როგორც ირკვევა, "ინტერი" და "იუვენტუსი" მზად არიან, გერმანიის ნაკრების ნახევარმცველში 15 მილიონი ევრო გადაიხადონ.

*"ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ "იუვენტუსი" და "ინტერი" დაინტერესდნენ, მაგრამ მე პირველ რიგში საქმე მხოლოდ "ბაიერნთან" მაქვს. ტურინიდან ან მილანიდან არავინ დამკავშირებია, არც "ბაიერნში" დაურეკავს ვინმეს. ასე რომ, ეს სპეკულაციები მგონია,"* - აცხადებს შვაინშტაიგერი, რომელსაც ბავარიულ გრანდთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

როგორც იცით, ორი ფეხბურთელის წასვლა გადაწყვეტილია. **ოლივერ კანი** ბუცებს ლურსმანზე კიდებს, **იან შლაუდრაფი** კი კარიერას "ჰანოვერში" გააგრძელებს. გამორიცხული არ არის, რომ "ბაიერნი" **ვილი სანიოლმა, დანიელ ვან ბუიტენმა** და **ანდრეას ოტლმა** დატოვონ. "ბაიერნს" მომავალი სეზონისთვის ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავს გადაბირებული - "ვერდერის" ნახევარმცველი **ტიმ ბოროვსკი**, რომელიც FCB-ს უფასოდ მიაშურებს. ცნობილია ისიც, რომ ბავარიელები ერთ მეკარეს (**მიხაელ რენზინგის** დუბლიორს) და მეოთხე თავდამსხმელს (**ტონის, კლოზეს** და **პოდოლსკის** შემდეგ) ეძებენ.

ამასთან, "ბაიერნის" ხელმძღვანელები და გულშემატკივრები ჰიტცფელდთან გამომშვიდობებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. *"ოტმარ, შენ სრულყოფილი ხარ!"* - ასეთი სიტყვებით შეამკო მწვრთნელი **ფრანც ბეკენბაუერმა**. *"ის უკვე ოთხვარსკვლავიანი გენერალია,"* - ეს კი რუმენიგეს სიტყვები იყო.

დიდი შანსია, რომ მომდევნო ორ შეხვედრაში ჰიტცფელდმა კანი დაასვენოს. ჰიონესმა თქვა, ოლის უნდა, რომ ბოლო მატჩისთვის სრულიად ჯანმრთელი იყოს და ამიტომაც არ გვინდა, რომ გავრისკოთო. ბოლო მატჩი "ბაიერნს" "ჰერტასთან" ექნება და ბავარიელები "გენერალ" ჰიტცფელდსა და "ტიტან" კანს საფეხბურთო სცენიდან სწორედ ამ შეხვედრაში გააცილებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

# რეალის დროშა სიბელესზე




გასულ კვირას, მადრიდის "რეალი" ესპანეთის ჩემპიონი 31-ედ გახდა. სამეფო კლუბმა ეს ტიტული პამპლონაში "ოსასუნის" დამარცხების შემდეგ მოიპოვა. ნავარელების წინააღმდეგ ჩატარებული მატჩი უაღრესად მძიმე და დაძაბული გამოდგა. დედაქალაქელები ფაბიო კანავაროს გაძევების გამო 10 კაცით დარჩნენ მოედანზე. შეხვედრის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე კი პუნიალმა 11-მეტრიანით ანგარიში გახსნა. თითქოს ჩემპიონობა კიდევ რამდენიმე დღით გადაიდო, მაგრამ არიენ რობენისა და გონსალო იგუაინის გოლების წყალობით სამეფო კლუბმა მატჩის ბედი მისთვის სასარგებლოდ შემოატრიალა. "რეალის" ხელმძღვანელობა საჩემპიონო ფიესტისთვის, ბუნებრივია, წინასწარ იყო მომზადებული. ამიტომ, საფინალო სასტვენის შემდეგ ფეხბურთელებმა შხაპი მიიღეს, ავტობუსში ჩასხდნენ და პამპლონის აეროპორტისკენ აიღეს გეზი...

"რეალის" თვითმფრინავი "ბარახას" აეროპორტში ესპანეთის დროით 01:30 წუთზე დაეშვა. გვიანი დროის მიუხედავად, მადრიდში დაღლილობისთვის არავის ეცალა. ჩემპიონებს გულშემატკივართა დიდი არმია, რა თქმა უნდა, აეროპორტის ტერმინალშივე დახვდა, მაგრამ საბოლოო დანიშნულების წერტილი, ცხადია, სიბელესის მოედანი იყო. ინჩასებს გუნდი აეროპორტში დიდ ხანს არ დაუყოვნებიათ. ისინი მანქანებში ჩასხდნენ და "რეალის" ავტობუსს ყოველი მხრიდან ამოუდგნენ. "საჩემპიონო ქარავანმა" აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე უაღრესად ხმაურიანი მსვლელობა მოაწყო. სამეფო კლუბის ფეხბურთელებს გზაში ათიათასობით ადამიანი ეგებებოდა. ზოგი ქუჩაში იყო გამოსული, ზოგი კი აივნებიდან აფრიალებდა საყვარელი კლუბის დროშას. მუნიციპალური პოლიციის ორგანიზებული და გამართული მუშაობა რომ არა, "რეალის" ავტობუსი სიბელესამდე ალბათ, დილამდე ვერ მიაღწევდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუჩაში მართლაც ათიათასობით ადამიანი იყო გამოსული. პოლიციელებმა ბოლოს დერეფანი მოაწყვეს და ჩემპიონებს გზა გაუთავისუფლეს. "რეალის" ფეხბურთელები ჯერ "სანტიაგო ბერნაბეუზე" მიიყვანეს, იქ ისინი ჩვეულებრივი ავტობუსიდან, ეგრეთ წოდებულ, საჩემპიონო გადახდილ ავტობუსში გადასხდნენ და რა თქმა უნდა, უმალ სიბელესისკენ აიღეს გეზი. ვინც მადრიდში ნამყოფია, დამეთანხმება, რომ "ბერნაბეუდან" სიბელესამდე მანქანით 15-20 წუთის სავალია...

ახლად გაჩემპიონებულ ვარსკვლავებს ეშინოდათ, რომ გვიანი დროის გამო სიბელესზე ბევრი ხალხი არ მოიყრიდა თავს, თუმცა მათ შეატყობინეს, რომ ლეგენდარულ შადრევანთან 200 ათასამდე ადამინს მოეყარა თავი. ამ ინფორმაციამ ისინი უზომოდ გაახარა...

თუმცა, ეს სიხარული, ხალხის სიხარულთან რა მოსატანი იყო. ჰორიზონტზე გმირების ავტობუსის გამოჩენას უდიდესი აჟიოტაჟი მოჰყვა. ერთ წამში "რეალის" საკლუბო ჰიმნმა დაიჭექა. ეს ძალიან ემოციური სანახაობა იყო. ალა, მადრიდ! 200 ათასი გულშემატკივარი ჰიმნს ერთხმად მღეროდა. მადრიდის ცას გრიალი გაჰქონდა. ავტობუსი დანიშნულების ადგილზე ზუსტად დილის 3 საათზე გაჩერდა. გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა სიბელესის მოედანზე საღამოს 11 საათზე მივიდა. "ოსასუნასთან" მატჩი მათ საგანგებოდ დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე იხილეს. მთავარი ხომ გამარჯვება იყო. ინჩასები 4 საათის განმავლობაში ფეხზე იდგნენ, მაგრამ ამის გამო არავინ წუწუნებდა.

რამდენიმე დღის წინათ მოგახსენებდით, რომ მადრიდის მერიამ ფეხბურთელებს სიბელესის ქანდაკებაზე აძრომა აუკრძალა. ამის მიზეზი ის იყო, რომ 29-ე საჩემპიონო ტიტულის აღნიშვნის დროს **რობერტო კარლოსმა** სიბელესის ერთ-ერთ ლომს ყური მოტეხა. ამის გამო შარშან ფეხბურთელები შადრევანს ახლოს აღარ გააკარეს და მათთვის

**რეალის მიღწევები**

**ესპანეთის ჩემპიონი (31):** 1931-32, 1932-33, 1953-54, 1954-55, 1956-57, 1957-58, 1960-61, 1961-62, 1962-63, 1963-64, 1964-65, 1966-67, 1967-68, 1968-69, 1971-72, 1974-75, 1975-76, 1977-78, 1978-79, 1979-80, 1985-86, 1986-87, 1987-88, 1988-89, 1989-90, 1994-95, 1996-97, 2000-01, 2002-03, 2006-07, 2007-08.

**ესპანეთის სამეფო თასი (17):** 1904-05, 1905-06, 1906-07, 1907-08, 1916-17, 1933-34, 1935-36, 1945-46, 1946-47, 1961-62, 1969-70, 1973-74, 1974-75, 1979-80, 1981-82, 1988-89, 1992-93.

**ესპანეთის სუპერთასი (7):** 1988, 1989, 1990, 1993, 1997, 2001, 2003.

**ევროპის ჩემპიონთა თასი (9):** 1955-56, 1956-57, 1957-58, 1958-59, 1959-60, 1965-66, 1997-98, 1999-00, 2001-02.

**უეფას თასი (2):** 1984-85, 1985-86.

**ევროპის სუპერთასი (1):** 2002.

**საკონტინენტთაშორისო თასი (3):** 1960, 1989, 2002.

იქვე საგანგებო პოდიუმი მოაწყვეს. სამეფო კლუბის ინჩასები უცნაური ხალხია, მათთვის საჩემპიონო ფიესტა არასრულფასოვანია, თუ სიბელესის ქანდაკებას "რეალის" დროშას ან ყელსახვევს არ შემოახვევენ. **რამონ კალდერონის** ხვეწნა-მუდარამ შედეგი გამოიღო, მერია დათმობაზე წავიდა, თუმცა ქანდაკებაზე აძრომის უფლება მხოლოდ **რაულს** მისცეს. კაპიტანმა ტრადიცია არ დაარღვია და "რეალის" დროშა ზეცაში აღმართა. ეს დიდი ფიესტის კულმინაცია იყო. ზეიმმა გათენებამდე გასტანა. როგორც ყოველთვის, გარიჟრაჟზე ხალხი დაიშალა. გულშემატკივრები ძალიან დაღლილები, მაგრამ უკიდეგანოდ ბედნიერები იყვნენ.

## შუსტერი: ძალიან ბევრი ვინერვიულე

მადრიდის "რეალში" ბერნდ **შუსტერის** მიერ გატარებული პირველი წელიწადი კონტრასტული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. ვერავინ იტყვის, რომ გერმანელი სპეციალისტი სიბელესამდე ვარდებით მოფენილი გზით მივიდა. ყველას ახსოვს ის მძიმე მატჩები, რომელთა გამოც შუსტერს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გერმანელისთვის ყველაზე დიდი დარტყმა ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა იყო. ყველასთვის მოულოდნელად, შუსტერის ბიჭებმა "რომასთან" ორმატჩიანი დუელი დათმეს და ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ევრო ტურნირს გამოეთიშნენ. ალბათ, გახსოვთ, რომ პრესაში მაშინ ჰერ ბერნდის შესაძლო გადაყენებაზე საუბარი დაიწყეს, თუმცა რამონ კალდერონმა გუნდის დამრიგებელს სრული თანადგომა გამოუცხადა და ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა, წლეულს პრიმერა დივიზიონშიც რომ ვერ გავიმარჯვოთ, ბერნდ შუსტერი თანამდებობას შეინარჩუნებსო. პრეზიდენტის სიტყვა, რა თქმა უნდა, დიდად ფასობს, მაგრამ შუსტერს სიბელესური ფიესტის შემდეგ უფრო მშვიდად ცხოვრების საშუალება მიეცემა.

ვინც ესპანურ ფეხბურთში კარგადაა გაცნობიერებული, დაგვეთანხმება, რომ შუსტერი საკმაოდ მძიმე ხასიათის მქონე ადამიანია. ამ სეზონში მან არაერთი სკანდალით დაგვამახსოვრა თავი. მოდით, პირველ რიგში, "სევილიისა" და "რეალის" დაპირისპირება გავიხსენოთ. სამეფო კლუბი "სანჩეს პისხუანზე" 0:2 დამარცხდა. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ანდალუსიელებმა ის ორთაბრძოლა გაცილებით უკეთ ჩაატარეს. საუკეთესო გამოსავალი წაგების ვაჟკაცურად აღიარება იქნებოდა, მაგრამ შუსტერმა პრესკონფერენციაზე უკიდურესად სკანდალური განცხადება გააკეთა, მთავარი არბიტრი კატალონიელი იყო და "ბარსელონის" სიყვარულის გამო მიზანმიმართულად გვებრძოდაო. როგორი საქმეა, ბატონმა ბერნდმა ამით არა მარტო ერთ კონკრეტულ არბიტრს, არამედ კატალონიელ მსაჯთა მთელ კორპუსს მიაყენა შეურაცხყოფა. ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ "რეალის" დამრიგებელს ამ თავხედური გამოხდომის გამო 12 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. შუსტერმა თანხა დროულად გადარიცხა, მაგრამ იმავე დღეს განაცხადა, შეხედულება არ შემიცვლიაო.

მსაჯების მისამართით შუსტერმა "ალიკანტესა" და "რეალის" სათასო შეხვედრის შემდეგაც გაილაშქრა. ის მატჩი 1:1 დასრულდა და გერმანელმა სპეციალისტმა მთავარი არბიტრი მაშინაც მომაკვდინებელ ცოდვებში დაადანაშაულა. შეგვიძლია, "ალმერიისა" და "რეალის" (2:0) დაპირისპირებაც გავიხსენოთ. ღრმადპატივცემულმა ბერნდმა მსაჯს უნამუსო და მიკერძოებული ადამიანი უწოდა. მოკლედ, გერმანელი სპეციალისტი სკანდალურ ისტორიებში არაერთხელ გაბმულა, თუმცა მთავარია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა და "რეალი" ჩემპიონი გახდა. "ოსასუნასთან" მატჩის შემდეგ ჰერ შუსტერმა ამ სეზონის ყველაზე სასიამოვნო პრესკონფერენცია გამართა: *"ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღეა. პროფესიულ სამწ-*



ვრთნელო კარიერაში ამხელა წარმატებისთვის არ მიმიღწევია. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ "რეალს" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოვაპოვებინე. ჩემი აზრით, სამეფო კლუბმა ამ ფენომენალურ წარმატებას სრულიად დამსახურებულად მიაღწია. მთელი სეზონი ყველაზე უკეთესად ჩავატარეთ. რა თქმა უნდა, ჩავარდნებიც გვქონდა, მაგრამ მთლიანობაში კარგი სეზონი გამოგვივიდა. ბოლო დაპირისპირება უაღრესად რთული და დაძაბული აღმოჩნდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემპიონობის ბედი ბოლო წუთებში გადაწყდებოდა. ძალიან ბევრი ვინერვიულე. რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან პირველობას მაინც გავინაღდებდით, მაგრამ გვინდოდა, ეს საქმე დროულად დაგვემთავრებინა. ჩემი შეგირდებით აღფრთოვანებული ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები დაწინაურდნენ და თამაშის დასრულებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, მაინც ვიყოჩაღეთ და გავიმარჯვეთ. ისეთი მოტივირებულები ვიყავით, რომ წინ ვერაფერი აღგვიდგებოდა. მადლობა ყველას, ვინც ამ ტრიუმფალურ წარმატებაში წვლილი შეიტანა. ჩვენ ისტორიაში შევედით".

## რაული: ჩვენ განსაკუთრებული ადამიანები ვართ

რაული მადრიდის "რეალის" ცოცხალი სიმბოლოა. შემთხვევითი არ არის, რომ სიბელესზე სამეფო კლუბის დროშის ატანის უფლება სწორედ კაპიტანს მისცეს. ის ხომ "მადრიდიზმის" სული და გულია. აგერ უკვე 12 წელიწადია, ეს კაცი გუნდის ყველა ტკივილისა თუ სიხარულის მონაწილეა. ტრადიცია ამჯერადაც არ დარღვეულა და გონსალეს ბლანკომ სიბელესზე შეკრებილ გულშემატკივრებს ემოციური სიტყვებით მიმართა: "ჩვენ ჩემპიონები ვართ, მივესალმოთ ერთმანეთს. "რეალისთვის" შეუძლებელი არაფერია. 31-ე საჩემპიონო ტიტული სამეფო კლუბის მარადიულობის განსახიერებაა. ჩვენ არასოდეს ჩავიძირებით. პამპლონაში მთელი თამაშის განმავლობაში თქვენზე და ამ წამებზე ვფიქრობდით. გვინდოდა, თვითმფრინავს ზებგერითი სიჩქარით ეფრინა, რომ მადრიდში დროულად ჩამოვსულიყავით. ცხოვრება ასეთი წამებისთვის ღირს. ჩვენ განსაკუთრებული ბედის მქონე ადამიანები ვართ, რადგან "რეალში" თამაშისა და ყველა სიხარულის თქვენთან ერთად განცდის შესაძლებლობა ბევრს არ ეძლევა. მადლობა ყველას, ვინც მთელი ამ დროის განმავლობაში გვერდში გვედგა და ყოველმხრივ გვამხნევებდა. მომავალ სეზონში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწევთ. ჩვენ მეათე ჩემპიონთა თასი გველის."

რაულს მალე 31 წელი შეუსრულდება, მაგრამ მას ასაკის მატების არ ეშინია. ეს სეზონი მისთვის იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ რამონ კალდერონმა გონსალეს ბლანკოს მუდმივმოქმედი კონტრაქტი გაუფორმა. თუ კაპიტანი სეზონში 30-ზე მეტ ორთაბრძოლას ჩაატარებს, ხელშეკრულება ავტომატურად კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მათ დაფასებაზე მეტყველებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაულმა წელს კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა. **რუუდ ვან ნისტელროისთან** მან არაჩვეულებრივი ტანდემი ჩამოაყალიბა და გუნდის სიბელესამდე მიყვანაში უდიდესი როლი შეასრულა. სხვათა შორის, რაულის გასაოცარი პროგრესი სწორედ ბერნდ შუსტერის დამსახურებაა. გერმანელმა სპეციალისტმა გონსალეს ბლანკო მის ჩვეულ პოზიციაზე დააბრუნა. დასამალი არ არის, რომ "რეალის" კაპიტანი ყველაზე კომფორტულად ცენტრფორვარდის ზურგს უკან გრძნობს თავს.

## რამონ კალდერონი: ვიცოდი, რომ შუსტერი სიბელესზე მიგვიყვანდა

გასული სეზონის დასრულების შემდეგ რამონ კალდერონმა სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო და **ფაბიო კაპელო** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენა. არადა, იტალიელმა სპეციალისტმა სამეფო კლუბს მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონის ტიტული დაუბრუნა. ბევრი ფიქრობდა, რომ ბერნდ შუსტერის დანიშვნით პრეზიდენტმა მაშინ სერიოზული შეცდომა დაუშვა. სენიორ კალდერონს ახლა სრული უფლება აქვს, რომ კრიტიკოსებს ქედმაღლურად ესაუბროს და დაუმტკიცოს, რომ შუსტერის მოწვევა შეცდომა არ ყოფილა. სენიორ რამონმა საჩემპიონო საღამოს ასეთი რამ განაცხადა: "დიდი სეზონი საოცარი მატჩით დავასრულეთ. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე ათი კაცით დავრჩით, იმედი არ დაგვიკარგავს, ეს ხომ "რეალის" ერთგვარი საფირმო ნიშანია. რწმენა მას შემდეგაც არ შეგვრყევია, რაც პამპლონელებმა ანგარიში გახსნეს. ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, მაგრამ მწამდა, რომ დარჩენილ უმცირეს დროში რაღაცას გავაკეთებდით. ასეც მოხდა, საერთო ძალისხმევით გავიმარჯვეთ და ჩემპიონობა ვადამდე გავინაღდეთ. ამ შემადგენლობას კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. დარწმუნებული ვარ, მომავალ ოთხშაბათს, სუპერკლასიკოში დაუვიწყარ სანახაობას ვიხილავთ. "ბარსელონას" ჩემპიონების რანგში დავუპირისპირდებით. ეს ხომ შეუდარებელი თამაში იქნება. მიხარია, რომ ბერნდ შუსტერმა მუშაობის პირველივე სეზონში უდიდეს წარმატებას მიაღწია. მახსოვს, მისი დანიშვნის გამო ბევრი მაკრიტიკებდა, მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა ჩვენი მთავარი მწვრთნელის. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გერმანელი სიბელესზე მოგვიყვანდა. და აი, დღეს აქ ვართ და დიდ გამარჯვებას ვზეიმობთ. ეს არ არის ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი. გაისად, ჩემპიონთა ლიგაში უნდა გავიმარჯვოთ, ორი წლის შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის ფინალს "სანტიაგო ბერნაბეუ" უმასპინძლებს. რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ ორჯერ გამარჯვებაა. სეზონის დასრულების შემდეგ შუსტერთან და მიატოვიჩთან ერთად შემადგენლობის გასაძლიერებლად სასურველი ფეხბურთელების სიას ჩამოვწერ. ჩვენ მართლაც უდიდესი მომავალი გველის."

## წინ სუპერკლასიკოა. მოაწყობს თუ არა ბარსა დერეფანს?

მაშ ასე, "რეალი" ჩემპიონია, მაგრამ ამით წლევანდელი პრიმერა დივიზიონის ინტრიგა არ ამოწურულა. ახლა ყველას მოახლოებული სუპერკლასიკო აწერია პირზე. "რეალისა" და "ბარსელონის" დაპირისპირება ნებისმიერ შემთხვევაში უდიდეს ინტერესთანაა დაკავშირებული. მით უმეტეს, ახლა, როცა მთელი ესპანეთი და შეიძლება ითქვას, მთელი საფეხბურთო სამყარო კატალონიელთა მიერ ეგრეთ წოდებული ღირსების დერეფნის მოწყობას ელის. მოკლედ შეგახსენებთ, რომ ესპანეთში დაუწერელი კანონი მოქმედებს, გაჩემპიონების შემდეგ გამარჯვებულ გუნდს მოწინააღმდეგე დერეფანს უკეთებს და მოედანზე შესვლისას ტაშს უკრავს. რა თქმა უნდა, კატალონიელებისთვის იოლი არ იქნება, მოსისხლე მტრისთვის ამხელა პატივის მიგება, თუმცა **ჟოან ლაპორტა** აცხადებს, რომ "ბარსა" ტრადიციას არ დაარღვევს. სხვათა შორის, კატალონიური გრანდის უმაღლესმა ხელისუფალმა სამეფო კლუბს წარმატება პირველმა მიულოცა: "როგორც კი "ოსასუნასთან" მატჩი დასრულდა, რამონ კალდერონს დავურეკე და ჩემპიონობა მივულოცე. როგორც ჩემმა კოლეგამ მითხრა, პირველმა მე დავურეკე. შესაძლოა, ვინმეს ეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ მადრიდელებს გამარჯვებას მართლაც გულწრფელად ვულოცავ. დარწმუნებული ვარ, მომავალი სეზონის ბოლოს უკვე სენიორ კალდერონი დამირეკავს და ჩემპიონობას მომილოცავს. ჩვენ შორის რაოდენ დიდი დაპირისპირებაც არ უნდა არსებობდეს, ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ. რაც შეეხება, ეგრეთ წოდებულ ღირსების დერეფანს, პირადად მე ამაში პრობლემურს ვერაფერს ვხედავ. სამწუხაროდ, წელს "რეალმა" გვაჯობა და ვალდებულები ვართ, წაგება ღირსეულად ვაღიაროთ. მოკლედ, ეჭვი არ მეპარება, რომ "ბარსას" ბიჭები ჩემპიონებისთვის დერეფნის მოწყობას არ ითაკილებენ".

## 18-წლიანი პაუზის შემდეგ

როგორც იცით, "რეალმა" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული ზეიდიზედ მეორედ მოიპოვა. ასეთ წარმატებას მადრიდულმა გრანდმა ზუსტად 18-წლიანი პაუზის შემდეგ მიაღწია. 1990 წლის გაზაფხულზე სამეფო კლუბი საჩემპიონო კვარცხლბეკზე უელსელმა სპეციალისტმა **ჯონ ტოშაკმა** აიყვანა. მაშინ პირენეული გრანდის ღირსებას ისეთი ვარსკვლავები იცავდნენ, როგორებიც იყვნენ **უგო სანჩესი** და **ემილიო ბუტრაგენიო**.

**ილია ნიკოლაიშვილი**





ევრო 2008

# ბილიჩმა საევროპო სია უკვე ჩამოწერა

## 23-კაციანი შემადგენლობა, რომლითაც ხორვატები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან

ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სლავენ ბილიჩმა** ყველას დაასწრო და ის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ხორვატიის დროშის ქვეშ იასპარეზებს. მართალია, შემადგენლობის დასახელების საბოლოო ვადამდე (28 მაისი) ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ ბილიჩს უკვე გადაწყვეტილი აქვს, თუ რომელ ფეხბურთელებს ათამაშებს კონტინენტის პირველობაზე. 23 ფეხბურთელის გარდა, არსებობს ორკაციანი რეზერვი, რომლებიც სიაში იმ შემთხვევაში შევლენ, თუ იქიდან რომელიმე მოთამაშე ნაკრებს ტრავმის გამო დააკლდება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბილიჩს სენსაციური გადაწყვეტილება არ მიუღია - 23 მოთამაშიდან 22 ისეთია, ვინც ხორვატიის ღირსებას აქამდეც რეგულარულად იცავდა. ერთადერთი ახალწვეული "მონაკოს" ნახევარმცველი **ნიკოლა პოკრივაჩია**, რომლის გამოძახება მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, რადგან ამ უკანასკნელს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. ევროპის ჩემპიონატზე მისი წაყვანა ბილიჩმა თვენახევრის წინათ გადაწყვიტა. 22 წლის პოკრივაჩზე ხორვატიაში უდიდეს იმედებს ამყარებენ - ის უნიჭიერესი ფეხბურთელია.

რეზერვიდან ორივე ფეხბურთელი ახალგაზრდა და იმედისმომცემია - **პამიჩი** და **შარბინი** უდიდესი ტალანტები არიან. *"შემადგენლობა ადრე იმიტომ დავასახელე, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სხვა ფეხბურთელებს ევროპის ჩემპიონატზე ნამდვილად არ მოვიაზრებ. სიაში ორი ახალგაზრდა მოთამაშეა. ისინი იმიტომ კი არ გამოვიძახე, რომ შანსი მივცე, გამოვცადო ან ავსტრია და შვეიცარია ვაჩვენო, არამედ იმიტომ, რომ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები არიან და ზუსტად იმ პოზიციებზე თამაშობენ, სადაც ხალხი გვჭირდება,"* - განაცხადა ბილიჩმა.

შემადგენლობის დასახელებასთან ერთად, ბილიჩმა ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2 წლით გააგრძელა. *"სლავენთან ახალი კონტრაქტის გაფორმება ჯერ კიდევ ინგლისის დამარცხების (3:2) შემდეგ, "უემბლიზე" გადავწყვიტეთ. ის ნაკრებისთვის იდეალური მწვრთნელია. ბილიჩისა და მისი ასისტენტების მუშაობით უაღრესად კმაყოფილები ვართ,"* - ეს სიტყვები კი ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ვლატკო მარკოვიჩს** ეკუთვნის.

ხორვატიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე B ჯგუფში, მასპინძელ ავსტრიასთან, გერმანიასთან და პოლონეთთან ერთად მოხვდა. ბილიჩი იმედოვნებს, რომ მისი გუნდი კონტინენტის პირველობაზე მაქსიმალურად შორს გავა. *"ძალიან რთული მატჩები გველის, მაგრამ მთავარია ცოტა იღბალი და დარწმუნებული ვარ, მინიმუმ მეოთხედფინალში გავალთ,"* - ამბობს 39 წლის მწვრთნელი.

**მეკარეები:** სტიპე პლეტიკოშა (სპარტაკი), ვედრან რუნიე (ლანსი), მარიო გალინოვიჩი (პანათინაიკოსი).

**მცველები:** დარიო შიმიჩი (მილანი), რობერტ კოვაჩი (ბორუსია დ), იოზიპ შიმუნიჩი (ჰერტა), ვედრან ჩორლუკა (მანჩესტერ სიტი), დარიო კნეჟევიჩი (ლივორნო), ჰრვოიე ვეიიჩი (ტომსკი).

**ნახევარმცველები:** ნიკო კოვაჩი (ზალცბურგი), იერკო ლეკო (მონაკო), დარიო სრნა (შახტარი), ნიკო კრანჩარი (პორტსმუთი), ლუკა მოდრიჩი (ტოტენჰემი), დანიელ პრტანეიჩი (ჰერენვენი), ივან რაკიტიჩი (შალკე), ოგნიენ ვუკოიევიჩი (დინამო ზაგრები), ნიკოლა პოკრივაჩი (მონაკო).

**თავდამსხმელები:** მლადენ პეტრიჩი (ბორუსია დ), ივიცა ოლიჩი (ჰამბურგი), ივან კლასნიჩი (ვერდერი), იგორ ბუდანი (პარმა), ნიკოლა კალინიჩი (ჰაიდუკი).

**რეზერვი:** მანუელ პამიჩი (ზალცბურგი), ანას შარბინი (რიეკა).

**გოტფრიდ ლენცი**




# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41

## წარმატების რეცეპტი მოთამაშეები, გუნდი, სტილი

ის, რასაც ფეხბურთში სტილს უწოდებენ, შესანიშნავი გრძნობის გაღვივებით იწყება და კულტურის ფორმირებით სრულდება. არსებობს ინგლისური სტილი, რომელიც დიდ პატივს სცემს თამაშს, მაგრამ იგივე ნაკლებად ითქმის ბურთთან მიმართებაში: გრძელი პასები, წინ კარგი მოძრაობა და კეთილშობილი, მაგრამ ვაჟკაცური ბრძოლა მინდვრის ამა თუ იმ მონაკვეთის დასაკავებლად. ბრაზილიურ სტილს ჩვენ ვუკავშირებთ ბურთის ვირტუოზულ შეხებას, მანევრების მშვენიერებას, სისწრაფის მართვასა და დარტყმას, რომელიც შხამს შეიცავს. არსებობს გერმანული სტილი: დისციპლინა, ათლეტიზმი და კოლექტიური ძალა. ასევე შეიძლება ურუგვაულ, იტალიურ ან არგენტინულ ფეხბურთზე საუბარი. თითოეული დატვირთულია მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სულით, რომელიც აყალიბებს ხასიათსა და განსაზღვრავს ესთეტიკას.

ერთხელ უკვე აღვნიშნე იმის შესახებ, რომ ესპანეთში რეგიონული სტილები არსებობს, მაგრამ არ არსებობს იქაური ფეხბურთის ეროვნული იერი. ამიტომაც, უფრო კომფორტულად გრძნობ თავს კლუბში, ვიდრე ნაკრებში, სადაც არსებობს მხოლოდ აზარტი, რომელიც წამიერ სიამოვნებას განგაცდევინებს, მაგრამ ხელს არ უწყობს საფეხბურთო ღირებულებებისა და ღირსებების გამოხატვას. აზარტი ბრმაა და მას მხოლოდ განსწავლულობის შეცვლა შეუძლია, ის წამიერია და მხოლოდ ის ძალუძს, რომ უუნარობა შენიღბოს. აღმაფრენა არ არის ვინმე ერთის კუთვნილება და ის შეიძლება ეწვიოს ჩეხეთის ნაკრებს, მაგალითად ესპანეთთან შეხვედრაში. სულ უბრალოდ.

ესპანეთის ჰიბრიდული საფეხბურთო რუკა ნაკრებს პიროვნებების კრებულად აქცევს, რომელსაც ხანდახან ძნელია უწოდო ნამდვილი გუნდი. აღმოჩნდება, რომ აქ ყველაფერი მისაღებია, ეგუები ყველა კანონს, რასაც ამ ქვეყნის გრძელ და არაერთგვაროვან საფეხბურთო ისტორიაში ტრიუმფით გამოწვეული სიხარული მოჰქონდა. მაგრამ 11 ფეხბურთელი - ეს ჯერ კიდევ არ არის გუნდი. ყოველ ისტორიულ მომენტს თავისი ვარსკვლავური საათი გააჩნია; პრობლემა ისაა, როგორ გააერთიანო ეს მომენტები ერთ მთლიან ორგანიზმად.

ესპანეთის ნაკრები ყოველთვის განიცდიდა შიშს წარმატებისა და თავისი შესაძლებლობების წინაშე და ამიტომაც, შეტევას უკან დახევით, ზუსტ პასს უმისამართო გადაცემით, დროულ მოქმედებას დროის დაკარგვით ცვლიდა. ამ გუნდს სისუსტის მსგავსი სიმპტომები ძალიან ბევრი აქვს. ვისაც სტილი არ გააჩნია, მას არაფრის არ სჯერა, საკუთარი თავისაც კი.

**ხავიერ კლემენტეს ხოსე ანტონიო კამაჩოთი** შეცვლით, ნაკრებმა შეიცვალა ადამიანებისა და ფეხბურთისადმი დამოკიდებულება. კლემენტე ყველანაირ სამუშაოს ედებოდა, კამაჩომ კი, ზუსტად განსაზღვრა თავისი ტერიტორია და არ ხარჯავდა ენერგიას არასაფეხბურთო საქმეებში, რამაც მკვეთრად შეამცირა კონფლიქტურობის დონე. რაც შეეხება თავად თამაშს, კლემენტე იქიდან გამოდიოდა, რომ ბურთის მფლობელი მეტოქე იყო და ყველას თავს ახვევდა თავის იდეებს. კამაჩო - ინიციატივის იდეოლოგი გახდა. მან იქიდან დაიწყო, რომ აქცენტი ისეთ მოთამაშეებზე გააკეთა, რომლებიც ბურთთან კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ. ამან გულშემატკივარს ისევ მოუბრუნა გული საყვარელ გუნდზე.

კამაჩო - უბრალო ჭეშმარიტებების ადამიანია. მან საუკეთესოები აირჩია, აძლევდა მათ კონცეფციებს და შთააგონებდა მომხიბვლელ ფეხბურთს. საშინელი იმედგაცრუების შემდეგ, რაც კლემენტეს ნაკრებს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შეემთხვა, გუნდისადმი რწმენა დაბრუნდა და მას კვლავ იმედის თვალით უყურებდნენ. და ამ ნაკრებს რაიმე ტიტული რომ მოეპოვებინა, ამას აუცილებლად და მყისიერად ექნებოდა ორი გამოვლინება. პირველი: ამაღლდებოდა ესპანური ფეხბურთი ხარისხი, იმიტომ, რომ ის აქცენტს მოთამაშეზე აკეთებს. მეორე: გაცილებით ამაღლდებოდა ესპანურ ფეხბურთში თვითპატივისცემის გრძნობა.



ხოსეპ გვარდიოლა

ბუნებრივია, ვერც კლემენტემ და ვერც კამაჩომ გვერდი ვერ აუარეს გამოჩენილ მოთამაშეთა კეთილგანწყობილ ყურადღებას, მაგალითისთვის **რაულის** დასახელებაც კმარა (მე მას უკვე მივაგე პატივი). ერთსაც და მეორესაც **ხოსეპ გვარდიოლა** და **ფრანი** ესიმპათიურებოდათ, მაგრამ სწორედ კამაჩომ აქცია ისინი ძირითად მოთამაშეებად, მიუხედავად ფლანგის ფეხბურთელებისთვის საკმაოდ სოლიდური ასაკისა. მწვრთნელი შეიძლება იმიტომაც მოიქცა ასე, რომ ამ ამპლუაში ფეხბურთელის სიმწიფე ერთ-ერთი აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

## გვარდიოლა, მოტყუების ლოგიკა

ძველი დროიდან ასეა მიჩნეული - "თამაში დაცვიდან შეტევისკენ არის აწყობილი". მაგრამ ბარსელონელი ხოსეპ გვარდიოლა, ანუ უბრალოდ პეპი, სხვა კონცეფციას იზიარებდა, კერძოდ: ფეხბურთი ფლანგებიდან იწყება. ეს იმას ნიშნავს, მთავარი არა მოედნის სიღრმე, არამედ მისი სიგანეა. ის კოლექტიური თამაშის წესებს არღვევდა, როცა ორივე ფლანგზე ბატონობას ცდილობდა და ამით თავგზას უბნევდა მოწინააღმდეგეებს. ბურთს ფიქრის უნარი რომ ჰქონდეს, გვარდიოლას ფეხებში მოხვედრილს, ეცოდინებოდა, რომ მას შეიძლება სამი რამ დამართნოდა: პირველი - მას მაშინვე მოედნის სხვა წერტილში გაგზავნიან (პეპს არ ახასიათებს ბურთის თრევა); მეორე - მას შორეული გადაფრენა ელის (გვარდიოლას შორიდან ძლიერი დარტყმები უყვარს); და მესამე - დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას, იქ ხალხის სიმრავლე არ იქნება (ხოსეპი თავისუფალი სივრცეების დიდ სპეციალისტად ითვლება).

კარგი თვისება არ არის, როცა გუნდს შენ გარშემო ტრიალს აიძულებ. სილამაზის მხრივ, თამაში ამის გამო ზარალდება. მაგრამ გვარდიოლა ამას ისე ნიჭიერად და ისეთი თავდადებით აკეთებდა, რომ მისი მოედანზე არყოფნა ყოველთვის თვალშისაცემი იყო. ეს კი სინანულის გრძნობას იწვევდა. ჩემთვის და იმათთვის, ვისაც ფეხბურთი ცხოვრებაში ყველაზე დიდ გასართობად მიაჩნია.

## ფრანი, გვიანი სიხარული

ფრან გონსალესს, ანუ იგივე ფრანს, ესპანეთის ნაკრებში "დეპორტივოდან" იწვევდნენ და ის გუნდში მარცხენა ფლანგზე იკავებდა ადგილს. ამ პოზიციაზე რთული იყო თამაში. რა უნდა ქნა იმ დროს, როცა შენს პოზიციას ექსპლუატაციას უწევს არა მარტო გვარდიოლა, არამედ მცველი **სერხი**, თავდამსხმელის **რაული** და **ლუის ენრიკე**, თვით მეკარე **მოლინა** "ატლეტიკოდან". კიდევ უფრო რთულია შეესაბამებოდე ისეთი მწვრთნელის გემოვნებას, როგორიც ხავიერ კლემენტე გახლავთ. ის ხომ ნიჭს ბრძოლას უპირისპირებს. კლემენტე კონსერვატორია, მაინც და მაინც არ წყალობს შემტევ, რისკის მოყვარულ ნახევარმცველებს. ფრანი კი, შეტევის ჯგუფის ფეხბურთელთა რიცხვს განეკუთვნება, მობილური, კარგი სასტარტო სიჩქარით, შესანიშნავი დარტყმით, მოედნის ხედვითა და საგოლე პასებით.

საბედნიეროდ, მას ეყო მოთმინება და ფეხბურთიდან კარგი მოსავლის გარეშე არ წასულა: მისი "დეპორტივო" ჩემპიონი გახდა, თავად ფრანი კი, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ძირითადის ფეხბურთელი გახდა, არა კლემენტეს, არამედ ხოსე ანტონიო კამაჩოს ხელში. როცა სამართლიანობა დაგვიანებით ზეიმობს, ეს შეიძლება უსამართლობად ჩაითვალოს, მაგრამ ფრანი ყოველთვის სწორად მოქმედებდა, როცა თავად თამაშისგან იღებდა სიამოვნებას.

## სხვადასხვა, მაგრამ ყურადსაღები მწვრთნელები

მოდით, მწვრთნელებზე ვისაუბროთ. ოღონდ იმათზე, რომლებიც ნაკლებად ცნობილები, მაგრამ პროფესიონალები არიან, გამოცდილებითა და საკუთარი სტილით.

**მარსელო ბიელსა** - მცოდნე და ფეხბურთზე თავგადაკლული არგენტინელი მწვრთნელი, რომელიც ნაკრებში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მუშაობდა; ესპანელი **ბენიტო ფლორო**, ნათლად გამოხატული პედაგოგიური გადახრით. გარდა იმისა, რომ ორივენი ერთ თაობას განეკუთვნებიან, მათ რაღაც უფრო მეტი აქვთ საერთო: წარუმატებელი საფეხბურთო კარიერა, ადრეულ ასაკში დაწყებული სამწვრთნელო მოღვაწეობა და ამ განხრით მიღწეული წარმატება. მათი გზები არასოდეს გადაკვეთილა.

ეჭვგარეშე მოაზროვნე მწვრთნელი, ბენიტო ფლორო "ალბასეტეში" ამკვიდრებდა ფეხბურთს, რამაც ორგანიზებული შეტევის სახელი მიიღო. მან მოთამაშეებს საკუთარი პოზიციების მიმართ პატივისცემა შთააგონა, ბურთის მოძრაობის სხვადასხვა მარშრუტის ათვისებაში ავარჯიშებდა. ამ ყველაფერს ვარჯიშებზე დიდი ყურადღება ეთმობოდა და ამიტომაც, თამაშის დროს, ფლოროს შეგირდებს არ ჰქონდათ იმის შიში, რომ მოედანზე მათთვის რაიმე უცნობს გადაეყრებოდნენ. ფეხბურთელები თითქოს წინასწარ შედგენილი სცენარით მოქმედებდნენ. მათ ღარიბ, ერთფეხა ტექნიკას სრულყოფამდე ბევრი უკლდა და ისინი ამას მწვრთნელის ტვინს ანდობდნენ.

მარსელო ბიელსა, ჩემი ახალგაზრდობის გუნდის, "ნიუელ ოლდ ბოისის" მწვრთნელი, ფართოდ გახელილი თვალებით მომზირალ ახალგაზრდებს საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობას უნერგავდა. ეს გრძნობა გამორიცხავდა რაიმე თანაზიარებას იმ მექანიზმებთან, რაც გუნდური თამაშით შენიღბვის საშუალებას იძლევა. მეცადინეობებისას, ის არ დაუშვებდა ავტომატიზმამდე დაყვანილ ვარჯიშებს, ყოველთვის ცვლიდა სავარჯიშო პროცესს, თავის შეგირდებს ძველ, უნივერსალურ კონცეფციებს აზიარებდა.

ბიელსა თავის გუნდთან ერთად არგენტინის ჩემპიონი გახდა, ფლორომაც ასევე ბევრს მიაღწია. მე არ მაქვს იმის პრეტენზია, რომ საკუთარი აზრი ჩავაკვეხო ამ ორ ანტაგონისტურ არჩევანს შორის, მე მხოლოდ წიგნის თავში წარმოთქმული აზრის გამყარება მსურს: ფეხბურთში წარმატების მიღწევის ათასობით რეცეპტი არსებობს.

**გია თვალაბეიშვილი**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავთა მატჩი

# ვარსკვლავეთში ფეხსაცმელიც დაფრინავს

5 მაისი. სპორტის სასახლე

**უსტიაშვილი–ქეიშვილი 134:118**

35:37, 27:32, 38:27, 34:22

უსტიაშვილი: გამყრელიძე (9 ქ. (პ), ბაბიაშვილი (14 ქ. 8 მ), სტეფანოვი (6 ქ), მ. ბერიშვილი (11 ქ), დიდია (6 ქ. 4 პ. 2 დ), ლეჟავა (19 ქ. 4 ჩ), გულისაბედაშვილი (7 ქ. 3 პ), გვიმრაძე (3 ქ), ჭოჭუა (8 ქ), ჩიტაშვილი (10 ქ. 10 პ. 6 მ), სანიკიძე (41 ქ. 8 მ. 3 პ. 2 დ)

ქეიშვილი: ი. ბერიშვილი (18 ქ), ფანჩულიძე (9 ქ. 4 პ), დ. ბერიშვილი (9 ქ. 6 პ. 5 მ), ბარბაქაძე (11 ქ), მათიაშვილი (29 ქ. 13 მ), ს. შერმადინი (9 ქ), ტულუში (18 ქ. 5 პ), კეიდია (5 ქ), ნინიაშვილი (8 ქ. 6 მ), ხეცურიანი (2 ქ. 6 პ. 7 მ), კორკოტაძე

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

ვარსკვლავთა მატჩის მიმოხილვა ერთი კითხვით მინდა დავიწყო: ერთმანეთში ვინ ითამაშა? პასუხი მარტივია - **დავით უსტიაშვილისა** და **ნუგზარ ქეიშვილის** გუნდებმა. იცით, ეს რატომ ვიკითხე? - იმიტომ, რომ ახლა მეთქვა: "ოლ სტარის" მონაწილე გუნდებს მწვრთნელების სახელები არსად ჰქვიათ. ცივილიზებულ სახელმწიფოებში გუნდები სამი კრიტერიუმით კომპლექტდება. პირველია რეგიონალური დაყოფა, მაგალითად NBA-ში აღმოსავლეთი დასავლეთს ეთამაშება. მეორე პრინციპის მიხედვით ლეგიონერები ადგილობრივებს უპირისპირდებიან. ხოლო მესამე კრიტერიუმი ევროთასებზე ფიქსირდება - ევროპელები მსოფლიო ნაკრების წინააღმდეგ.

გადმოვინაცვლოთ საქართველოში, სადაც ვერც ერთი პრინციპი ვერ ხორციელდება: ჩვენს ჩემპიონატში სულ სამი ლეგიონერია, მოედანზე სამი-ხუთზე ხომ არ გავა?! ყველაზე რეალური აღმოსავლეთის დასავლეთთან დაპირისპირებაა, ლიხს იქით რომ არაერთი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის აღმზრდელი ქალაქებია, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს პირველობაში ექვსი გუნდი მონაწილეობს, რომელთაგან 5 თბილისისაა და ერთიც რუსთავის...



ვიქტორ სანიკიძე

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტოები

## სანიკიძის შოუ

ვარსკვლავთა მატჩი გასართობი შოუა და, ალბათ, პრობლემაზე საუბარს ბევრი არ ელოდა, მაგრამ ეს პრობლემა პირდაპირ კავშირშია "ოლ სტართან" - რაც მეტი რეგიონული გუნდი გვეყოლება ჩემპიონატში, მით მეტი მაღალი დონის კალათბურთელი ითამაშებს ვარსკვლავთა მატჩში და სანახაობრივი მხარეც ამაღლდება.

თუმცაღა, არც იმის თქმა იქნება გამართლებული, რომ გუშინ შეხვედრის მონაწილეებმა ქომაგებს იმედები გაუცრუეს. ორივე მხარე ცდილობდა თავი ეფექტური პასებით, ჩატენვებითა და შორეული სამქულიანებით გამოეჩინა. ყველაზე უკეთ ეს საქმე ნაკრების წევრ **ვიქტორ სანიკიძეს** გამოუვიდა, რომელსაც პერიმეტრიდან სროლისას სამქულიანის ხაზთან მიახლოება სულაც არ სჭირდებოდა. ვიქტორმა 9-დან 7 შორეული ტყორცნა გამოიყენა. სანიკიძის ეფექტური ჩატენვები კი დროდადრო აფხიზლებდა სპორტის სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას.

ვიქტორზე ამდენი იმიტომ ვისაუბრეთ, რომ ბოლოს გვეთქვა - სირენამდე 34 წამით ადრე იგი "ოლ სტარის" საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. ჯილდო, რომელიც მას ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** გადასცა, ნამდვილად ეკუთვნოდა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ დავით უსტიაშვილის გუნდს 134:118 მოაგებინა. მეორეც, მონაგარი მეტად მსუყე ჰქონდა: 41 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება.

ვიქტორის თანაგუნდელი გამთამაშებლების, **გამყრელიძისა** და **ჩიტაშვილის** სტატისტიკაც საინტერესო სანახავი იყო: მიშამ 10-10 ქულა-პასი დააგროვა, ხოლო გამყრელიძემ 9-9 ქულა-პასი.

**ნუგზარ ქეიშვილის** გუნდიდან ორმაგი დუბლი "ავიამშენის" ცენტრმა **რიჩარდ მათიაშვილმა** შეასრულა - 29 ქულა, 13 მოხსნა.

ისედაც ხალისიანი მატჩის ყველაზე საინტერესო ეპიზოდი ბოლო პერიოდში დაფიქსირდა: ბურთი ფარსა და მის დასამაგრებელ რკინას შორის გაიჭედა. ჯერ მსაჯმა **ზაზა მაჩალაძემ** ერთი დაკაკუნებით სცადა ჩამოგდება, მაგრამ ბურთი მეტისმეტად მყარად ჩაჭედილიყო. ნერწყვმომდგარი მელიასავით შემყურე მოთამაშეები **მიშა ჩიტაშვილმა** იხსნა - ფეხსაცმელი სწრაფად გაიძრო და ბურთის ჩამოსაგდებად ორი სროლა დასჭირდა (სხვათა შორის, მან ჯარიმებშიც 50 პროცენტი გამოიყენა - 4-დან 2 ჩააგდო).



ზემოთ - მიხეილ ჩიტაშვილის ფეხსაცმელი

## არწივამ ჩიტას გაასწრო

შეხვედრის პირველი შესვენებისას გაიმართა წინაღობათა გადალახვის კონკურსი, რომელშიც გამთამაშებლები მონაწილეობდნენ. ერთი შეხედვით, ჩემპიონატის ყველაზე სწრაფ უკანახაზელ მიშა ჩიტაშვილს **დავით არწივიძემ** აჯობა და ფინალში **ლაშა გამყრელიძესთან** ერთად გავიდა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ამ ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა არწივიძემ წინაღობები 14 წამში დაძლია და ჯილდო ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

## ბერიშვილი, ბერიშვილი, ბერიშვილი...

ზედიზედ არა, თუმცა მეორედ მოიგო სამქულიანების ტურნირი **დავით ბერიშვილმა**. მან ფინალში მოგვარე **მიშას სძლია** - 22:16. *"მოხარული ვარ, რომ კონკურსის მოგება მეორედ მოვახერხე. ვფიქრობ, ამ შეჯიბრებამ ქომაგთა იმედებიც გაამართლა"*. - აღნიშნა დათომ. აქვე სამქულიანების ტურნირში ყველა გამარჯვებულს ჩამოგითვლით: 2005 წელი - **დავით ბერიშვილი**, 2006 წელი - **ირაკლი ბერიშვილი**, 2007 წელი - **კოტე ტულუში**, 2008 წელი - **დავით ბერიშვილი**.

## მფრინავთა დუელი

ჩატენვების კონკურსის ფინალში ორი მფრინავი კალათბურთელი შეხვდა - **ვიქტორ სანიკიძე** და **დავით ბარბაქაძე**. მათ თამაშისასაც არაერთი ეფექტური ზემოდან გდება შეასრულეს, თუმცა ფინალში ბარბაქაძემ შედეგიანად სამიდან ვერც ერთი ჩატენვა დაასრულა (თუმცა მეტად ორიგინალური ილეთების გამოყენებას ცდილობდა). სანიკიძემ მესამე ცდაზე სამმაგი ტრიალით ჩატენვების კონკურსი დამსახურებულად მოიგო. *"ჩემთვის მატჩის MVP-ს ჯილდოც ღირებულია და ჩატენვებში გამარჯვებაც, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ ვარსკვლავთა მატჩი ჩემმა გუნდმა მოიგო"*. - თქვა ვიქტორმა მატჩის შემდეგ.

## ხალხი

საუბარი სასიამოვნო თემით დავასრულოთ. გუშინ სპორტის სასახლეში 3 ათასზე მეტი გულშემატკივარი შეიკრიბა. ამდენი ჩემპიონატის არც ერთ მატჩს არ დასწრებია. ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ პლეი ოფებში გუნდებს თამაში ცარიელი ტრიბუნების წინაშე არ მოუწევთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

ჩოგბურთი

# თურქეთს შეესიენ

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** იტალიის ქალაქ ფლორენციის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) მე-5 ნომრად განთესეს. პირველ წრეში ქართველი ესპანელ **სარა დელ ბარიო-არაგონს** (331) შეხვდება. წყვილთა თანრიგში ჩახნაშვილი არ მონაწილეობს.

ფლორიდის შტატის კურორტ ინდიან ჰარბორ ბიჩში 50-ათასიანი ტურნირი დაიწყო, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში პირველივე ბრძოლაში დამარცხდა მე-8 ნომრად განთესილი **სალომე დევიძე**. დევიძემ ამერიკელ **კორტნი ნეგლთან** წააგო – 6:3, 2:6, 2:6. **ანა ტატიშვილი** ძირითად ბადეშია, კენჭისყრამ ის ამერიკელ **ალექსა გლატჩს** შეახვედრა.

ანთალიაში 25-ათასიან, ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ოთხი ქართველი იყო, პირველ წრეში ოთხივე ისვენებდა. მეორე წრეში მე-2 ნომრად განთესილმა **თინათინ ყაველაშვილმა**, რომელსაც წლეულს არსად უთამაშია, სომეხ **ოფელია პოღოსიანს** აჯობა – 6:2, 6:3. **ოქსანა კალაშნიკოვა** მე-5 ნომრად იყო განთესილი, მეორე წრეში მან კინაღამ წააგო რუს **ქსენია მოსკალთან** – 5:7, 6:1, 6:1. **ანა ჯიქიამ** მე-16 ნომრად განთესილი თურქი **ეილულ ბენლი** დაამარცხა – 7:6 (1), 7:6 (2). მე-6 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** ბრძოლაში უკრაინელ **კრისტინა კაზიმოვას** მოუგო – 4:6, 6:1, 6:1. ფინალურ ეტაპზე ყაველაშვილმა მე-10 ნომრად განთესილი რუსი **ავგუსტა ციბიშევა** დაამარცხა და ძირითად ბადეში გავიდა – 6:4, 2:6, 6:2. ოქსანა კალაშნიკოვამ ჩვენთვის საინტერესო დაპირისპირება მოუგო ანა ჯიქიას – 6:0, 6:2. სოფიო ქვაცაბაია წუხელ გვიან ითამაშებდა. **სოფიო შაფათავა** ეგრევე ძირითად ბადეშია, პირველ წრეში ის საკვალიფიკაციო ბადიდან გასულ ჩოგბურთელს შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ანა ტატიშვილი

# ქართველთა ტრიო, მხოლოდ წინ

ორშაბათის რეიტინგმა ცხრა საფეხურით აწია საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი**. შეგახსენებთ, რომ მაკამ ფრანგული კან სურ მერის 125-ათასიან ტურნირის მერვედფინალში გააღწია. ჩახნაშვილს 172 სარეიტინგო ქულა აქვს და ის მსოფლიოს 179-ე ჩოგანია. წინ წაიწია **ანა ტატიშვილმაც**, რომელმაც შარლოტსვილის 50-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში წააგო. ანას 93 ქულა აქვს, გასული კვირის შედეგთან შედარებით 18 წლის ტატიშვილმა 13 საფეხურით წაიწია წინ და ახლა ის მსოფლიოს 276-ე ჩოგანია. მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა ჩვენმა მესამე ჩოგანმაც – 19 წლის **სოფიო შაფათავა** 65 ქულით კლასიფიკაციაში 340-ე ადგილზეა (+16). ეს მის კარიერაში ჯერჯერობით ყველაზე კარგი კვირაა - ერთეულებში 340-ე ადგილი და წყვილებში 418-ე მისი პირადი რეკორდია.

სხვები: 521 (-4) **თინათინ ყაველაშვილი** – 31 ქულა, 577 (+18) **სალომე დევიძე** – 24, 596 (+4) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 23, 610 (-7) **მანანა შაფაქიძე** – 22, 693 (-6) **სოფიო ქვაცაბაია** – 17, 826 (-6) **ეკა გორგოძე** – 10, 977 (-31) **სოფიო მელიქიშვილი** – 5. წყვილთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილი 194-ე ჩოგანია, რაც წინა კვირის შედეგს 13 საფეხურით სჯობს. ოქსანა კალაშნიკოვამ 29 ადგილით წაიწია წინ და ის 348-ე პოზიციაზეა. ანა ტატიშვილმა კი თითმის ასადგილიანი (98) ნახტომი გააკეთა და 360-ე პოზიციაზე დამკვიდრდა. ანას, ოქსანას და სოფიოს წყვილებში კარიერის საუკეთესო კვირა აქვთ.

ვაჟთა შორის გამომჯობინების გზაზე დამდგარ **ლადო ჩიხლაძეს** 62 ქულა აქვს, ის მსოფლიოს 462-ე (-4) ჩოგანია. სხვები: 1220 (+4) **ნოდარ ითონიშვილი** – 4, 1570 (+3) **გიორგი ჭანტურია** – 1, 1765 (-2) **გიორგი ხრიკაძე** – 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## დროებამ ხსოვნა შემოგვინახა

"აპრილის 30-ს მოვიდა მატარებელი, მაგრამ რა მოვიდა: ათი ვაგონის მაგივრად ოცი ვაგონის სამანი მგზავრით. ვაგონებში რომ ადგილი აღარ იყო, ვაგონის საფეხურებზე იდგნენ მგზავრები. მაისის 1-ს მოვიდა დილით მატარებელი უფრო სავსე მგზავრებით. ნავებითა და ცხენებით რაც მოვიდნენ ის სხვა იყო. გაივსო სასტუმროები და სამიკიტნოები იმერლებით და ბურთის მოთამაშე მეგრელებით, იყვნენ თავადაზნაურების პარტია თამაშიყვანილ კაცებით, იყო დიდი ალალ-მაყალი ბურთის გატანაზედ.

გათენდა დილა პირველი მაისისა და დაიწყო ზეიმა. ნაუბდა გულო მოხარული ხალხს, გადაუწყვიათ დარის იმედი. გამართულება იყო ოღლინსკის პარკში საძღვლები სხვადასხვა პირებისა ცალ-ცალკე.

საათის პირველამდის იქინულა, შემდეგ უცებ გაქრნენ ღრუბლები, გამოსცა მზემ თავის სხივები, გაახარა ყოველი ხალხი, შეიქმნა მოძრაობა და ფაეტონების რახა-რუხი, გაივსო უცებ ხალხით, პარკში გაიშალა სტოლები, გაჩნდა სადღეგრძელოები და ვაშა, მოისმა ქუთაისიდამ მოწვეული მუსიკის ხმა, გაჩნდა ხმაურობა, დაიწყეს ბურთის ატან-ჩატარება გუბეზედ დიდის "ვარადათი" და "ვაშათ".

სატუმურთო მეგრელები მოპირდაპირეები არ აჭყენდათ, რომ ბურთის რიგიანი თამაში ყოფილიყო. გურულები ცოტანი იყვნენ, ხონელებიც იყვნენ სულ ათ კაცამდის, მაგრამ მაინც გადახდა ბურთი, გაჩნდა დიდი ძაგარეა, გურულებმა და ხონელებმა იცოდნენ, რომ სიცოტავით ბურთს ვერ წაიღებდნენ და ამ ძაგა-ძუგში ხონელებმა გასჭრეს ბურთი და აღარც ერთს არ ერგოთ; მაგრამ მეგრელებმა მაინც მოაძებნეს, მოგლიჯეს ძირიანად ხე და ზედ თავიანთი სარდალი დასვეს და ისე ატარეს. ბოლოს ხე ბურთის მაგივრად გადაიგდეს დიდის სიხარულით და ვაშათი. ვგონებ ყარსის აღებაზედაც არ იყო ამდენი რაც ამ რთხმელის ხეზედ ვაშა იყვირეს".

*(ფოლეიან, გურიდან)*

*"დროება" 1899 წ. №94*

"გუშინ, კვირას, ნასადილევს თითქმის მთელ ქალაქში იმერლობა მოგროვდა დიდ-უბეში, მუშტიდის იქით ჯერ ჭიდაობით დაიწყეს; მაგრამ იმერთი ჭიდილში განიქმული არ არის: ერთი კახელი და ერთი მეგრელი დაეჭიდნენ ერთმანეთს. კახელი როგორც ჭიდაობის რიგი და წესია ისე შეუდგა საქმეს, ნელ-ნელა უტრიალებდა და ამასობაში მეგრელმა უცერად ნააგოლო ხელი და სანამ იმის მოწინააღმდეგე გონზე მოვიდოდა, ერთიც ვნახოთ მოუტრიალა და ძირს დასცა".

*("დროება" 1882 წ. №80)*

## მაისი ქართული სპორტის ისტორიაში

**რუბრიკაში წაიკითხავთ:**
- ძველი ბერძნების დარად გურულებმა გამარჯვება მწვანე ტოტებით აღნიშნეს
- როდის და როგორ ჩატარდა აქლემების დოლი თბილისში
- როგორ და რატომ აკრძალავდა პოლიცია ჭიდაობას...
- მეგრელი და აფხაზი პატარა ბუმბერაზები

"ფოთი. 1 მაისს ფოთელებს ვერ დაუდგათ კარგი ამინდი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, სტუმრები მაინც ბევრი ჰყვნია. ნაშუადღევს ცოტათი გამოიდარა და ხელი შეუწყო დამზადებულ მობურთავეთ. 4.1/2 საათზე გავარდა ბურთი და იგრიალა პარკში მოგროვილმა აუარებელმა ხალხმა. ყველა ბურთს ეტანებოდა, მაგრამ ამათში 130 იმერელმა მუშამ უფრო ისახელა თავი, ესენი იერიშით მივიდნენ და ნახევარ საათში ბურთი ლელოზედ მიიტანეს. ამ დროს გურული მუშებიც მიეშველნენ და ბურთი ლელოსაც გააცილეს. გამარჯვებულთ დაამტვრიეს ხის ტოტები და სიმღერით პარკი შემოიარეს."

*"ივერია", 1900 წ. №96*

"გასულ კვირას, ამ თვის 5, იოსებ ბაქრაძემ დიდუბეში სახალხო დოლი გამართა.

ჯერ გავიდა ხუთი ცხენი და ბაირალთან პირველად ავეტიქ სემიონოვის ცხენი მივიდა; ორი ვერსი გაირბინა 1 წუთსა და 8 წამში, საჩუქრად პატრონმა მიიღო ექვსი მანეთი. შემდეგ მოვიდა ხოჯაევის ცხენი და საჩუქრად ამის პატრონმა აგრეთვე ფული მიიღო. გამოიყვანეს კიდევ ორი იორღა ცხენი ბ-ნი სემიონოვისა და ბ-6 მამადხანისა. ამ უკანასკნელის ცხენი კარგი იორღა გამოდგა და პირველად მოვიდა ბაირალთან. ორი ვერსი გაირბინა 4 წუთსა და 37 წამში. შემდეგ ბ-6 იგიდხანოვის ეტლი გამოვიდა და ერთს ვერსს შემოურბინა 1 წუთსა და 33 წამში. ეტლის პატრონმა არა მიიღო-რა, რადგანაც მისს ეტლს ერთი ვერსი უნდა შემოერბინა ერთს წუთში და 33 წამი დაიგვიანა. შემდეგ გამოიყვანეს ხუთი აქლემი. პირველად მოვიდა მამად აბდულა ოღლის აქლემი და პატრონმა საჩუქრად სამი თუმანი მიიღო. მეორედ მოვიდა ბაირამ ახმედ-ოღლის აქლემი და პატრონმა საჩუქრად 15 მ მიიღო. ბოლოს გამოვიდა ოთხი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი. ამასთან საჩუქარი მიიღო ბ-ნმა ჩიქოვანმა, რომელმაც ერთი ვერსი შემოურბინა 5 წუთსა და 17 წამში."

*"ივერია", 1891 წ. №96*

"ამბობენ, რომ პოლიციამ აღკრძალა ცირკში ჭიდაობაო. ეს განკარგულება, უეჭველია, იმ აყალმაყალმა გამოიწვია, უკანასკნელ ჭიდაობის დროს რომ ასტყდა ცირკში, როდესაც გლდანელი და ერთი ბაქოელი თათარი შეიბნენ. თათარი რომ ქვეშ მოჰყვა გლდანელს ერთი პარტია ყვიროდა გაშველებას, მეორე კი, თათრები განსაკუთრებით, არ იქნება გაშველებაო, თათარი განგებ დაწვაო, ქვეიდან ჰკრავს ქამანდსაო. საშინელი ღრიალი, ყვირილი შეიქმნა. გალიორკაში კრივიც გაიმართა. ერთი კინტო თათარს შეება."

*"დროება", 1883 წ. №34*

"ქუთაისი, მაისის 3. ქუთათური საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა მაისის 2-ს, რადგან ამ დღეს დანიშნული იყო მარულა პრინცი ოლდენბურგის თაოსნობით. ბევრი ცხენი და ცხენოსანი სხვადასხვა ადგილებიდან შეიკრიბნენ ქუთაისში მარულაში მონაწილეობის მიღებისთვის. მარულაზე დიდი ხალხი დაესწრო და გრილმა ტაროსმაც ხელი მოუწყო ამ სასიამოვნო სასარგებლო დროს გატარებას. მეოთხე და მესამე ჭენებაში (სულ ხუთი ჭენება იყო) გამარჯვება დარჩათ ყმაწვილებს: - თოთხმეტი წლის აფხაზმა და ცამეტი წლის მეგრელმა აიღეს პირველი პრიზები, ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: ჰკოცნიდნენ და ხელიდან ხელში გადაჰყავდათ ეს პატარა ბუმბერაზები. ეგებ ამაზე მიპასუხონ, პრიზს ცხენი იღებს და არა კაციო. მართალია, ცხენს დიდი მნიშვნელობა აქვს მარულაში, მაგრამ ერთი-ორად მეტს ნიშნავს ცხენოსნობის ცოდნა და ხერხი ჭენებისა. მეგრელი ბავშვის ცხენი ყველაზე მდარე იყო, გამარჯვება კი მეგრელს დარჩა."

*"დროება", 1825 წ. №95*

## პირველი, პირველმა, პირველად...



**პირველი** მსოფლიოს ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოდან გახდა **სერგო ჯაიანი** 1954 წელს, გუნდურ პირველობაში. ბჯენით ხტომებში კი იგი მესამე იყო.



**პირველმა** ქართველი ფალავნებიდან ყველაზე მეტი მაღალი სპორტული ჯილდო მოიპოვა **ლევან თედიაშვილმა**. ლევანი ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო ოთხგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში, ერთხელ კი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს სამბოში დაეუფლა.

Lillehammer'94

**პირველად** დამოუკიდებელი საქართველოს სახელით საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღო 1994 წელს ლილეჰამერში გამართულ ზამთრის ოლიმპიადაში.

## სპორტის სახეობის ისტორია

## ნარდო, საიდან მოდიხარ...

ჯერ ის ვთქვათ, რომ ნარდი საქართველოში სპორტის სახეობად აღიარებულია 1990 წლიდან, როცა შეიქმნა ეროვნული ფედერაცია და გავხდით მსოფლიო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი. ტარდება ეროვნული ჩემპიონატები, ვმონაწილეობთ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ნარდის თამაში საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საუკუნეების წინათ იყო ცნობილი. მისი გამოგონება არაბებს მიეწერება, დღეს კი ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული მცირეოდენი განსხვავებებით.

ნარდი მოხსენებულია რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში". სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონაში" კი ვკითხულობთ: "მღერა არს ესენიცა და ჭადრაკთა და ნარდთა და ყოველთა სამორინოთა თამაშობა. სამორინე - სახლი მონარდეთა".



## იყო ასეთი შემთხვევა

## კასკადიორს ერქვა სერგეი კოროლიოვი



იური გაგარინი და სერგეი კოროლიოვი

1989 წლის 26 მარტს, გაზეთი "ტრუდი" იუწყებოდა: "ცნობისმოყვარეთათვის საინტერესო ფაქტი უკავშირდება კოსმოსური ხომალდის შემქმნელის **სერგეი პავლეს ძე კოროლიოვის** სახელს".

ვიდრე ფაქტს გაგაცნობდეთ, ვიტყვით, რომ კოროლიოვი მაშინ 18 წლის იყო და კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა.

მაშ ასე, აი რას წერდა ზემოხსენებული გაზეთი: "1924 წელს კიევთან ახლოს კინოფილმ "ტრიპოლსკაია ტრაგედიას" იღებდნენ. სურათის კულმინაციურ მომენტად უნდა ქცეულიყო ანგარიშსწორება კომკავშირელთან, რომელსაც ბანდიტები კლდოვანი ნაპირის სიმაღლიდან აგდებდნენ მდინარე დნეპრში. რეჟისორი საგონებელში ჩავარდა, არავინ გამოიძებნა ტრიუკის შესრულების მსურველი. და აი, გამოჩნდა ახალგაზრდა, რომელსაც ძალიან, ძალიან ჭირდებოდა ფული და მზად იყო ნებისმიერ რისკზე წასასვლელად. იმ დღეს ამ ახალგაზრდამ, რომლის სახელი და გვარი სერგეი კოროლიოვი იყო, რვაჯერ შეასრულა ტრიუკი. მიღებული ფულით კი შეიძინა ყველა აუცილებელი მასალა, რომელიც საჭირო იყო თავისი პირველი მფრინავი აპარატის შესაქმნელად."

*კასკადიორ-ი (ფრანგ.)... 2. კინომსახიობის დუბლიორი, რომელიც ასრულებს რთულ ტრიუკებს, ისეთებს, რომლებსაც სჭირდება სპეციალური (ტექნიკური, სპორტული და სხვ.) მომზადება ("უცხო სიტყვათა ლექსიკონი", თბ. 1898).*

## სპორტი ყმაწვილთათვის

სპორტში მეცადინეობა ესაა მოზარდის აქტიური ცხოვრების შემადგენელი ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი, ურომლისოდ ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება ვერ აღიზრდება და ჩამოყალიბდება. დიახ, სპორტი თანაბრად ანვითარებს სულსაც და სხეულსაც. ამ იდეის დამკვიდრება ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყეს ქართველმა განმანათლებლებმა ერის მამრგებზებულ გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე. გავეცნოთ ზოგიერთ პუბლიკაციას.

* "კარგი იქნება ქალაქმა გამართოს საგარეუბნო, საგიმნასტიკო მოედანი და მოსწავლეთა ყმაწვილობთათვის, ამ საქმის მოწყობა ძნელი არ არის და არც ბევრი ფული დასჭირდება."

*"ივერია", №43, 1889 წ.*

* "ბურთაობა ნამდვილი იმია, სადაც კარგი მოფიქრებაც საჭიროა და რაზმის თავ-თავის დროზე მოშველებაც გამარჯვების მოსაპოვებლად."

*"ივერია", №85, 1894 წ.*

* ტურიზმთან დაკავშირებით: "ბავშვი, რაც უფრო მეტს ნახავს, გაიგონებს, იმოძრავებს, მით უფრო განვითარდება, მაშასადამე სახელმძღვანელობით მით უფრო სასარგებლო კაცი დადგება."

*"ივერია", 1898 წ.*

## ლელოს ფოტომატიანე

ფოტო, რომელსაც "ლელოს" არქივიდან დღეს გთავაზობთ, 1935 წელსაა გადაღებული. კადრში აღბეჭდილია, ოზურგეთის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც იმ პერიოდში სპორტსკოლის სახელით გამოდიოდა სარბიელზე.

მარცხნიდან: I რიგში - შოთა შოშიტაიშვილი, შუტუ გოგუაძე, კუკური ნაკაიძე, კოტე თავბერიძე, ჟორა მახათაძე, ჟორა თოხაძე ("პაჩიკა", მწვრთნელი), მანიკა ზაქარიაძე, დათო სამსონაძე; II რიგში - ვასო შოშიტაიშვილი, იმჩატი ზაქარიაძე, დუდუ მასხულია, ზაზა მასხულია, ბახვა მექვაბიშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ვახტანგ ჩხიკვიშვილი, კოტიკო გოგატაძე.



## თქვენთვის, ერუდიტებო

1. რამდენგზის მსოფლიოს ჩემპიონია ანტიკურ ჭიდაობაში რომან რურუა?
ა - სამგზის
ბ - ოთხგზის
გ - ხუთგზის
2. ვინ იყო ის ქართველი მოჭადრაკე, რომელმაც სახელი პირველმა გაითქვა რუსეთსა და ევროპაში?
ა - ვიქტორ გოგლიძე
ბ - ვახტანგ ქარსელაძე
გ - ანდრია დადიანი
3. სად და რომელ წელს ჩატარდა წყალბურთში საქართველოს პირველი ჩემპიონატი?
ა - ბათუმში, 1927 წელს
ბ - ფოთში, 1924 წელს
გ - თბილისში, 1936 წელს
4. რამდენგზის მსოფლიოს რეკორდსმენია სამხტომში ვიქტორ სანეევი?
ა - არცერთგზის
ბ - ერთგზის
გ - ორგზის
5. რომელ წლებში იყო ნოდარ ახალკაცი ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი?
ა - 1980-1981 წლებში
ბ - 1981-1982 წლებში
გ - საერთოდ არ ყოფილა

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-გ, 5-ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# მამულის მესამე და თბილისის გასამება




თბილისი-სტუ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| მამული-ქუთაისი | 42:25 |
|---|---|

მამული: ხონელიძე, ბერეკაშვილი, ლობჟანიძე, ცოტაძე (4), ჩიხლაძე, თეთრუაშვილი (9), გველესიანი (6), შონია, გილიგაშვილი (8), სეთურიძე (5), მ. ქუთათელაძე (10)

ქუთაისი: შიშინაშვილი, დოლაკიძე (8), გ. გობეჯიშვილი (1), ტულუში (4), ჯანაშია (1), ჩხეიძე, ცერცვაძე (3), შარაშენიძე (2), სვანიძე, ადამია (6), სიხარულიძე

მსაჯები: ელენე არაბული, თამარ არჩაია

| თბილისი-სტუ-თელავი | 28:24 |
|---|---|

თბილისი: ანდრიაძე, ი. ტორონჯაძე, ჯიშკარიანი, ქარდავა (2), კალანდაძე (14), ნივნივაძე (6), ღლანიძე, მაისურაძე (3), გელაშვილი (3), ყაველაშვილი, ო. ქუთათელაძე

სტუ: თევზაძე, ა. ყიფიანი (1), ჯორბენაძე (1), ზაალიშვილი, გ. ჩიქოვანი, კობახიძე (4), საჯაია, ი. ჩიქოვანი (4), ნიკოლაიშვილი, ტალახაძე (7), გოგალაძე (7), ო. ყიფიანი

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 13 | 0 | 2 | +310 | 26 |
| სტუ | 15 | 12 | 0 | 3 | +256 | 24 |
| მამული | 15 | 3 | 0 | 12 | -237 | 6 |
| ქუთაისი | 15 | 2 | 0 | 13 | -329 | 4 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ამირან ყიფიანი | (სტუ, 154) |
| ვანო ქარდავა | (თბილისი, 144) |
| გიორგი ნივნივაძე | (თბილისი, 107) |

რეგულარული სეზონის ბოლო ტურს ორ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი - ვინ გახდებოდა ბრინჯაოს მედლის ლაურეატი და ვინ მოიგებდა რეგულარულ ჩემპიონატს.

პირველ კითხვას, ფაქტობრივად, საწყის ნახევარსაათიან მონაკვეთშივე გაეცა პასუხი. მიუხედავად იმისა, რომ "ქუთაისმა" წინა ორ მატჩში "მამული" უპრობლემოდ დაამარცხა, გუშინ მოულოდნელად, დიდ ანგარიშით დამარცხდა. დაძაბული მატჩის მოლოდინი პირველივე ტაიმში გაგვიქარწყლდა, რომელიც "მამულმა" 20:11 მოიგო. სიტუაცია მოედანზე დიდად არც მეორე ტაიმში შეცვლილა და საბოლოოდ, **რამაზ შონიას** შეგირდებმა საკმაოდ იოლად იმარჯვეს, რითაც მესამე ადგილი გაინაღდეს...

აი, მომდევნო მატჩი კი ისეთი გამოდგა, რომ მოედანზე სულ ძვლების ჭახაჭუხი ისმოდა. უაღრესად დაძაბული ერთსაათიანი თრილერი საკმაოდ უხეში გამოდგა და ორივე გუნდის ხელბურთელები პანტა-პუნტით ეცემოდნენ მოედანზე ტკივილისაგან გათანგულები. საბედნიეროდ, სერიოზული ტრავმა არავის მიუღია...

საწყისი ექვსწუთიანი პერიოდი სტუელ ხელბურთელთა უპირატესობით წარიმართა, რომლებიც 5:2 დაწინაურდნენ. მერე კი "თბილისმა" გაამაგრა დაცვა, შეტევაშიც მეტოქეზე უკეთ თამაში დაიწყო და შესვენებამდე 8 წუთით ადრე, აქეთ გაიჭრა წინ სამბურთიანი ფორით - 13:10.

მერე იყო ორმხრივი ორწუთიანი გაძევებები, მსაჯებთან კამათი და სიტუაციის დაძაბვა, რითაც საბოლოოდ, უფრო მეტი ხეირი "თელავმა" ნახა და ტაიმის მიწურულს, მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა - 13:14.

მეორე ნახევრის დასაწყისში, სტუელები რამდენჯერმე გაიჭრნენ წინ მინიმალური სხვაობით. თუმცა **ტიტე კალანდაძის** უმაღლესმა კლასმა, **ლევან გელაშვილის** დიდმა გამოცდილებამ და **გიორგი ნივნივაძის** ახალგაზრდულმა ჟინმა ბოლოს მაინც "თბილისს" გაამარჯვებინა. სტუელებს ვერც იმან მისცა შეღავათი, რომ დაუბრუნდათ ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარე **შოთა თევზაძე**. შოთამ საკუთარი საქმე ჩვეულად, შესანიშნავად შეასრულა, მაგრამ როცა დაცვა და შეტევის ხაზი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, მხოლოდ მეკარე თამაშს ვერ მოიგებს. რა უნდა ქნას მეკარემ, როცა მის თანაგუნდელებს თამაშის მიწურულს, კულმინაციურ პერიოდში მთელი 10 წუთი გოლი ვერ გააქვთ?

სტუ-ს გატეხვა მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე დაიწყო. "თბილისმა" ჯერ კაცმეტობით ისარგებლა და ნივნივაძემ 23:20 დააწინაურა თანაგუნდელები, მერე კი კალანდაძემაც გაიტანა და სხვაობა 4 ბურთამდე გაზარდა. ტიტემ 4 წუთით ადრე, მატჩში ყველაზე მეტი - ხუთბურთიანი სხვაობითაც დააწინაურა თავისი გუნდი და ყველაფერი იქვე დამთავრდა - სტუ-ს აღარც დრო ჰქონდა მატჩის გადასარჩენად და აღარც ენერგია.

ამრიგად, რეგულარული ჩემპიონატი "თბილისმა" მოიგო და "თელავთან" საჩემპიონო პლეი ოფში მეორე მატჩს საკუთარ მოედანზე გამართავს. პლეი ოფი 17 და 19 მაისს გაიმართება და საქართველოს მე-18 ჩემპიონი ორი მატჩის ჯამში გამოვლინდება.

**კობა ხატისაშვილი**

კალათბურთი.
ინტერვიუ სერგო ათუაშვილთან

# კალევში ვბრუნდები

**მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს იმის გარკვევა, რამდენად ნაყოფიერი იყო სეზონი ამა თუ იმ კალათბურთელისთვის. ამ საქმეში თავად მოთამაშის ინტერვიუ და სტატისტიკური მონაცემები დაგვეხმარება. დღეს სეზონის შეფასება სერგო ათუაშვილს მივანდოთ, რომელიც 2008 წლის იანვარში ლიტვის "ალიტუსში" გამოჩნდა, შემდეგ ესტონურ "კალევში" გადავიდა და სეზონი ესტონურსავე ტტუ-ში დაასრულა. ვიდრე ინტერვიუს წაიკითხავდეთ, სერგოს მონაგარს გაეცანით: 10 მატჩი, 23.7 წუთი, 11.7 ქულა, 9.3 მოხსნა, 0.5 პასი.**

- მიმდინარე სეზონი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო. ესტონეთის ჩემპიონატში საკმარისი სათამაშო დრო მქონდა და შესაძლებლობებს სრულად ვავლენდი.

**- გადასვლის დღიდან ტტუ-ს ლიდერად იქეცი, ორ მატჩში ერთხელ ორმაგ დუბლს ასრულებდი. რა იყო ასე სწრაფად გუნდთან მორგების მიზეზი?**

- ტტუ-ს შემადგენლობა მთლიანად ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული და გამოცდილება აკლდათ. ამასთან, გუნდს ჩემს მეტი ნომინალური ცენტრი არ ჰყავდა და სრულად მიწევდა დატვირთვა. შიდა ატმოსფეროც ნორმალური იყო.

**- ტტუ ბოლო, მეათე ადგილზე გავიდა. გაისად ქვედა ეშელონში ითამაშებს?**

- ეს ჯერ არ გარკვეულა. საქმე ისაა, რომ ჩემი ყოფილი გუნდი მეორე ლიგის გამარჯვებულს შეხვდება და უმაღლესში ის დარჩება, ვინც გადათამაშებაში მოიგებს.

**- ყოფილი გუნდიო, რატომ თქვი, გადათამაშებაში დახმარებას არ აპირებ?**

- ტტუ-ში აღარ დავრჩები. გუნდიდან უკვე წამოვედი, მაგრამ შეიძლება გადათამაშებაში მაინც ვითამაშო. ჯერ არც ის გარკვეულა, ვისთან მოგვიწევს დაპირისპირება.

**- კარიერის გაგრძელებას სად აპირებ?**

- "კალევში" ვვარჯიშობ და შეიძლება სეზონი ამ გუნდთან ერთად ჩავამთავრო.

**- შუა სეზონში კლუბიდან კლუბში გადასვლა ესტონეთში დაშვებულია?**

- დაშვებულია, მაგრამ გარკვეული პრობლემები მაინც შეგვექმნა. "კალევის" მწვრთნელს ორი დღის წინანდელ მატჩშიც სურდა ჩემი მოედანზე გაყვანა, რადგან ძირითადი ცენტრი ტრავმირებულია, მაგრამ რეგისტრაციასთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა. მწვრთნელმა დამაიმედა, ვეცდები ყველაფერი მოვაგვაროო, ვნახოთ, რა გამოუვა.

**- ტტუ-ში არენდის წესით თამაშობდი?**

- თებერვალში "კალევთან" ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მის შემადგენლობაში ორი მატჩი ჩავატარე და შემდეგ ტტუ-ში გადავედი. რეგულარული სეზონის დასრულებასთან ერთად არენდის ვადა ამოიწურა და "კალევში" დავბრუნდი.

**- კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ბოლომდე კალეველთა რიგებში აპირებ დარჩენას?**

- ამ კითხვაზე დღეს ზუსტ პასუხს ვერ გაგცემ. გუნდის მწვრთნელის შეცვლას აპირებენ და არ ვიცი, გაისად რა სიტუაცია იქნება. "კალევის" ამჟამინდელი თავკაცი მეუბნება, სადაც წავალ, თან წაგიყვანო. აგენტმა მითხრა, ფრანგული კლუბის ვარიანტიაო, მაგრამ ზუსტად არ ვიცი რომელზეა საუბარი. საინტერესო წინადადება მაქვს ჩეხეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსან "გეოფინისგან". საბოლოოდ სად გავაგრძელებ კარიერას, სეზონის დასრულების შემდეგ გავარკვევ.

**- ტტუ-ში წარმატებული თამაშის შემდეგ საქართველოს ნაკრებზე თუ ფიქრობ?**

- რა თქმა უნდა. თუკი ნაკრებში დამიძახებენ აუცილებლად ჩამოვალ. შეკრება როდის იგეგმება, ხომ არ იცი?

**- აგვისტომდე ალბათ არაფერი იქნება...**

- კარგია. ზაფხულის დასაწყისში შეიძლება ამერიკაში წავიდე. მოწვევა ერთ-ერთი კემპიდან მაქვს და არ მინდა გავაცდინო. ამ საკითხზე ჩემს აგენტს კიდევ უნდა ვესაუბრო.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ლეგიონერი

# ბოლო ორ ტურში გადაწყდება

ხელბურთის ბუნდესლიგაში მორიგი მატჩი წააგო **სერგო დათუკაშვილის** "ლიუბეკემ". ჩვენებურის გუნდი ამჯერად "ლემგოსთან" დამარცხდა - 31:33. ამრიგად, ლიუბეკელებს 14 ქულა დარჩათ და ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე 18 გუნდს შორის გასავარდნ, ბოლოსწინა ადგილზე არიან. შემდეგ ტურში ისინი 2 პოზიციით ზემოთ მყოფ "მინდენს" ხვდებიან და თუკი მოუგებენ, ქულებით ენევიან. დასკვნით ტურში "ლიუბეკე" საკუთარ მოედანზე დაუხვდება სამშვიდობო ზონაში მოკალათებულ "ფუქსეს". თუკი დათუკაშვილის გუნდმა ბოლო 2 მატჩი მოიგო, წესით, მინიმუმ ბუნდესლიგაში დასარჩენ პლეი ოფში უნდა ითამაშოს.

რაც შეეხება ქართველ გარემარბს, მან "ლემგოს" 5 გოლი გაუტანა. ბუნდესლიგის წლევანდელ სეზონში, სულ 253 ხელბურთელს აქვს გოლი გატანილი და მათ შორის სერგო 32-ე ადგილზეა 30 მატჩში გატანილი 135 ბურთით.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა. სპრინტი

# ბოლტის ნახევარსენსაცია

წესით, იმ შედეგისთვის, რომელიც იამაიკელმა სპრინტერმა **უსაინ ბოლტმა** იამაიკის საერთაშორისო ტურნირზე, ას მეტრზე სპრინტში დააფიქსირა, სიტყვა, სენსაცია, უნდა გაგვემეტებინა, რადგან ორასმეტრიანი სპრინტის სპეციალისტმა მისთვის არატრადიციულ დისტანციაზე ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი აჩვენა.

ბოლტმა ასი მეტრი 9.76 წამში გაირბინა, რაც სულ რაღაც 0.02 წამით ნაკლებია მსოფლიო რეკორდზე, რომელიც მის თანამემამულეს, **ასაფა პაუელს** ეკუთვნის. ბოლტმა სასტარტო გასროლაზე მყისიერი რეაგირება მოახდინა და რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გაირბინა მთელი დისტანცია, რომლის ფინიშთანაც (ამ მანძილისთვის) საკმაოდ დიდი უპირატესობით, 0.32 წამით მიასწრო მეორეზე გასულ ამერიკელ **დერვის პატონს**. მართალია, იამაიკელს ამ შედეის ჩვენებაში მცირე ზურგქარიც დაეხმარა, მაგრამ მისი სიჩქარე (1.8 მ/წმ) დასაშვებ ზღვარს არ გასცდენია.

*"ეს მართლაც შესანიშნავი შედეგია და ვიცი, მსოფლიო რეკორდის დამყარებაც შემიძლია. სხვა მხრივ, ამ სტადიონის რეკორდი (9.84 წამი, რომელიც პაუელს ეკუთვნოდა) მაინც გავაუმჯობესე და ჩემთვის ესეც მეტად მნიშვნელოვანია"*, - ნაფინიშევს განაცხადა ბოლტმა.

# მონტგომერი ნარკოტიკზე ჩავარდა



დოპინგის გამო შერისხული ამერიკელი სპრინტერი, 100 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი **ტიმ მონტგომერი** ჰეროინის გასაღებაზე ჩავარდა. ამის თაობაზე, ინფორმაცია გაზეთმა "ვირჯინიან პაილოტმა" გაავრცელა.

გაზეთისვე ცნობით, 33 წლის სპრინტერს, ვინც სპორტიდან სამი წლის წინათ წავიდა, პოლიციამ ჩხრეკისას ას გრამზე მეტი ჰეროინი უპოვნა. ჯერ დაზუსტებული არ არის, ნარკოტიკი მას თავისი მოხმარებისთვის ჰქონდა, თუ გასაღებას უპირებდა, თუმცა აშშ-ის კანონით, ას გრამზე მეტი ნარკოტიკის ქონა მის გასაღებასთანაა გაიგივებული.

პოლიციას მომხდარის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად არ გაუვრცელებია. თუმცა გაზეთის რეპორტიორმა დაადგინა, რომ სასამართლომ ყოფილ სპრინტერს წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. ჯერჯერობით, დადგენილი არაა, თუ რა ოდენობით სათავდებო თანხის გადახდა მოუწევს ექვმიტანილს იმისთვის, რომ გამოძიების პროცესში თავისუფალი იყოს.

აღსანიშნავია, რომ მონტგომერის ამ საქმის გარდაც ელოდა სასამართლოს წინაშე წარდგომა. საქმე ისაა, რომ ის და მისი მეგობრები მხილებულნი არიან ყალბი საბანკო ჩეკების გამოწერაში, სხვა საბანკო მაქინაციებსა და ფულის გათეთრებაში, რის გამოც მას ასევე ელის ციხე.

სხვათა შორის, ანალოგიური საქმის გამო, სასჯელს უკვე იხდის მონტგომერის ყოფილი მწვრთნელი, მონრეალის (1976 წლის) ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი, **სტივ რიდიკი**, ვისაც სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა შარშან მიუსაჯა. სასამართლოსთვის ყალბი ჩვენების მიცემის გამო კი, ციხეში იმყოფება მონტგომერის ყოფილი გერლფრენდი, ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ქალი სპრინტერი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების შერისხული ჩემპიონი **მერიონ ჯონსი**.

მონტგომერიმ სახელი 2002 წელს გაითქვა, როცა 100 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდი (9.78 წამი) დაამყარა. მაგრამ შემდეგ დოპინგზე ჩავარდა, რის გამოც, 2001 წლის 31 მარტიდან მოყოლებული, ყველა შედეგი გაუუქმდა. დოპინგის გამო, მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, 2005 წლის სეზონის ბოლოს კი სპორტული კარიერა დაასრულა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

| 1/8 ფინალი | 1/4 ფინალი |
|---|---|
| **აღმოსავლეთი** | **დასავლეთი** |
| **ბოსტონი (1)-ატლანტა (8) 99:65** | **ლეიკერსი (1)-იუტა (4) 109:98** |
| 27:16, 17:10, 35:17, 20:22 | 25:24, 29:17, 25:31, 30:26 |
| ბ: პირსი (22+8 მოხსნა), გარნეტი (18+11 მოხსნა), პოუი (12), პერკინსი (10+10 მოხსნა), რონდო (10+6 პასი). | ლ: ბრაიანტი (38+6 მოხსნა+7 პასი), გასოლი (18+10 მოხსნა), ოდომი (16+9 მოხსნა), ვუიაჩიჩი (15), რადმანოვიჩი (10). |
| ა: ჯონსონი (16), ს. სტაუდმაიერი (10), ჰორფორდი (8+12 მოხსნა). | ი: ოქური (21+19 მოხსნა), ბუზერი (14+14 მოხსნა), დ. უილიამსი (14+9 მოხსნა+9 პასი). |
| სერია 4:3 | სერია 1:0 |

მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი

# როსიმ გამარჯვების გემო გაიხსენა

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, იტალიელმა **ვალენტინო როსიმ** ბოლო რვა თვეში პირველი გამარჯვება მოიპოვა. მოტო გრანპრის მსოფლიო ჩემპიონატის ჩინურ ეტაპზე, რომელსაც შანხაის "საერთაშორისო წრემ" უმასპინძლა, "ჰონდას" ესპანელ **დანიელ პედროსასთან** უშეღავათო პაექრობაში, როსიმ ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

როსიმ, ვინც "იამაჰას" საქარხნო გუნდის სარბოლი მოტოციკლით ასპარეზობს, კვალიფიკაციაზე მეორე ადგილი დაიკავა, რბოლის დასაწყისში კი უკან მოიტოვა პედროსა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერია და აქედან მოყოლებული, მოწინავე პოზიცია ხელიდან აღარც გაუშვია.

პედროსა ყველანაირად ცდილობდა, ლიდერს არ ჩამორჩენოდა, მაგრამ საბოლოოდ, იტალიელს ფინიშთან 3.89 წამით ჩამორჩა. სამაგიეროდ, მასთან 12 წამზე მეტი წააგო მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **კეისი სტოუნერმა**.



ვალენტინო როსი

გამარჯვებასთან ერთად, როსიმ შანხაის ავტოდრომის სარეკორდო დროც დააფიქსირა – მე-18 წრე მან წუთსა და 59.273 წამში გაიარა. ცნობისთვის, შანხაიმდე, ბოლო გამარჯვება მას გასულ სექტემბერში, პორტუგალიის ეტაპზე ჰქონდა მოპოვებული.

*"ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. ამდენი ხანია, რბოლა არ მომეგო და გამარჯვების გემო ცოტა დამავიწყდა კიდეც. ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ძნელი პერიოდი იყო და მიხარია, რომ ის დასრულდა. თქმა არ უნდა, შანხაიში მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ, რომელიც მომავალ რბოლებში ძალიან გამოგვადგება"*, - განაცხადა 29 წლის როსიმ, ვინც ყველაზე პრესტიჟულ კლასში ასპარეზობისას, კვარცხლბეკზე ადგილი 102-ედ დაიკავა.

ამ გამარჯვების მიუხედავად, როსი პირად კლასიფიკაციაში მაინც მესამე ადგილზე იმყოფება და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება ესპანელ თანაგუნდელ **ხორხე ლორენსოს**, ვინც რბოლის დღეს 21 წლის გახდა. აღსანიშნავია, რომ პარასკევის პრაქტიკის დროს ლორენსო დაეცა და მარცხენა კანჭის ძვალი გაებზარა, თუმცა რბოლაში მაინც იასპარეზა და მეოთხე ადგილიც კი დაიკავა.

ჩემპიონატის ლიდერი კი კვლავაც პედროსაა, რომელიც შანხაიში დაკავებული მეორე ადგილითაც კმაყოფილი დარჩა. სხვათა შორის, ის ერთადერთი მოტომრბოლია, ვისაც ოთხივე ეტაპი კვარცხლბეკზე აქვს დასრულებული. ლიდერი ლორენსოს 7 ქულას უგებს. ჯერჯერობით, მხოლოდ მეოთხეა სტოუნერი (დუკატი).

*"რბოლის მიწურულს ტემპი დავაგდე, რადგან აშკარა იყო, რომ ვალენტინოს მაინც ვერ დავეწეოდი. ამ რბოლაში მეორე ადგილიც საკმარისია"*, - განაცხადა 22 წლის პედროსამ.

მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა ამერიკელი **კოლინ ედვარდსი**, ვინც კვალიფიკაციაზე ტრასის როსისეული რეკორდი გააუმჯობესა, მაგრამ რბოლაში ვერ ივარგა და ლიდერის პოზიცია დასაწყისშივე დაკარგა.

კლას 125-ში გამარჯვება იტალიელმა **ანდრეა იანონემ** მოიპოვა, ვინც სამ წამზე მეტით აჯობა ფრანგ **მიკ დი მელიოს**. კლას 250-ში კი უსწრაფესი ფინელი **მიკა კალიო** იყო, რომელმაც ასევე სამწამიანი უპირატესობით, იაპონელ **ჰიროში აოიამას** აჯობა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### IV ეტაპი (ჩინეთის გრან-პრი)

**125 cc**

1. **ანდრეა იანონე** (იტალია, "აპრილია") - 46'02"275; 2. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, "აპრილია") - +3"355; 3. **გაბორ ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +3"451; 4. **პოლ ესპარაგო** (ესპანეთი, "დერბი") - +14"028; 5. **შტეფან ბრადლი** (გერმანია, "აპრილია") - +23"853; 6. **ხოან ოლივე** (ესპანეთი, "დერბი") - +31"962.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სიმონე კორსი** (იტალია, "აპრილია") - 59 ქულა; 2-3. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, "აპრილია"), **ხოან ოლივე** - 50; 4. **მაიკ დი მელიო** - 49; 5. **შტეფან ბრადლი** - 48; 6-7. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, "აპრილია"), **ანდრეა იანონე** - 32.

**250 cc**

1. **მიკა კალიო** (ფინეთი, KTM) - 48'12"217; 2. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - +3"238; 3. **მატია პაზინი** (იტალია, "აპრილია") - 13"811; 4. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, KTM) - +18"474; 5 **ალექს დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +21"066; 6. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - +25"158.

**საერთო ჩათვლა:** 1. **მიკა კალიო** - 82 ქულა; 2. **მატია პაზინი** - 61; 3. **ექტორ ბარბერა** - 49; 4. **იუკი ტაკაჰაში** (იაპონია, "ჰონდა") - 46; 5. **ჰიროში აოიამა** - 44; 6. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 39.

**მოტოგრანპრი**

1. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - 44'08"061; 2. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +3"890; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +15"928; 4. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, "იამაჰა") - +22"494; 5. **მარკო მელანდრი** (იტალია, "დუკატი") - +26"957; 6. **ნიკი ჰაიდენი** (აშშ, "ჰონდა") - +28"369.

**საერთო ჩათვლა:** 1. **დანიელ პედროსა** - 81 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** - 74; 3. **ვალენტინო როსი** - 72; 4. **კეისი სტოუნერი** - 56; 5-6. **ჯეიმს ტოუსლენდი** (ბრიტანეთი, "იამაჰა"), **ლორის კაპიროსი** (ესპანეთი, "სუძუკი") - 33.

## ჩოგბურთი. რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6775 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5930 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4750 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3440 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 2780 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2260 |
| 7(7). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2110 |
| 8(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1965 |
| 9(9). რიშარ გასკე (საფ) | 1690 |
| 10(10). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1615 |
| 11(15). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1560 |
| 12(11). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1485 |
| 13(14). კარლოს მოია (ესპ) | 1440 |
| 14(16). ხუან მონაკო (არგ) | 1425 |
| 15(12). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 1415 |
| 16(17). ტომი რობრედო (ესპ) | 1400 |
| 17(13). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 1380 |
| 18(19). ენდი მარეი (ბრიტ) | 1380 |
| 19(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1375 |
| 20(18). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 1370 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 409 |
| 2(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 376 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 265 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 260 |
| 5(8). დავიდ ფერერი (ესპ) | 188 |
| 6(5). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 177 |
| 7(6). ენდი როდიკი (აშშ) | 168 |
| 8(9). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 156 |
| 8(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 156 |
| 10(11). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 141 |
| 11(10). ენდი მარეი (ბრიტ) | 137 |
| 12(12). მიხაილ იუჟნი (რუს) | 118 |
| 13(13). მარდი ფიში (აშშ) | 115 |
| 14(14). მიხაელ ლოდრა (საფ) | 110 |
| 15(15). სემ კუერი (აშშ) | 106 |
| 16(16). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 105 |
| 17(17). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 100 |
| 18(23). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 99 |
| 18(28). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 99 |
| 20(34). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 96 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2 024 267 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 1 711 866 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 028 669 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 905 219 |
| 5. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 733 981 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 592 515 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპ) | 531 498 |
| 8. მიხაელ ლოდრა (საფ) | 524 057 |
| 9. ენდი მარეი (ბრიტ) | 460 676 |
| 10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 446 553 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 400 222 |
| 12. დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 384 858 |
| 13. მარდი ფიში (აშშ) | 384 480 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუს) | 375 808 |
| 15. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 330 544 |
| 16. ჯონათან ერლიხი (ისრ) | 326 619 |
| 17. ენდი რამი (ისრ) | 326 619 |
| 18. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 323 503 |
| 19. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 306 875 |
| 20. იგორ ანდრეევი (რუს) | 298 657 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 5830 |
| 2(2). ანა ივანოვიჩი (სერ) | 4157 |
| 3(3). მარია შარაპოვა (რუს) | 3986 |
| 4(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3845 |
| 5(5). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3755 |
| 6(6). სერენა უილიამსი (აშშ) | 2726 |
| 7(7). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2630 |
| 8(8). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2516 |
| 9(9). ელენა დემენტიევა (რუს) | 2440 |
| 10(10). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2257 |
| 11(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2198 |
| 12(12). პატი შნიდერი (შვეიც) | 1965 |
| 13(13). ვერა ზვონარევა (რუს) | 1742 |
| 14(14). აგნეს შავაი (უნგ) | 1603 |
| 15(15). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1483 |
| 16(16). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1433 |
| 17(17). დინარა საფინა (რუს) | 1412 |
| 18(18). შაარ პეერი (ისრ) | 1245 |
| 19(21). ამელი მორესმო (საფ) | 1176 |
| 20(22). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1166 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 2060 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1515 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1475 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 1455 |
| 5. ვერა ზვონარევა (რუს) | 1262 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1110 |
| 7. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1000 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუს) | 886 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 802 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 786 |
| 11. ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 625 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიც) | 582 |
| 13. ვენუს უილიამსი (აშშ) | 566 |
| 14. ნა ლი (ჩინ) | 565 |
| 15. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 524 |
| 16. ალიზე კორნე (საფ) | 518 |
| 17. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) | 513 |
| 18. ფლავია პენეტა (იტა) | 511 |
| 19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 471 |
| 20. ამელი მორესმო (საფ) | 465 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1 760 626 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 025 535 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 017 090 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 853 648 |
| 5. ვერა ზვონარევა (რუს) | 565 808 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 584 965 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 477 318 |
| 8. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 445 185 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 421 643 |
| 10. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 383 825 |
| 11. აი სუგიამა (იაპ) | 334 200 |
| 12. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 317 164 |
| 13. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 314 285 |
| 14. ვენუს უილიამსი (აშშ) | 302 778 |
| 15. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 272 366 |
| 16. შაარ პეერი (ისრ) | 269 845 |
| 17. დინარა საფინა (რუს) | 249 112 |
| 18. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 248 857 |
| 19. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 238 587 |
| 20. კაროლინ ვოზნიაკი (დან) | 208 992 |

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. NHL პლეიოფი. 1/4 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**პიტსბურგ (2)–რეინჯერ (5) 3:2 (ო)**

0:0, 2:0, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 მარიან ჰოსა-4 (რაიან მელოუნი-6, კროსბი-11), 2:0 მალკინი-6 (ლეტანგი-2, რაიან უიტნი-4), 2:1 კორპიკოსკი-1 (როუსივალი-5, დრური-3), 2:2 დეივსი-2 (გომესი-7, კელეჰანი-2), 3:2 მარიან ჰოსა-5 (კროსბი-12, დუპუი-4).

სერია: 4:1

**დასავლეთი**

**დალასი (5)–სან ხოსე (2) 2:1 (4 ო)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0, 0:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 მიეტინენი-1 (ზუბოვი-3, მოდანო-6), 1:1 ქლოუ-5 (რივე-6, ტ. მიტჩელი-2), 2:1 მოროუ-7 (რობიდასი-7, რიბეირო-11).

სერია: 4:2

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| იარომირ იაგრი (რეინ) | 15 (5+10) |
| იოჰან ფრანცენი (დეტ) | 14 (11+3) |
| დანიელ ბრიერი (ფილ) | 14 (8+6) |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 14 (6+8) |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 14 (3+11) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 14 (2+12) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 13 (5+8) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 13 (7+6) |
| ვაცლავ პროსპალი (ფილ) | 12 (3+9) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| იოჰან ფრანცენი (დეტ) | 11 |
| არ ჯეი უმბერგერი (ფილ) | 9 |
| დანიელ ბრიერი (ფილ) | 8 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 7 |
| ბრენდან მოროუ (დალ) | 7 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 6 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 12 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 11 |
| იარომირ იაგრი (რეინ) | 10 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 9 |
| ვაცლავ პროსპალი (ფილ) | 9 |

## NHL პლეიოფი. 1/2 ფინალი. კალენდარი

**აღმოსავლეთი**

**პიტსბურგი (2)–ფილადელფია (6)**

9 მაისი. პიტსბურგი-ფილადელფია
11 მაისი. პიტსბურგი-ფილადელფია
13 მაისი. ფილადელფია-პიტსბურგი
15 მაისი. ფილადელფია-პიტსბურგი
18 მაისი. პიტსბურგი-ფილადელფია*
20 მაისი. ფილადელფია-პიტსბურგი*
22 მაისი. პიტსბურგი-ფილადელფია*

**დასავლეთი**

**დეტროიტი (1)–დალასი (5)**

8 მაისი. დეტროიტი-დალასი
10 მაისი. დეტროიტი-დალასი
12 მაისი. დალასი-დეტროიტი
14 მაისი. დალასი-დეტროიტი
17 მაისი. დეტროიტი-დალასი*
19 მაისი. დალასი-დეტროიტი*
21 მაისი. დეტროიტი-დალასი*

## მსოფლიო ჩემპიონატი. I ეტაპი

**B ჯგუფი**

**ლატვია–კანადა 0:7**

0:3, 0:4, 0:0

გოლები: 0:1 შარპი-1 (მეიერსი-1), 0:2 მ. გრინი-1 (ჰიტლი-2), 0:3 ჰიტლი-4 (გეტცლაფი-3), 0:4 ნეში-1 (ჰიტლი-3, ბერნსი-1), 0:5 სენტ ლუისი-2 (სპეცა-1), 0:6 კუნიტცი-1 (დ. რუა-1), 0:7 ნეში-2 (გეტცლაფი-4, ჰიტლი-4).

**აშშ–სლოვენია 5:1**

1:0, 2:1, 2:0

გოლი: 1:0 კეინი-2 (ბრაუნი-2), 2:0 კესელი-1 (ვიშნიევსკი-1, პომინვილი-1), 3:0 კესელი-2 (მარტინი-4, მიულერი-2), 3:1 კოპიტარი-2 (რაჟინგარი-2, კრანიჩი-1), 4:1 ბუთი-1 (სტეფორდი-1), 5:1 კესელი-3 (ბარიში-1, ო'სალივანი-1).

| | მ | ო-მ | ო-წ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 2 | 0 | 0 | 0 | +11 | 6 |
| 2. აშშ | 2 | 0 | 0 | 0 | +8 | 6 |
| 3. სლოვენია | 0 | 0 | 0 | 2 | -8 | 0 |
| 4. ლატვია | 0 | 0 | 0 | 2 | -11 | 0 |

**D ჯგუფი**

**ჩეხეთი–რუსეთი 4:5 (ო)**

2:2, 1:1, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ზინოვიევი-1 (მოროზოვი-2, კოვალჩუკი-2), 1:1 ელიაში-1 (პლინკა-1, ჟიდლიცკი-1), 2:1 კოტალიკი-2 (ფლეიშმანი-2, კუბა-2), 2:2 გოროვიკოვი-1 (ვოროზიოვი-1), 2:3 მოროზოვი-2 (მარკოვი-1, კალინინი-1), 3:3 ელიაში-2 (ჟიდლიცკი-2, ტ. კაბერლე-2), 4:3 ელიაში-3 (პლინკა-2, ტ. კაბერლე-3), 4:4 კორნეევი-1 (სიომინი-2, კოვალჩუკი-3), 4:5 მოროზოვი-3 (ზინოვიევი-3, კალინინი-2).

**იტალია–დანია 2:6**

0:3, 1:1, 1:2

გოლები: 0:1 მ. გრინი-1 (კ. სტაალი-1, მადსენი-1), 0:2 კ. სტაალი-1 (ელერი-1, მ. გრინი-1), 0:3 ჰანსენი-2 (მ. გრინი-2, რეგინი-1), 0:4 ნილსენი-1 (მ. გრინი-3, კ. სტაალი-2), 1:4 ჩირონე-2 (სკანდელა-2, სტრაცაბოსკო-1), 2:4 ფონტანივე-1 (სინიორეტი-1, ანსოლდი-1), 2:5 დამგაარდი-1 (დალმანი-1, ჰირში-1), 2:6 დეგნი-1 (კიარგაარდი-1).

| | მ | ო-მ | ო-წ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +7 | 5 |
| 2. ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | +2 | 4 |
| 3. დანია | 1 | 0 | 0 | 1 | +1 | 3 |
| 4. იტალია | 0 | 0 | 0 | 2 | -10 | 0 |

## ცურვა. ღია წყალი

# რუსებმა სევილიაში გაიმარჯვეს



დიატჩინმა და ილჩენკომ ღია წყლიდან ოქროები რუსეთის გზას გაუყენეს

ესპანეთის ქალაქ სევილიაში ჩატარდა ღია წყალში მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც ოქროს ორივე მედალს რუსი მოცურავეები დაეუფლენ. მამაკაცებში ათკილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად **ვლადიმირ დიატჩინმა** გაცურა, ქალთა შორის იმავე მანძილზე კი პირველობა არავის დაუთმო **ლარისა ილჩენკომ**.

სევილიაშივე ხელი მოეცარა სახელოვან ავსტრალიელ მოცურავე **გრანტ ჰეკეტს**, ვინც პეკინის ოლიმპიადაზე ღია წყალში გამოსვლასაც აპირებდა, მაგრამ რბოლის შემდეგ, მისი შედეგი გაუქმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიადაზე ის ღია წყალში ვერ იასპარეზებს.

ჰეკეტმა ასპარეზობა მე-15 ადგილზე დაასრულა, მაგრამ სამი გაფრთხილების გამო (რაც მეტოქეებისთვის გზის გადაკვეთისთვის მიიღო), მისი შედეგი ანულირებულ იქნა. მოკლედ, პეკინში ჰეკეტი სამ დისტანციაზე იასპარეზებს. ესენია 400 და 1 500 მეტრი თავისუფალი სტილით და 4x200 მეტრზე ესტაფეტა. ცნობისთვის, 1 500 მეტრზე თავისუფალ სტილში ჰეკეტს ორი ოლიმპიური ოქრო უკვე აქვს მოპოვებული, მესამე გამარჯვება კი უპრეცედენტო შემთხვევა იქნება.

*"ასპარეზობის დროს, ყველგან ვილაცის ტანს ვეხებოდი. ზოგჯერ თავისუფალი ადგილის ნახვა შეუძლებელიც კი იყო. სტარტამდეც ვიცოდი, რომ ღია წყალში გამოსვლა აუზისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ ასეთ სირთულეს თუ წავაწყდებოდი, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. ფინიშამდე 150 მეტრიც არ იყო დარჩენილი, რომ ვილაცამ გზა გადამიჭრა. მე მას ფეხებზე შევეხე და როგორც ჩანს, ამის გამო მომხსნეს"*, - განაცხადა ჰეკეტმა. სხვათა შორის, ღია წყალში ცურვას ხშირად "წყალში ჭიდაობასაც" უწოდებენ და ამ მეტსახელის მართებულობა სახელოვანმა მოცურავემ საკუთარ ტყავზე გამოსცადა.

რაც შეეხება დიატჩინს, მან დისტანცია საათში, 53 წუთსა და 21 წამში გაცურა და ფინიშთან სულ რაღაც 0.30 წამით მიასწრო მეორეზე გასულ ბრიტანელ **დევიდ დევისს**. ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა გერმანელი **თომას ლურცი**, ვინც მსოფლიოს ჩემპიონი ორი წლის წინათ გახდა. სულ კი პეკინის ოლიმპიადის საგზური ათმა მოცურავემ მოიპოვა.

ილჩენკომ იგივე დისტანცია ორ საათში, 02 წუთსა და 02.7 წამში გაცურა. ფინიშთან მან 3.1 წამით მიასწრო ბრიტანელ **კასანდრა პატენს**, მესამეზე კი ესპანელი **იურემა რეკვენა** გავიდა.

ნამდვილი სენსაცია გახდა მეოთხეზე სამხრეთაფრიკელი **ნატალი დუ ტუას** გასვლა. საქმე ისაა, რომ დუ ტუას მარცხენა ფეხი ამპუტირებული აქვს. ეს ფეხი მან შვიდი წლის წინათ, ავტოავარიის შემდეგ დაკარგა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ინვალიდმა მოცურავემ ჯანსაღ ილჩენკოსთან მხოლოდ (!!!) 5.1 წამი წააგო.

დუ ტუა პირველი ინვალიდი მოცურავეა, ვინც დიდ ტურნირზე (ექვსი წლის წინათ) იასპარეზა. მას ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლაც სურდა, მაგრამ იქაური საგზური ვერ მოიპოვა. სამაგიეროდ, ათენის პარალიმპიურ თამაშებზე ოქროს ხუთი და ვერცხლის ერთი მედალი მოიპოვა.

ღია წყალში ასპარეზობა ოლიმპიურ პროგრამაში პირველადაა შეტანილი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ოლიმპიზმი. ვანკუვერი 2010

# ესტაფეტა არ იქნება

2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ვანკუვერის თამაშების წინ, ოლიმპიური ჩირაღდნის ტრადიციული ესტაფეტა არ გაიმართება. ამის შესახებ ტელეკომპანია CTV-ზე, მომავალი თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა, **ჯონ ფურლონგმა** განაცხადა.

*"ამ გადაწყვეტილებაზე პეკინის ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის დროს გამართულმა საპროტესტო აქციებმა იქონიეს გავლენა. კანადის ფარგლებს გარეთ რამდენიმე ქალაქი ჩართული იქნება ცეცხლის ჩამოტანის პროცესში, თუმცა ამას ოფიციალური ესტაფეტის სახე არ მიეცემა"*, - განაცხადა ფურლონგმა.

**გია თვალაბეიშვილი**

# TV სპორტი

**6 მაისი. სამშაბათი**

**I არხი**

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეიოფი. საპასუხო მატჩი. აიაქსი-ჰერენვეენი.
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
16:55 90 წუთი - საფეხბურთო თოქ-შოუ.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:20 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-შალკე (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:25 ბილა. ჩემპიონთა თამაშები.
07:50 სპორტდოსიე.
08:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 სპორტდოსიე.
10:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სლოვაკეთი-გერმანია. კანადა.
11:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. I რაუნდი. რომი. იტალია.
15:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:45 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი.
18:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შტუტგარტი (LIVE).
23:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
02:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი.
05:40 სპორტდოსიე.
06:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
10:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ირლანდია. თურქეთი.
11:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. თურქეთი-ჰოლანდია. თურქეთი.
12:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
15:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II რაუნდი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II რაუნდი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:45 პროფესიული კრივი. ბ. მაკგირტი (აშშ)-კ. დე ლეონი (პუერტო რიკო). მაიამი. აშშ.
23:00 პროფესიული კრივი. საფრანგეთი (LIVE).
01:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
02:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
12:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. სიუდადი (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
14:00 ახალი ამბები.
16:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ტამპა ბეი-ჩიკაგო.
17:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. სიუდადი (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
20:00 ახალი ამბები.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:30 ავტოსპორტი. ლე მანის ამერიკული სერია. ლონგ ბიჩი. აშშ.
21:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი.
23:30 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ტამპა ბეი-ჩიკაგო.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ირლანდია. თურქეთი.
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ნიუკასლი-ჩელსი 0:2**

ნიუკასლი: ჰარპერი, ს. ტეილორი, ბეიე, ხოსე ენრიკე (77. ნ'ზოგბია), ბატი, ჯერემი (71. დაფი), ფეიე, ბარტონი, ვიდუკა (46. ა. სმიტი), ოუენი, მარტინსი.

ჩელსი: ჩეხი, ბრიჯი, ტერი, რიკარდო კარვალიო (79. ანელკა), პაულო ფერეირა, ესიენი, მალუდა, ბალაკი, ობი მიკელი, ანელკა (66. ლემპარდი), დროგბა (86. შევჩენკო).

გოლები: 0:1 ბალაკი (61), 0:2 მალუდა (82)

გაფრთხილება: 2-2; დარტყმა: 13(5)-18(9); კუთხური: 1-6; თამაშგარე: 2-0; ჯარიმა: 13-15; ბურთის ფლობა: 43%-57%

მაყურებელი: 52 305

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 37 | 26 | 6 | 5 | 78-23 | 84 |
| 2. ჩელსი | 37 | 25 | 9 | 3 | 64-25 | 84 |
| 3. არსენალი | 37 | 23 | 11 | 3 | 73-31 | 80 |
| 4. ლივერპული | 37 | 20 | 13 | 4 | 65-28 | 73 |
| 5. ევერტონი | 37 | 18 | 8 | 11 | 52-32 | 62 |
| 6. ასტონ ვილა | 37 | 16 | 11 | 10 | 69-49 | 59 |
| 7. ბლეკბერნი | 37 | 15 | 13 | 9 | 49-44 | 58 |
| 8. პორტსმუთი | 37 | 16 | 9 | 12 | 48-39 | 57 |
| 9. მანჩესტერ სიტი | 37 | 15 | 10 | 12 | 44-45 | 55 |
| 10. ვესტ ჰემი | 37 | 13 | 9 | 15 | 40-48 | 48 |
| 11. ტოტენჰემი | 37 | 11 | 13 | 13 | 66-59 | 46 |
| 12. ნიუკასლი | 37 | 11 | 10 | 16 | 44-62 | 43 |
| 13. ვიგანი | 37 | 10 | 10 | 17 | 34-49 | 42 |
| 14. მიდლსბრო | 37 | 9 | 12 | 16 | 35-52 | 39 |
| 15. სანდერლენდი | 37 | 11 | 6 | 20 | 36-58 | 39 |
| 16. ბოლტონი | 37 | 9 | 9 | 19 | 35-53 | 36 |
| 17. ფულჰემი | 37 | 7 | 12 | 18 | 37-60 | 33 |
| 18. რედინგი | 37 | 9 | 6 | 22 | 37-66 | 33 |
| 19. ბირმინგემი | 37 | 7 | 11 | 19 | 42-61 | 32 |
| 20. დერბი | 37 | 1 | 8 | 28 | 20-85 | 11 |

**კონფერენსი**

ტორკი-ექსეტერი 1:4

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

ბულონი-გრენობლი 0:1

**ჰოლანდია**

**ჩ. ლიგა. პლეიოფი**

აიაქსი-ჰერენვეენი 3:1

**შოტლანდია**

ფალკირკი-ჰართსი 2:1

**დანია**

ჰორსენსი-კოპენჰაგენი 3:2

**ფინეთი**

ჰაკა-კუოპიო 3:0

**II დივიზიონი**

კაპა-გრიფკ 1:0

**ნორვეგია**

ლილესტრიომი-ვიკინგი 2:0

**შვედეთი**

გაის-ნორჩოპინგი 0:0
ლიუნგსკილე-გეფლე 0:0
აიკ-ჰალმსტადი 1:0

**II დივიზიონი**

ბუნკეფლო-მიალბიუ 1:6
ენჩოპინგი-კვიდინგი 1:1
იონჩოპინგი-ფალკენბერგი 0:0

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

ვადუცი-ივერდონი 0:0

**ჩეხეთი**

სიგმა-სლავია 1:3

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

პანთრაკიკოსი-ოლიმპიაკ (ვ) 2:1

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

მეტალურგი-ზვეზდა 2:1
დინამო (ბარ)-სკა ენერგია 2:2
ენერგია-ალანია 1:0
სიბირი-ჟუბანი 4:0
ვიტიაზი-კამაზი 1:0
ნოსტა-ვოლგა 2:1
ურალი-ჩერნომორეცი 2:0
ანჟი-სპპ მოსკოვი 4:2
სკა (რ)-მაშუკი 1:0
ტორპედო-როსტოვი 0:2
ბალტიკა-დინამო (ბრ) 3:0

**უნგრეთი**

კაპოშვარი-ჰონვედი 1:0

**ჰოკეი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

შვეიცარია-ბელარუსი 2:1
ფინეთი-ნორვეგია 2:2, ო.ტ. 1:0

**ჩოგბურთი**

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| ლუბიჩიჩი-დარცისი | 5:7, 6:7 |
| გასკე-ორნა | 4:6, 1:6 |
| ანდრეევი-ლი | 6:4, 7:5 |
| მაუ-ფაბიანო | 6:7, 6:4, 7:5 |
| შტეპანეკი-ნიემინენი | 6:3, 3:6, 6:3 |
| კანიასი-ნასო | 6:7, 6:3, 6:2 |
| სიოდერლინგი-კოროლიოვი | 6:1, 3:6, 4:6 |
| ლოდრა-ფიში | 5:7, 6:3, 6:7 |
| სტარაჩე-ჩილიჩი | 6:4, 2:6, 6:4 |
| ალმაგრო-ჩიპოლა | 6:1, 6:3 |
| მონაკო-კუევასი | 6:0, 6:4 |
| სეპი-სანტორო | 6:4, 6:2 |
| მარეი-დელ პოტრო | 5:7, 6:4, 6:0 |
| ვავრინკა-საფინი | 6:7, 6:2, 6:1 |

**WTA. ბერლინი**

| | |
|---|---|
| ციბულკოვა-ა. ბონდარენკო | 4:6, 6:1, 6:7 |
| სკიავონე-კორნე | 7:5, 4:6, 6:3 |
| პეერი-ლისიცკი | 5:7, 1:6 |
| რაზანო-საფაროვა | 4:6, 5:7 |
| ვოზნიაჩკი-გოლოვინი | 7:6, 6:2 |
| კნაპი-კანეპი | 6:0, 6:1 |
| შავაი-სეკერა | 6:2, 6:0 |
| სრებოტნიკი-პეტროვა | 6:7, 6:3, 6:7 |
| პაჩეკი-კ. ბონდარენკო | 4:6, 6:1, 6:7 |
| ძეპალევიჩი-ბახმანი | 6:7, 6:3, 3:6 |
| ჩანი-პარმენტიე | 7:5, 2:6, 6:4 |
| საფინა-გორგესი | 6:3, 6:4 |
| ბამერი-კრაიჩეკი | 6:1, 6:2 |
| ა. რადვანსკა-კერბერი | 6:0, 6:3 |
| კირილენკო-ვესნინა | 2:6, 7:5 (შეწყდა) |

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# კუბიცაზე ნადირობა იწყება



გერმანულ გაზეთ Bild-ის ინფორმაციით, ამ სეზონის მსვლელობისას "რენო" და "ფერარი" პოლონელი **რობერტ კუბიცას** ხელში ჩასაგდებად იბრძოლებენ. წლეულს, "BMW-ზაუბერის" პილოტის ანგარიშზე ორი პოდიუმი, ერთი პოული მოდის და ამ საჯინიბოს პროგრესს თუ გავითვალისწინებთ, მალე პოლონელისგან ეტაპის გამარჯვებაც არავის გაუკვირდება.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა პილოტის წარმატებები არ გამოპარვიათ ფორმულა 1-ის მამებს. *"ის ყოველ ეტაპზე სულ უფრო უკეთ გამოიყურება. მე რომ რომელიმე საჯინიბოს შეფი ვიყო, კუბიცას აუცილებლად მოვიწვევდი ჩემს გუნდში"*, - ამბობს ფორმულას ფაქტობრივი მფლობელი **ბერნი ექლსტოუნი**, რომელსაც პოლონელი აღმოსავლეთ ევროპის ბაზრის დასაპყრობად სჭირდება.

კუბიცას BMW-სთან კონტრაქტი 2009 წლის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ ცნობილი ხდება, რომ ამავე ხელშეკრულების მიხედვით, "ზაუბერს" წინასწარ განსაზღვრულ ვადაში შეუძლია პირველმა შესთავაზოს ახალი კონტრაქტი კუბიცას. თუმცა ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ კუბიცას სხვა გუნდებთან მოლაპარაკებების წარმოების უფლება ექნება. Bild იტყობინება, რომ "რენოს" შეფი **ფლავიო ბრიატორე** უკვე ესაუბრა პოლონელს მომავალი კონტრაქტის დეტალებზე.

სხვათა შორის, თუ ბრიატორე მართლაც შეძლებს კუბიცას გადაბირებას, ეს "რენოში" პოლონელის მეორე მისვლა იქნება: 2005 წლამდე ის ახალგაზრდა მრბოლელების პროგრამაში მონაწილეობდა, რომელსაც ფრანგული საჯინიბო აფინანსებდა.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა. ბუნებრივია, "BMW-ზაუბერი" ყველანაირად ეცდება ამომავალი ვარსკვლავის შენარჩუნებას, ოღონდ ამისთვის პოლონელის ჰონორარების მნიშვნელოვნად გაზრდა დასჭირდება: ექსპერტების შეფასებით, დღეისთვის კუბიცა თავის თანაგუნდელზე, გერმანელ **ნიკ ჰაიდფელდზე** ოთხჯერ ნაკლებ ხელფასს იღებს.

გარდა ამისა, კუბიცას "რენოში" გადასვლის პერსპექტივა იმის გამოც არის საეჭვო, რომ დღეს BMW-ს ფრანგებზე უფრო სწრაფი ბოლიდი ჰყავს. აი, რაც შეეხება "ფერარის" ვარიანტს, კუბიცასთვის ეს უფრო მიმზიდველი უნდა იყოს: ის დიდხანს ცხოვრობდა იტალიაში და იქაურ ენაზე თავისუფლად ლაპარაკობს. ამასთან, სკუდერიას შეფები პოლონელს "ალბათ" ყველაზე სარფიან პირობებს შესთავაზებენ.

ასე რომ, ყველაფერი თავად პილოტზე იქნება დამოკიდებული: მან შეიძლება არც მოინდომოს იმ გუნდის დატოვება, რომელმაც პირველმა დააფასა მისი შესაძლებლობები და მსოფლიო ჩემპიონატში დებიუტის შესაძლებლობა მისცა.

გიორგი თვალია

კრივი

# მეჯიქისა და გრეტცკის გვერდით



ლოს ანჯელესის სპორტული არენის, Staples Center-ის ადმინისტრაციამ შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა ლეგენდარულ ამერიკელ მოკრივეს, ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონ **ოსკარ დე ლა ჰოიას**. მისი ნატურალური ზომის ქანდაკება ცნობილი სპორტული არენის წინ, ლეგენდარული კალათბურთელის, **მეჯიქ ჯონსონისა** და ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტის, **უეინ გრეტცკის** ქანდაკებების გვერდით დადგება. ამის შესახებ, დე ლა ჰოიას პრომოუტერული კომპანიის, Golden Boy Promotions-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, **რიჩარდ შაფერმა** გამოაცხადა.

*"გაოგნებული ვარ. ეს უდიდესი პატივია ჩემთვის. არც კი ვიცი რა ვთქვა. ალბათ, ჩემს ქანდაკებას ყოველდღე ჩავუვლი და შევამოწმებ, ვინმემ კვერცხები ხომ არ დაუშინა. ვერასოდეს ვიოცნებებდი, რომ მეჯიქისა და უეინის გვერდით დამაყენებდნენ"*, - განაცხადა დე ლა ჰოიამ.

შეგახსენებთ, რომ შაბათს, "ოქროს ბიჭმა" (დე ლა ჰოიას მეტსახელი) პროფესიულ რინგზე მორიგი ბრძოლა ჩაატარა და კარსონში (კალიფორნიის შტატი) თანამემამულე **სტივ ფორბსი** დაამარცხა.

გია თვალაბეიშვილი

ფეხბურთი

# ფენომენი მილიონებს კარგავს

მობილური კავშირის კომპანიამ "მილანის" ფორვარდ **რონალდოსთან** გაფორმებული მრავალმილიონიანი კონტრაქტი გაწყვიტა. მიზეზის გამოცნობა რთული არ იქნება - ბრაზილიელი სექსუალური სკანდალის გამო დაზარალდა. გახსოვთ, ალბათ, ისტორია, როცა გასულ კვირას, რონალდომ სამი ქალი შეაბა, ნომერში წაიყვანა და როცა საქმე საქმეზე მიდგა, ფეხბურთელმა აღმოაჩინა, რომ ეს "ქალბატონები" ტრანსვესტიტები ყოფილან. ბრიტანული ტაბლოიდის, The Daily Mail-ის ცნობით, შეურაცხყოფილი რონალდო და მისი სტუმრები სასტუმროს ნომერში ისე ჩხუბობდნენ, რომ ადმინისტრაციამ პოლიციის გამოძახება გადაწყვიტა.

სწორედ ამ ისტორიის გამო, რონალდო წლეულს 3 მილიონ დოლარს დაკარგავს. მას მობილური კავშირის იტალიური კომპანიისგან სულ 4.8 მილიონი უნდა მიეღო. 1.8 მილიონი უკვე გადარიცხული იყო ფეხბურთელის ანგარიშზე და კიდევ 3 მილიონს რონალდო, სავარაუდოდ, ველარ ეღირსება.

ეს კომპანია ბრაზილიური ბაზრის ლიდერია. მან კონტრაქტის გაწყვეტისას გამოიყენა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, შეუძლია გააუქმოს ხელშეკრულება, თუ მოთამაშის საქციელი ჩრდილს აყენებს მის მიერ რეკლამირებად მარკას.

ბრაზილიური პრესის ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, რომ რონალდოსთან კონტრაქტი გაწყვიტოს სპორტული ტანსაცმლის ცნობილმა მწარმოებელმა, ამერიკულმა კორპორაცია "ნაიკმა". მასთან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ცხოვრების ბოლომდე 100-მილიონიანი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

გია თვალაბეიშვილი




ახლა კი რონალდოს კომენტარი იმაზე, თუ რა მოხდა რიო დე ჟანეიროში...

# რონალდო: ეს როგორ დამემართა?...

ურთკვირიანი დუმილის შემდეგ, **რონალდომ** მასმედიის წარმომადგენლებს ბრაზილიაში მომხდარი ინციდენტის შესახებ უამბო. ბრაზილიური TV Rede Globo-ს კორესპონდენტთან საუბრისას, "მილანის" თავდამსხმელმა პატიება ითხოვა იმ ამბებზე, რაც ბოლო დროს გადახდა თავს.

პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ სამმა ტრანსვესტიტმა, რომელიც რიო დე ჟანეიროში ფეხბურთელმა დისკოთეკიდან გამოიყვანა, ის მწარედ მოატყუა.

*"სისულელე ჩავიდინე. შეცდომას ყველა უშვებს და მათ შორის, მეც. ვერც კი მივხვდი, რომ ტრანსვესტიტები იყვნენ. როგორც ფეხბურთელი, სხვანაირი ვარ, მაგრამ მაქვს სისუსტეები, შიშის გრძნობა, რის გამოც სხვებივით ჩვეულებრივი ადამიანი ვარ"*, - აღნიშნა რონალდომ და რიოში "იმ გიჟური ღამის" დეტალები გამოამზეურა:

*"ჩემს მეგობარ ქალს ვეჩხუბე და დარდის გასაქარვებლად სამი მეძავის აყვანა განვიზრახე. მთვრალი არ ვყოფილვარ. როცა სასტუმროში შევედით, აღმოვაჩინე, რომ მამაკაცები იყვნენ და მათი გაგდება გადავწყვიტე, მაგრამ ფული მომთხოვეს. საფრთხის შიშით ორმა უკან დაიხია, ერთმა კი დიდძალი თანხა მომთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამემუქრა, რომ ყველაფერს პრესას გააგებინებდა"*.

ამჟამად, 31 წლის "ფენომენი" ტრავმებს იმუშებს და იმედი აქვს, რომ იმ ღამეს მალე დაივიწყებს: *"ჩემ გარშემო ყველაფერი უნდა შევცვალო. ეს ჰგავს ტორნადოს მიერ წალებულ სახლს. ყველაფერი ახლიდან უნდა დავიწყო"*.

სკანდალის მიუხედავად, რონალდომ შეინარჩუნა UNISEF-ის მშვიდობის ელჩის პოსტი, თუმცა...

დავით ჩუბინიძე




რას წერენ რონალდოზე



კარლა



ანდრეა